

მეჩიულა მეჩიულა

სრ. საქართვე. საბჭოთა მწერლების ფედერაციის
ყოველთვიური ჟურნალი

წელიწადი მესამე

5



1928 — მაისი
თბილისი.

საქართველოს
კარლ ემენტიხის
მეჩიულა
ბიბლიოთეკა


~~56898~~

F 902

მთავარი რედაქტორი ს ი მ მ ნ ხ უ ნ დ ა ძ ე

სარედაქციო კოლეგია

ბ. ბუაჩიძე
ვ. კოტეტიშვილი
ტიციან ტაბიძე
ლევო ქიაჩელი
დემნა შენგელაია



მოგონება გორაკიზე

ბოძთან ტრამვაის უცდიდა მგზავრი გათეთრებული თოვლიან მხრებით და იყო ცხრაას ჩვიდმეტი წელი, თავის ქარიშხლით და ამბოხებით უდგა თეთრ წვიმას. ჰქროდენ ეტლები და ტრამვაების მძიმე ტივები ნისლში სახლები და გამვლელები მოსჩანდენ, როგორც ნეგატივები. თოვლქვეშ კი, როგორც ქსოვილის ბადის მრავალ მიუვალ გზებით:

ფარული

ათიათასი ნაკადი გაჩნდა, მჩქეფი, ანკარა და მოხარული.

მიწისქვეშ გზები ვიდოდენ წყნარად და იქ სხვადასხვა ადგილას რგული ერთი მეორეს ეძებდა მარად ასიათასი მდინარის გული.

გადათეთრება ზამთრის დროული! ყველას სწყუროდა ზეცა მზიური, და აი, როგორც კი გადნა თოვლი, მიწით აღმოსკდა ხმა მაგიური გზებიც გაიხსნა მაშინ, ჰიალა! ჰაიდა, გასწი! მკაცრი, ულევო, მეწყერად, რღვევად და ხეტიალად ამოიღვარა ნაკადულები!!

რა ხანა იყო! რა უკმარობას ჰქუხდა და გამობდა გაათეთრებული რასაც მიწის ქვეშ ჰფარავდა გრძნობას ასიათასი მდინარის გული.

არა მისტიურ ფრთებით ფარული, არა ოცნება და ზეფირები არამედ ნაღდი და რეალური დაქანდა ხიდი და ჯებირები.

იყო მაშინ იქ და ეხლაც არის, გრძნობა, რომელსაც ფარავს პოეტი. მთელი სიმძიმე ეპოქის ქარის, ყველა მდინარე და ოქროეთი.

რა დაჟინებით, რა უკმარობით გაიძახოდა გაათეთრებული რასაც იდუმალ ჰფარავდა გრძნობას, ასიათასი პოეტის გული.

და მაისის დღეს, მაშინ და დღესაც, და მომავალის ბედნიერ დროშიც უძლეველ გრძნებით ფრიალებს ალი ასიათასი ნათელი დროშის.

ბოძთან რომ ვაგონს უცდიდა მგზავრი, გათეთრებული თოვლიან

მოხვრით

ამ გაზაფხულის დღეს იმავე მგზავრს ირონიულად და ამოოხვრით —

უფლება აქვს რომ შეხვდეს ძველ რუსეთს, წლების სხვა წლებთან

გადამწინდელი

იმის კითხვაზე: ის დრო სად არის? — სთქვას: სადაც თოვლი შარშან-

წინდელი.

უაქსეში მაქსიმ გორკის ხსოვნებიდან.

მაქსიმ გორკი (ალექსი მაქსიმესძე პეშკოვი) დაიბადა ქ. ნიჟნი-ნოვგოროდში 1868 წლის 16 მარტს. მამა ადრე მოუკვდა. ობოლი გაიზარდა პაპასთან, რომელმაც ასწავლა წერა-კითხვა. რვა წლისა იგი მისცეს შკოლაში, სადაც რამდენიმე თვე დაჰყო. ათი წლისას დედაც მოუკვდა. ამის შემდეგ დაიწყო გორკის მძიმე და გაუხარელი ბავშობა. იგი ჯერ მოსამსახურედ მიაბარეს ფეხსაცმელების მაღაზიაში, იქ ხელები დაიმდურა და დაითხოვეს. შემდეგ ბაბუამ ბავში მისცა შეგირდათ მხაზავს. აქ ხელობის სწავლის ნაცვლად ბავში ასრულებდა მძიმე და შავ სამუშაოს. ბოლოს ველარ გახდლო, გაიქცა და ხომალდზე ჭურჭლების მრეცხველად შევიდა. ხომალდის მზარეული, გვარად სმური, შეიქნა გორკის პირველი მასწავლებელი. მზარეულს ძალიან უყვარდა კითხვა, მან წიგნი შეგირდსაც შეაყვარა მაგრამ გორკი დიდხანს არ გაჩერებულა ხომალდზე. იგი დაითხოვეს და იძულებული შეიქნა პაპასთან დაბურნებულიყო. შემდეგი წლიდან გორკი მიაბარეს ისევ მხაზავს. ხელახლა დაიწყო ილაჯის გამწყვეტი ცხოვრება. ამ ხანებში ბავში ხარბათ კითხულობდა წიგნებს რაც ხელში მოხვდებოდა, ამისთვის მას სდევნიდენ, სცემდენ, აგინებდენ. მაგრამ იგი თავისას არ იწლიდა. მხაზავის შემდეგ გორკი მსახურობდა ხელზე მოსამსახურეთ ხატების მაღაზიაში და შეგირდათ ხატების სახელოსნოში. აქაც არ დარჩა დიდხანს, ხატებს თავი დაანება და ბაზრის თეატრში სტატისტად შევიდა.

თექვსმეტი წლის გორკი, სწავლის წყურვილით გატაცებული, ნიჟნი-ნოვგოროდიდან გაემგზავრა ყაზანში — უნივერსიტეტში შესასვლელად. ყაზანში, შიმშილით რომ არ მომკვდარიყო. გორკი ჯერ ნავთსადგურში მუშაობდა, მერე კრენდელის ქარხანაში. — მზილავათ. ამის შემდეგ გორკიმ გამოიცვალა მრავალი პროფესია. იყო მებაღეთ, ხაბაზის თანაშემწეთ (ხაბაზობის დროს გორკიმ 1887 წელს განიზრახა თავის მოკვლა, მაგრამ მსუბუქად დაიჭრა), მეთევზეთ კასპის ზღვაზე, ღამის დარაჯათ, რკინისგზის მწონელათ, ბურახის გამყიდველათ, გადამწერლათ ვეჭილთან. 1880 წლიდან, ჯერ კიდევ ყაზანში ყოფნის

დროს, გორკი ჩაება პირველად რევოლუციონურ მუშაობაში. 1889-90 წლებში გორკი გაეცნო და დაუახლოვდა მწერალს ვლადიმერ კოროლენკოს, რომელსაც მიუტანა თავისი პოეტური ნამუშევარი „ბებერი მუხის სიმღერა“. ამის შემდეგ გორკი წავიდა სამოგზავროთ. იგი გაჰყვა ვოლგას ნაპირებს, გაიარა დონის ოლქი, უკრაინა, ყირიმი და ბესარაბია. ოდესაში გორკი ტვირთების მზიდავათ მუშაობდა ნავთსადგურში. ოდესიდან გორკი ფეხით გამოემგზავრა ტფილისისაკენ, სადაც ჩამოვიდა 1891 წლის ნოემბერში. ტფილისში ნაცნობების დახმარებით გორკიმ იშოვა კანტორის მოხელის ადგილი რკინის გზების სახელოსნოებში.

ტფილისის პერიოდი სამახსოვრო და შესანიშნავი ეტაპია მაქსიმ გორკის ცხოვრებაში. აქ გორკის საშვალეა მიეცა უფრო ფართეთ მოეკიდებია ხელი თვითგანვითარებისათვის. ტფილისში იგი დაუახლოვდა რევოლუციონურად განწყობილ ახალგაზრდობას. გორკიმ რამდენიმე ამხანაგთან ერთად შეადგინა კომუნა, — მათი საერთო საცხოვრებელი ბინა მოთავსებული იყო კვირაცხოვლის ქუჩაზე. ერთ-ერთი შენობის ქვედა სართულში. აქ თავს იყრიდა მრავალფეროვანი ახალგაზრდობა, გიმნაზიელები და მუშები; იმართებოდა ლიტერატურული საუბრები და დისპუტები, მოხსენებები და საღამოები. აქ კითხულობდენ ნაროდნიკული ხასიათის წიგნებს, უმთავრესად ბელეტრისტიკას. რაიმე გარკვეულ ორგანიზაციულ პოლიტიკურ მუშაობას ამ წრეში არ მისდევდენ, სწარმოებდა უფრო თვითგანვითარებითი მეცადინეობა.

ტფილისში გორკი დაუმეგობრდა პოლიტიკურ გადმოსახლებულ ნაროდნიკს ა. მ. კალუჟნის. ეს იყო ღრმად განათლებული ადამიანი, მტკიცე ხასიათის და მაგარი ნებისყოფის კაცი. მას, როგორც ნაროდნიკული პარტიის წევრს ახლადმოხდილი ჰქონდა ექვსი წლის კატორღა და საცხოვრებლად ტფილისში იყო გადმოგზავნილი. კალუჟნიმ სათანადოთ შეაფასა ჭკვიანი და ნაკითხი ახალგაზრდა მეგობრის გასაოცარი თხრობის ნიჭი, უნარი ამბის საინტერესოდ მოყოლისა. გორკის ამ დროს დაულეველი მარაგი ჰქონდა ნახული და გაგონილი ამბებისა. კალუჟნი ურჩევდა თავის მეგობარს, ქალაქდზე გადმოეცა ყველა თავისი ნახულ-გაგონილი, მაგრამ გორკი ვერ ბედავდა წერას. ერთხელ, როდესაც გორკიმ უამბო მეგობარს ერთი ამბავი ბოშების ცხოვრებიდან — ბოიკოს და რადას სიყვარულის შესახებ, კალუჟნიმ დაბეჯითებით ურჩია მას ჩაეწერა ეს საინტერესო მოთხრობა. ამის შემდეგ გორკიმ გააკეთა თავისი პირველი მოთხრობა „მაკარ ჩუდრა“. მოთხრობა დაიბეჭდა მაშინდელ ოფიციალურ „კავკაზ“ № 242, 1892 წლის 12 სექტემბერს.

1898 წლის მაისში გორკი დააპატიმრეს ნიჟნი-ნოვგოროდში, ტფილისის სოციალ-დემოკრატიული წრის საქმეზე. იგი ეტაპით ჩამოიყვანეს ტფილისში და მეტეხის ციხეში მოათავსეს. მაგრამ ჩქარა მოვიდა ბრძანება და გორკი განთავისუფლებულ იქნა. 1901 წელს გორკიმ მონაწილეობა მიიღო პეტერბურგში რევოლუციონურ დემონსტრაციაში. იმავე წლის აპრილში მან გამოაქვეყნა თვისი ცნობილი „სიმღერა ქარიშხალზე“, რომელსაც დიდი აღფრთოვანებით შეხვდა საზოგადოების რევოლუციონური ფენები. იმავე თვეში გორკი ისევ დააპატიმრეს და საცხოვრებლად გააგზავნეს არზამასში. ამ პერიოდს ეკუთვნის გორკის მძიმე დაავადება ფილტვების ჭლექით. განსაკუთრებული ნებართვის შემდეგ იგი მიემგზავრება ყირიმში.

1902 წლის თებერვალში რუსეთის სამეცნიერო აკადემიამ მაქსიმ გორკი საპატიო აკადემიკოსად აირჩია, მაგრამ ნიკოლოზ მეორის პირადი განკარგულებით აკადემიის ეს დადგენილება გაუქმებულ იქნა. ამის შემდეგ, პროტესტის ნიშნად, მწერლებმა ვლადიმერ კოროლენკომ და ანტონ ჩეხოვმა უარი განაცხადეს საპატიო აკადემიკოსობაზე. ამ ხანებს ეკუთვნის, სხვათა შორის, მაქსიმ გორკის დაახლოვება მოსკოვის სამხატვრო თეატრთან სადაც იდგმებოდა მისი პიესები: „ფსკერზე“, „მდაბიონი“.

1905 წელს, 9 იანვრის წინა დღეებში ხმები გავრცელდა იმის შესახებ, რომ მთავრობას განზახული ჰქონდა იარაღით შეხვედროდა სასახლისკენ წამოსულ მუშათა უიარაღო დემონსტრაციას. უბედურების ასაცილებლად, საზოგადო მოღვაწეებმა და მწერლებმა, მათ შორის მაქსიმ გორკიმ, 9 იანვრის წინაღამეს ინახულეს მინისტრები თავადი სვიატოპოლკ-მირსკი და გრაფი ვიტტე. მწერლების დეპუტაციამ მინისტრებს სთხოვა მთავრობას სისრულეში არ მოეყვანა თავისი განზრახვა. მაგრამ შუამდგომლობიდან არაფერი გამოვიდა, 9 იანვარს მუშათა დემონსტრაცია დახვრიტეს. მაშინ გორკიმ შეადგინა პროკლამაცია — ანგარიში 8-9 იანვარის ამბების შესახებ, სადაც მოუწოდებდა თვითმპყრობელობის დამხობისაკენ. პროკლამაცია ხელში ჩაუვარდა პოლიციას და მისი გავრცელება ვერ მოხერხდა. ორი დღის შემდეგ მაქსიმ გორკი შეიპყრეს რიგაში და პეტრე-პავლეს სიმაგრეში მოათავსეს. გორკის დაპატიმრებამ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ. ევროპის ყველა დიდ ქალაქებში მოწყობილ იქნა საპროტესტო დემონსტრაციები და მიტინგები, სადაც მოითხოვდნენ გორკის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. რუსეთის მთავრობა, რომელიც აპირებდა გორკის დახურულ კარებში გასამართლებას, იძულებული შეიქნა საქმე მიეჩქმალა და მოესპო. 1905 წელს მოს-

კოვში გორკიმ უახლოესი მონაწილეობა მიიღო დეკემბრის აჯანყების მოწყობაში. ამის შემდეგ მოსალოდნელი დაპატიმრების თავიდან ასაცილებლად, 1906 წლის იანვარში გორკი სტოვებს რუსეთს და მიემგზავრება ამერიკაში. აქ გორკი გამოდიოდა ბანკეტებზე და საჯარო მიტინგებზე მოწოდებით, რომ ამერიკელი საზოგადოება დახმარებოდა რუსეთის რევოლუციონურ მოძრაობას. ამერიკიდან ევროპაში დაბრუნების შემდეგ მ. გორკი იწყებს ცხოვრებას კუნძულ კაპრიზე, იტალიაში. ამ ხანებში დაწერილია მისი ცნობილი რომანი „დედა“. რომელშიდაც აღწერილია სორმოვოს მუშების არალეგალური — რევოლუციონური მუშაობა და სორმოვოს ცნობილი დემონსტრაცია 1902 წ. ეს რომანი რამდენიმე მილიონ ეკზემპლიარად გავრცელდა საზღვარგარეთ, რუსეთში კი ძალიან შეკვეცილი სახით იქნა ნებადართული.

1907 წელს მ. გორკი სათათბირო ხმით მონაწილეობას ღებულობდა რ. ს.-დ. პარტიის ლონდონის ყრილობაზე. შემდეგი წლიდან, გორკისა და შვეიცარიაში ემიგრანტად მყოფ ლენინის შორის იმართება მიწერ-მოწერა და იწყება მჭიდრო მეგობრული დაახლოვება. მიუხედავად ზოგიერთი უთანხმოებისა თეორეტიულ და ორგანიზაციულ საკითხების გამო. 1909 წელს კუნძულ კაპრიზე მაქსიმ გორკი, ა. ბოგდანოვთან და სხვებთან ერთად აარსებს ბოლშევიკების პარტიულ შკოლას, მუშა-პროპაგანდისტების მოსამზადებლად. რუსეთში დაბრუნების საშვალეობა მაქსიმ გორკის მიეცა მხოლოდ 1913 წელს, როდესაც რომანოვთა გვარეულობის საიუბილეო ამნისტია გამოცხადდა. გორკი ამ წლის დამლევს მოვიდა სამშობლოში. ომის წინ, 1915-16 წლებში მან დაიწყო ჟურნალ „ლეტოპის“-ის გამოცემა. 1917-18 წლებში გორკიმ დაარსა და ხელმძღვანელობდა გაზეთ „ნოვია ჟიზნ“-ს. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ გორკი აქტიურად თანამშრომლობდა ბოლშევიკებთან. 1919-1921 წლებში გორკი სათავეში უდგა მთელ რიგ კულტურულ-განმანათლებელ ორგანოებს, როგორც იყო მაგალითად „მსოფლიო ლიტერატურის“ გამომცემლობა და „მსაწავლულთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისია“ (ცეკუბუ). მისი გავლენით და დახმარებით ხდება ამ დროს ინტელიგენციის ფართე წრეების ჩაბმა კულტურულ და პრაქტიკულ საქმიანობაში.

1921 წელს ვ. ი. ლენინის რჩევით მ. გორკი გაემგზავრა საბჭოთა რუსეთიდან საზღვარგარეთ, სამკურნალოდ. 1925 წლიდან იგი ცხოვრობდა იტალიის ქალაქ სორენტოში. და მხოლოდ მიმდინარე წლის მაისში დაბრუნდა მოსკოვში.

— : —

მ ა ქ ს ი მ მ ე ო რ ე ს მ კ ვ ე ლ ო ბ ი ს უ ი

პ ი რ ა დ ი მ ო გ ო ნ ე ბ ი დ ა ნ

ტფილისში მაქსიმ გორკის ჩამოსვლა მოხდა სწორედ იმ დროს, როდესაც ახლად ისახებოდა ადგილობრივი ახალგაზრდობის დაჯგუფება სხვადასხვა სათვითგანმანათლებლო წრეებში.

ალექსანდრე მეორის მკვლევლობის შემდეგ საშინელი რეაქცია იყო გამეფებული, როგორც მთელ რუსეთში, ისე ამიერ-კავკასიაშიაც და კერძოდ საქართველოშიაც. მთელი ათეული წლის განმავლობაში 81 წლიდან 90 წლამდე მხოლოდ რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისასტიკეზე და მრისხანებაზე იყო ლაპარაკი. რევოლუციონური მოძრაობა თითქმის მინელებული იყო და მხოლოდ სტუდენტთა მოძრაობით ვგრძნობდით, რომ ნაროდნიკული მიმართულების სრული ჩაქრობა არ მომხდარიყო. რევოლუციონურათ განწყობილი ახალგაზრდობა მთავრობის საწინააღმდეგო ლიტერატურას ეწაფებოდა და მისი სააშუალებით ფიქრობდა შეწყვეტილი მოძრაობის განელების საწინააღმდეგო მოქმედების გაძლიერებას. სწორედ ამ დროს მოხდა ქალ. ტფილისში ახალგაზრდების დაჯგუფება ერთ დიდ წრეში, სადაც თავს იყრიდენ ტფილისის მცხოვრებთა სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენელი ახალგაზრდობა. ამ წრეში იყრიდენ თავს უმთავრესათ სხვადასხვა საშუალო სასწავლებლების მოწაფეები. ამ მოწაფეებში უმეტესობას ქართველები შეადგენდენ. თითო-ორიოლა იყო რუსი, თათარი, ოსი და ქართველებს შემდეგ ბლომათ იყვნენ სომხებიც.

ამ ახალგაზრდებს გარდა ამ წრეში შეხვდებოდით უფრო ხნიერ მოქალაქეებსაც. ესენი იყვნენ ციმბირიდან დაბრუნებული „ნაროდნიკები“, რომელნიც დაბრუნებულიყვნენ ციმბირიდან სასჯელის მოხდის შემდეგ. ალექსანდრე მეორეს მკვლევლობის საქმეში მონაწილეობის მიღებისათვის. ყველა ეს რევოლუციონური სულისკვეთების ადამიანები თავს იყრიდენ ტფილისში არსებულ ახალგაზრდათა წრის გარშემო. ამავე დროს მოქმედებდა ტფილისში „მასწავლებელ

ქალთა საზოგადოება“, რომლის მეთაურათ და სულის ჩამდგმელათ ითვლებოდა მაშინდელი ტფილისის საზოგადოებისათვის კარგათ ცნობილი საზოგადო მოღვაწე ქალი ოლღა კაიდანოვისა.

ეს „მასწავლებელ ქალთა საზოგადოება“ თავის მოღვაწეობის მიზნათ ისახავდა სკოლის გარეშე დარჩენილ მოზრდილ მოქალაქეთათვის წერა-კითხვის შესწავლის და საერთო განათლების და განვითარების მიცემას. ამ მიზნის განსახორციელებლათ ამ „საზოგადოებას“ საშუალებათ დასახული ქონდა საკვირაო სკოლების გახსნა ტფილისის ყველა კუთხეებში და იაფფასიანი ბიბლიოთეკის გახსნა, რომელსაც „იაფფასიანი“ ერქვა მხოლოდ მთავრობის თვალების ასახვევათ, თორემ წიგნებს საკითხავათ აძლევდა მუშებს და მოსამსახურეებს სრულიათ უფასოთ. აი ასეთი იყო მაშინდელი ცხოვრების პირობები და ასეთი მდგომარეობის დროს ჩამოვიდა ტფილისში დღეს მაქსიმ გორკის სახელით მთელ მსოფლიოში კარგათ ცნობილი ბუმბერაზი მწერალი, რომელსაც მაშინ ჩვენ შევხვდით და გავიცანით ალექსეი მაქსიმოვი პეშკოვის სახელწოდებით.

ამ პიროვნების ტფილისში მოსვლა პირველ დღიდანვე მჭიდროდ დაუკავშირდა იმ ახალგაზრდათა წრეს, რომელშიაც მეც ვმონაწილეობდი და, რომ მაშინ ვინმეს ეთქვა ჩემთვის: ეს პიროვნება ცნობილი მწერალი შეიქნებაო, მე ამას ვერ დავიჯერებდი და, მგონი, არც სხვებს შეეძლოთ ეფიქრათ, რომ ალექსი მაქსიმოვი ოდესმე მსოფლიოში სახელგანთქმული მწერალი გახდებოდა.

ერთ გაზაფხულის გრილ საღამოს ჩუღურეთში ანდრო ლეჟავას ბინაზე პატარა ოთახში მაგიდასთან ვიჯექით და მოსულ ახალგაზრდებს საკითხავ წიგნებს ვაძლევდით იმ პატარა ბიბლიოთეკიდან. რომელიც ანდრო ლეჟავას ბინაზე გვქონდა მოთავსებული და, რომლითაც სარგებლობდენ სწორედ ის ახალგაზრდები, რომლებზედაც ზევით ვლაპარაკობდი. აი, ამ ბინის კარებს მოადგა საღამოზე ვილაც „მოხეტიალე“ რუსის სახის პიროვნება, რომელიც ამხანაგ ანდროს კითხულობდა. პიროვნება ჩვენ იმდენათ საეჭვოთ გვეჩვენა, რომ გვინდოდა თავიდან მოგვეშორებინა, მაგრამ სწორეთ ამ დროს ოთახში შემოვიდა ანდრო ლეჟავა და შეეკითხა შემოსულ პიროვნებას ვინ იყო და რა უნდოდა. მოსულმა კიდევ იკითხა ანდრო ლეჟავა და, როდესაც ანდრომ მიუგო ეს მე ვარო, მოსულმა რაღაც პატარა ბარათი მიაწოდა და ამპარტავნულათ დაუწყო ყურება. მიცემული ბარათი ანდრომ ჩვენ გვაჩვენა და აღმოჩნდა, რომ ამ ბარათის მომტანი არის ალექსი მაქსიმოვი ძე პეშკოვი და ნოვოროსიის ორგანიზაცია სთხოვს ტფილისის ორგანიზაციას მიიღოს ეს პეშკო-

ვი თავის წრეში და აღმოუჩინოს მას ამხანაგური ნდობა. ეს ბარათი საკმაოდ იყო ჩვენთვის, რომ პეშკოვისთვის შესაფერისი ყურადღება მიგვექცია და იმ ღამეს ერთ ჩვენ ამხანაგთან დაგვებინავებინა. ამ დროდან გახდა პეშკოვი ჩვენი წრის წევრი და ტფილისში ყოფნის დროს მას ამ წრისათვის თავი არ დაუნებებია.

პეშკოვის პიროვნება ჩვენ უცნაურათ გვეჩვენებოდა. მისი გარეგნობა ფრიად საყურადღებო იყო. მაღალი ტანის, ბეჭებში მოხრილი, ნორმალურზე მეტათ გრძელი ხელებით, ბეჭებამდე დაშვებული გრძელი თმებით — ეს ადამიანი ისე იყო შემოსილი. რომ ვისაც უნდა ენახა იტყოდა, რომ ის „მოხეტიალე რუსია“, რომლის მსგავსი ბლომათ დახეტიალობდენ ჩვენს ქვეყანაშიაც. ტანზე მას გრძელი ტომრის ტილოს მსგავსი ქსოვილისაგან უშნოთ შეკერილი ხალათი ეცვა, ფეხებზე რუსული „ონუჩები“ ემოსა და ხელში გრძელი ჯოხი ეჭირა. ზურგზე კარგა მოზრდილი პარკი ქონდა გადაკიდებული თოკით და ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, რომ რალაცას თხოულობს, მისცემ და წავა.

აი, ასეთი სახის ადამიანი დაბინავდა ერთი ჩვენი ამხანაგის ბინაზე და აქედანვე დაიწყო მისი დაახლოვება ჩვენ წრის ყველა წევრებთან. პირველათ პეშკოვი ჩვენ არ მოგვწონდა, რადგან საეჭვო პიროვნებათ მიგვაჩნდა. ჩვენი ეჭვი მით უფრო ძლიერდებოდა, რომ პეშკოვი განუწყვეტლად ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა ათასგვარ საინტერესო ამბებს და ყველა მის ნაამბობში მომქმედ პირათ თვითონ ის იყო. მოსვლიდან პირველ კვირაშივე გვიამბო თითქმის მთელი შინაარსი „Мой спутник“-ისა. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ამ ამბის გმირი მის მიერ იყო შეთხზული, მაგრამ მაქსიმიჩი ისე მხატვრულათ გვიამბობდა შაქროსთან მგზავრობაზე, რომ ჩვენ მეორე დღეს ვაპირებდით შაქროს მოძებნას ტფილისში.

ეს მშვენივრად მოლაპარაკე ადამიანი ისე დაუახლოვდა ჩვენ წრეს და მის წევრებს, რომ თითქმის ყოველდღე ამ წრის კონსპირატიულ ბინაზე მოდიოდა და აქ ატარებდა მთელ თავისუფალ დროს, რომელიც საკმაოდ ბლომათ ჰქონდა. აი, ამ კონსპირატიულ ბინაზე ეცნობოდა მაქსიმიჩი ყველა ჩვენ ამხანაგებს, აქ ეწეოდა ის კულტურულ მუშაობას თავის ნაცნობთა თვითგანვითარების ასამაღლებლათ, აქვე ვარჯიშობდა ის დრამატიული ხელოვნების დარგში სხვადასხვა მონოლოგების კითხვით და აქვე ატარებდა დროს ხშირათ გამართულ საცეკვაო თუ სალიტერატურო საღამოებზე. როდესაც კლ ე ი ნ ი ლაპარაკობს რაღაც „კრასნოგორსკი კომუნაზე“, მას ეს ჩვენი წრის კონსპირატიული ბინა უნდა ჰქონდეს მხედველობაში...

ამის მეტი არავითარი კომუნა გორკის ტფილისში ყოფნის დროს არ ყოფილა და ეს ბინა კი იყო ჩუღურეთში, ქუჩის სახელი არ მახსოვს; ამავე ბინის მახლობლათ იყო ანდრო ლეჟავას ბინა, სადაც მოთავსებული იყო ის ბიბლიოთეკა, რომლის დაარსებასაც ერთი ქრონიკოორი აწერს 1893 წელს სტანისლავ რეინინგერს. ეს მარქსისტული ბიბლიოთეკა დაარსდა არა 1893 წელს, არამედ 1888 ან 1889 წელს და არა სტანისლავ რეინინგერის მეთაურობით, არამედ ანდრო ლეჟავას მეცადინეობით და მეთაურობით. მართალია, სტანისლავ რეინინგერიც სარგებლობდა ამ ბიბლიოთეკით არა 1893 წელში. არამედ 1889 წელში, როდესაც რეინინგერი სწავლობდა ტფილისის ახლად გახსნილ სამიწისმზომლო სასწავლებელში. აი ამ მარქსისტული ბიბლიოთეკით სარგებლობდა ალექსი პეშკოვიც. თუ არ ვცდები, იგივე კლეინი ლაპარაკობს თავის მოგონებაში, რომ მაქსიმ გორკი ქართველ ახალგაზრდებთან ერთათ დრამატიულ დასის შედგენას აპირებდაო, მაგრამ, რამდენათაც მე ვიცი, ასეთი სურვილი არც მაქსიმის ჰქონია და არც იმ წრეში შემავალ ახალგაზრდებს. ალბათ აქ ლაპარაკი ეხება იმ გარემოებას, რომ ჩვენ წრეში იყო მხოლოდ ორი წევრი, რომელთაც თავის თავი შესანიშნავი მსახიობი ეგონათ. ერთი ასეთი იყო შემდეგ ქართულ საზოგადოებაში კარგათ ცნობილი და უდროოთ ტრადიკულათ დაღუპული 1905 წლის რევოლიუციის დროს შიო ჩიტაძე და მეორე თვით ალექსი პეშკოვი. საქმე იმაშია, რომ იმ დროს ტფილისის ქართულ თეატრში მუშაობდა ქართული სცენის დამამშვენებელი არტისტი ვლადიმერ სარდიონის ძე ალექსი-მესხიშვილი, რომელიც გასაკვირველად ასრულებდა შილერის ცნობილი „ყაჩაღებიდან“ ფრანც-მოორის როლს.

შიო ჩიტაძე გატაცებული იყო ფრანც-მოორის როლის შესრულებით და ალექსი პეშკოვი კარლოს მოორის როლით. აი, ეს ორი პიროვნება ეჯიბრებოდენ ერთმანეთს ამ როლების შესრულებაში და ხშირათ ისე ბრაზდებოდენ ერთმანეთის კრიტიკით, რომ ფიზიკური ხელის შეხებითაც კი ემუქრებოდენ ერთმანეთს. ამაზე მეტი ოცნებობა დრამატიულ მოღვაწეობაზე აქ არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო, რადგან არსებულ წრის წევრებს სასაცილოთაც არ ყოფნიდათ პეშკოვის და ჩიტაძის სცენით გატაცება და თვითონ ჩიტაძეც მაშინ ვერ იფიქრებდა რუსულ სცენაზე მოღვაწეობას, რადგან ის მაშინვე საშინელი ნაციონალისტი იყო და რუსულ ენაზე მოღვაწეობას თავის მიზნათ არ დაისახავდა.

სცენით გატაცებას გარდა მაქსიმიჩი დიდ ყურადღებას აქცევდა ჩვენ წრეში ლექციების კითხვას. მან რამდენჯერმე მოინდომა ლექციის წაკითხვა, მაგრამ ვერ უხერხდებოდა, რადგან ლექციის მოსასმენად ამხანაგები არ გროვდებოდნენ. მხოლოდ ერთხელ მოუხერხდა მას ლექციის წაკითხვა. ეს იყო ლექცია ხელოვნებაზე და ცხადათ მახსოვს, რომ თავის ლექციის საგნათ მან აიღო შილერის ტრაკტატი ხელოვნებაზე და მშვენიერი ენით გადმოგვცა მსმენელებს ამ ტრაკტატის შინაარსი სრულიათ გასაგებათ და პოპულიარულად.

პეშკოვი რამდენიმე ხანს სრულიათ უსაქმოდ იყო ტფილისში და სულ გაიძახოდა: „ეხლა კი წავალ აქედანო“, მაგრამ კი არ მიდიოდა. ნაცნობების საშუალებით მერე სამსახური უშოვეს ამხანაგებმა რკინის გზის სამმართველოში და ამის შემდეგ მაქსიმიჩი დაბინავდა თავისთვის დაქირავებულ ოთახში.

არ შემიძლია აქვე არ გადავსცე მკითხველებს ერთი ეპიზოდი მაქსიმ გორკის იმ დროინდელ ცხოვრებიდან: ერთ საღამოს მაშინდელ მიხეილის ქუჩაზე მივდივარ და შორს ვხედავ ვილაცას პეშკოვის მსგავსს ჩემ პირდაპირ მომავალს. ვფიქრობ, ნუთუ ეს მაქსიმიჩია? მიახლოვდება და ვრწმუნდება, რომ ეს ნამდვილად ის არის, ის არის, მაგრამ რათ მიუღია მას ასეთი სახე? მას აცვია მშვენივრათ შეკერილი სერთუკი, თეთრი ყილეტი, ყელზე ახალი გალსტუკი ბრჭყვიალა ქინძისთავით, თავზე მაღალი ცილინდრი, ფეხებზე გაპრიალელებული ფეხსაცმელები და ხელში კოხტა „ტროსტი“.

— ეს შენა ხარ, მაქსიმიჩ!..

— დიახ, მე ვარ!

— მერე რა მოგსვლია?

— არათერი! მე მინდა ვნახო, როგორ გრძნობს ადამიანი თავს ასეთ უცნაურ ტანსაცმელში! და გაიარა როგორღაც ისეთი პრანჭვაგრებით, როგორც ქარვასლის ნოქრებმა იცოდნენ ხოლმე თავის დამებთან სიარული.

მეორე დღეს მაქსიმიჩი ისევ თავის ხალათში ვნახე და ჩემს შეკითხვაზე, რა უყო თავის მორთულობა, მიპასუხა, რომ მალე მოიშორა მან ეს სამოსელი, რათა მას არ მოესწრო თავის დაღის დასამის არსებაზე.

საერთოდ მაქსიმიჩი უცნაური ადამიანის მთაბეჭდილებას სტოვებდა მნახველში. ლაპარაკი მისი სტიქია იყო. ლაპარაკობდა მდაბიოდ, გასაგები ენით, რუსული კილოთი და შეიძლება ითქვას საშინელი მიმზიდველი ტონით. ამ მხრივ მას ტოლი არა ყავდა. მისი მოხდენილი და მიმზიდველი მუსაიფი იყო იმის მიზეზი, რომ არა-

შნოიანი ახალგაზრდით გატაცებული იყვნენ ტფილისელი მისი ნაცნობი ქალებიც. ვარეგნობით არა მომხიბლველი და მიმზიდველი, ის ერთი ნახვისთანავე იტაცებდა ქალებს და მერე ეს ქალები მზად იყვნენ განუწყვეტლად ესმინათ მისი ტკბილი ენით ნაამბობი მოთხრობები. მაქსიმიჩის ტფილისში ჩამოსვლამდე ციმბირიდან ჩამოვიდა მრავალ სხვებთან ერთად სასჯელ მოხდილი პოლიტიკური მოღვაწე — ნაროდოვოლცი ერმოლინი. ეს ერმოლინი დიდი ორიგინალური პიროვნება იყო. ვისაც ჩერნიშევსკის „Что делать?“ წაკითხული ჰქონდა, ის მას რახმეტოვს ეძახდა. ამ პიროვნებას ვარეგნობაც და შინაგანი თვისებებიც უცნაური ჰქონდა. ტანზე ეცვა გაზეთილი ტყავის ტანსაცმელი. ჩექმები, შარვალი და ტუჩურკა თითქო გადაბმული იყო ერთმანეთზე. ამ გაზეთილი ტანსაცმელით დადიოდა ერმოლინი ყველა ნაცნობების ოჯახებში, დიდ კრებებზე და ქუჩაზედაც. ტანათ მალალი, პირტიტველი ნატანჯი სახით, ეს ადამიანი რკინისაგან გამოჭედილი იარაღის შთაბეჭდილებას სტოვებდა მნახველზე. ეს ტლანქი და მოუხეშავი ადამიანი ლაპარაკობდა საშინელი გატაცებით, ლაპარაკობდა ნაროდოვოლცების ტერორისტული ჯგუფის მოღვაწეობის შესახებ, ლაპარაკობდა ციმბირზე, ტაიგაზე, კატორლაზე და კიდევ ვინ იცის რაზე! ლაპარაკობდა ისე ლამაზათ, ისეთი გატაცებით და აღფრთოვანებით, რომ მსმენელს სრულიად ავიწყდებოდა ჭამა-სმა, საქმე — ყველაფერი და მზად იყო ესმინა მისთვის დაუსრულებლად.

გორკის ტფილისში ჩამოსვლამდე ეს ერმოლინი გავაცანით კაიდანოვის ქალს. აქედან ის გაეცნო თითქმის ყველა მასწავლებელ ქალებს და შეიქნა მათი საზოგადოების სული და გული. ის მუდამ მასწავლებელ ქალთა წრეში იყო, აქ მუშაობდა, საკვირაო სკოლებში მოღვაწეობდა და სულ საუბრებს ატარებდა სხვადასხვა საკითხებზე მასწავლებელთა წრეებში. მასწავლებელ ქალებს მაქსიმიჩიც გავაცანით, ისიც ჩაერია მათ მუშაობაში და ეს ორი „ოქროპირი“ აქ შეხვდნენ ერთმანეთს. დიდებული მოლაპარაკე ერმოლინი დაამარცხა მომავალმა ბუმბერაზმა მწერალმა. მასწავლებელი ქალები გადავიდნენ მაქსიმიჩის მხარეზე და დამარცხებული ერმოლინი ხშირათ ოხუნჯობდა: „ამ ბოსიაკმა სულ ჩამომაშორა თაყვანისმცემლებიო“!


მასწავლებელ ქალთა წრეში პეშკოვი უსაქმოდ არ იყო გაჩერებული. ეს წრე თვითონაც მომქმედი იყო და მასში შემავალ წევრებსაც დაუსვენებლათ ამოქმედებდა. მას ჰქონდა ყოველკვირეული საზოგადო სხდომები და ამ სხდომებზე ირჩეოდა მრავალგვარი საკითხები საკვირაო სკოლების მუშაობის შესახებ. საკვირაო სკოლებს

თან სდევდა მუშაობა სახალხო კითხვების მოწყობისა ბუნდოვანი სურათებით და ყველა ამ საკითხების დამუშავებაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა ალექსი პეშკოვიც. ამ ხნის განმავლობაში პეშკოვი მუდამ დადიოდა ჩუღურეთის კონსპირატიულ ბინაზე მოთავსებულ ბიბლიოთეკაშიაც. ორივე ამ ადგილას თავს იყრიდა მაშინდელი ტფილისის პროგრესიული და რევოლუციონურათ განწყობილი ახალგაზრდობა და, რა გასაკვირველია, რომ პეშკოვი ამ ადგილებში ეცნობოდა თითქმის ყველა ახალგაზრდებს, რომელნიც კი დაკავშირებული იყვნენ კონსპირატიულ ბინასთან, მარქსისტულ ბიბლიოთეკასთან და მასწავლებელ ქალთა საზოგადოებასთან.

რამდენათაც მე მახსოვს, ამ წრეებში ჰქონდათ მსვლელობა და მონაწილეობა: მიხა ცხაკაიას, ფილიპე მახარაძეს, ნეტარ ხსენებულ ეგნატე ნინოშვილს, ლადო დარჩიაშვილს, სილიბისტრო ჯიბლაძეს, კარლო ჩხეიძეს, ნოე ჟორდანიას, სტანისლავ რეინინგერს, კალიუჟნის, ორ ძმა ლუზინებს, გრომზინს, ძმებს სტეფანე და სერგო დანდუროვებს, შიო ჩიტაძეს, გიგო რცხილაძეს, ილიკო აღლაძეს, ლორის-მელიქოვს, ეირანოვს, სააკოვს, სერგო ვართანოვს, მიშა კლიმიაშვილს, პეტრე ლუკიანოვს, შაქრო უზნაძეს და კიდევ მრავალ სხვას, რომელთა გვარები მე აღარ მახსოვს.... მთელი ამ ახალგაზრდობის სულს და გულს შეადგენდა ანდრო ლეჟავა, რომლის ბინა ცენტრი იყო ახალგაზრდათა წრეებისა.

ამავე წრეში გაეცნო ალექსი პეშკოვი მაშინ ახალგაზრდა ბელეტრისტს ეგნატე ნინოშვილს. არ მახსოვს კარგათ 1891 თუ 1892 წელში ეგნატე სოფლიდან ჩამოვიდა ტფილისში და, რასაკვირველია, როგორც უბინაო კაცი, ესტუმრა ჩვენ ჩუღურეთის კონსპირატიულ ბინას. ამ ბინას კონსპირატიულს ვეძახდით იმიტომ, რომ აქ ხშირად იმართებოდა პატარა თათბირები პოლიტიკური ხასიათისა, რისთვისაც 6 თუ 7 ოთახიან სარდაფში ორი ოთახი არალეგალური ამხანაგების თავშესაფარს წარმოადგენდა.

სოფლიდან ჩამოსული ეგნატე ამ თავშესაფარში დაბინავდა და, რასაკვირველია, ალექსი პეშკოვსაც გაეცნო. ერთ კვირა დღეს ეკლესიიდან გაპარული ინსტიტუტის მოწაფეები ჩვენ ბინაზე მივედით, რათა წირვის გამოსვლამდე იქ დავრჩენილიყავით; ამ ბინაზე დაგვიხვდა ახლათ ჩამოსული ეგნატე ნინოშვილი და ალექსი პეშკოვი. მისულებმა თან მივიტანეთ გაზეთ „ივერიის“ ნომრები, რომლებშიაც დაბეჭდილი იყო ნინოშვილის ერთი მოთხრობათაგანი (სათაური არ მახსოვს). მოთხრობა წავიკითხეთ და ყველანი ეგნატეს დავსტრიალებდით სხვადასხვა კითხვებით შესახებ მისი მოთხრობისა. პეშკო-



ვი ნალვლიანი სახით მისჩერებოდა ჭლექის მიერ დატანჯული სახის მქონე ადამიანს და გულდათუთქული ხმით ეუბნებოდა: „Ты счастлив, товарищ, тем, что своими глазами видишь, как любят и уважают тебя“. ეგნატემ რუსული ენა კარგათ იცოდა, თუმცა გამოთქმა არ ჰქონდა წმინდა რუსული; თავის რუსულის იმერული გამოთქმით უთხრა ალექსი პეშკოვს: „Напиши то, что ты так хорошо рассказываешь и тоже увидишь, как все полюбят тебя“.

ეგნატეს ხშირად უამბობდა ხოლმე პეშკოვი თავის თავგადასავალს და ნიჭიერი მწერალი ხედავდა, რომ ასეთი მოსაუბრე პიროვნება კარგათ დაწერასაც შესძლებდა და არც მოსტყუვდა უკუღმართი ცხოვრებისაგან ნაწამები ბელეტრისტი. პეშკოვმა დასწერა ყოველივე ის, რაზედაც ყოველთვის ესაუბრებოდა თავის ნაცნობებს წარმტაცი აღფრთოვანებით და მართლა მივიღეთ მაქსიმ გორკის დიდებული ნაწარმოებები. როდესაც ეგნატე ურჩევდა დაეწერა პეშკოვს ის, რასაც გვიამბობდა, მაშინ მას დაწერილი არაფერი ჰქონდა. დიდი ხანი არ გასულა ამის შემდეგ და მაქსიმ გორკის ხელმოწერით ტფილისის ოფიციალურ გაზეთ „Кавказ“-ში დაიბეჭდა „მაკარ ჩუდრა“. ეს იყო პირველი მოთხრობა ალექსი პეშკოვისა, რომელიც ტფილისის გაზეთში დაიბეჭდა. როდესაც „მაკარ ჩუდრა“ დაიბეჭდა „Кавказ“-ში, იმ დროს პეშკოვი ტფილისში აღარ იყო, რადგან სულ რამდენიმე კვირის წინ გაემგზავრა ტფილისიდან კავკავისაკენ ისევე ფეხით, როგორც მოვიდა ტფილისში. მოთხრობა „მაკარ ჩუდრა“ „კავკაზის“ რედაქციამ მიიღო კავკავიდან ფოსტით ისე, რომ ჩვენ სრულებით არ ვიცოდით, რომ „მაკარ ჩუდრა“ ალექსი პეშკოვის კალამს ეკუთვნოდა. 1894 წელში მე მომიხდა ტფილისიდან წასვლა; ჩვენი კონსპირატიული ბინა უკვე დაშლილი იყო: ანდრო ლეჟავა რუსეთში იყო წასული, სხვა ამხანაგები ზოგი საით წავიდა და ზოგი საით. ლეჟავას ბინაზე ბიბლიოთეკა ისევ არსებობდა, ინსტიტუტულები და სემინარიელები ისევ ჯგუფდებოდნენ ამ ბიბლიოთეკის გარშემო, მაგრამ ამ წრის ძველი წევრების უმეტესობა ტფილისში აღარ იმყოფებოდა.

მე ვმასწავლებლობდი ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, გატაცებული თაყვანისმცემელი ვიყავი მაქსიმ გორკისა, ვბეჭდავდი გაზეთ „კვალში“ მისი მოთხრობების თარგმანს და 1900 წლამდე სრულებით არ ვიცოდი, რომ ჩემი სათაყვანო მწერალი, მაქსიმ გორკი არის ის ალექსი მაქსიმიჩი პეშკოვი, რომელიც ცხოვრობდა ტფილისში თითქმის მთელი ორი წელიწადი და ითვლებოდა იმ წრის მუდმივ წევრად.

რომელშიაც მეც ვიღებდი მონაწილეობას. დღეს მთელი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი მისი 35 წლის ლიტერატურული მოღვაწეობის იუბილეს დღესასწაულობს. ასეთსავე დღესასწაულს უხდიან მას თითქმის მთელ ევროპაში და, მე მგონია, არავინ გაიკვირვებს, რომ მეც მსურს აღვნიშნო ჩემ მოგონებაში ის მომენტები მაქსიმ გორკის ცხოვრებაში, რომელნიც ამ ბუმბერაზმა მწერალმა გაატარა საქართველოში აქაური ახალგაზრდობის წრეში. ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ იმით, რომ ტფილისის ამხანაგებმა თავის მეგობრული დამოკიდებულებით ხელი შეუწყვეს მაქსიმ გორკის სახელის უკვდავად გახდომის საქმეს.

დღეს კი, დეე ჩემი პირადი მოგონება მიემატოს იმ მრავალ ნაწერებს გორკის შესახებ, რომელნიც გაფანტულია მსოფლიოს კრესაში მაქსიმ გორკის 35 წლის ლიტერატურულ იუბილეს გამო.

— : —

კ ა ტ ა რ ა მ ო გ ო ნ ე ბ ა

ეს პატარა მოგონება ცხრაასიან წლებს შეეხება. მაშინ ჯერ ისევ ახალ ფეხ-ადგმული მკითხველი ვიყავი. გორკის სახელმა ქუთაისამდეც მოაწია. გორკი ყველას პირზე ეკერა, მაგრამ განსაკუთრებულ აღტაცებას ახალგაზრდობაში იწვევდა. პირველი საკითხი, როცა შეხვდებოდენ ერთმანეთს, ეს იყო:

— წაიკითხე გორკი?

ერთი სიტყვით, ამხანაგებში გორკი დიდ „მოდაში“ იყო და, ვისაც ის არ ჰქონდა წაკითხული, ჩამორჩენილ კაცად ითვლებოდა, — და ყველა გაფაციცებით დაეძებდა და კითხულობდა.

მეც მომწყურდა მისი გაცნობა, მაგრამ რუსული რომ არ ვიცოდი, რა უნდა მექნა. მიუხედავად ამისა, მაინც გამოვიწერე მისი პირველი და მეორე ტომი. სანამ წიგნებს მივიღებდი რუსული ანბანის სწავლას შევუდექი. ერთ ნაცნობ გიმნაზიელს რუსულ ანბანზე ქარსწავლას შევუდექი. ერთ ნაცნობ გიმნაზიელს რუსულ ანბანზე ქართული ასოები წავაწერინე და ამ ხერხით სულ რამდენიმე დღეში ვისწავლე კითხვა. როცა წიგნები მივიღე, ერთგულად ჩავუჯექი და მთელ თავისუფალ დროს მას ვანდომებდი, მაგრამ ათ სიტყვაში ერთიც კი არ მესმოდა, თუ რას ნიშნავდა. თავს მაინც არ ვანებებდი: ვიხმარებდი ლექსიკონს, ნაცნობებს და თანდათან ვერკვეოდი.

მთელი ორი წლის განმავლობაში ვღეჭე ასე და ბოლოს მაინც მივადწიე მიზანს: გავიგე გორკი. შემდეგ რუსეთის სხვა გამოჩენილი კორიფეებიც გავიცანი: ტოლსტოი, პუშკინი, ლერმონტოვი, დოსტოევსკი, გოგოლი და სხვებიც, მაგრამ გორკიმ განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა ჩემს გულში. და ეს ალბად იმიტომ, რომ გორკიმ სულ სხვა უცნობი ქვეყანა გამიშალა თვალწინ, სადაც დაუსრულებელი ტანჯვა იყო, მაგრამ იყო თავისუფალი სიტყვა, ბრძოლა და იმედაც.

და დღეს, როცა მთელი განათლებული კაცობრიობა, დიდი ამბით დღესასწაულობს ამ სახელოვან ადამიანის სამოცი წლის თავს, მეც ვწერ ამ პატარა მოგონებას მხოლოდ იმისთვის, რომ დავანახვო მკითხველებს, თუ რა დიდი გავლენით სარგებლობდა ჭაბუკი გორკი მოზარდ თაობაზე.

მაქსიმ გორკის თანამგზავრის ნაამბობი *)

მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამას წინად ჩვენი გაზეთის დამატებაში დაიბეჭდა ბ-ნ გიუნაშვილის მიერ თარგმნილი რუსთა ახალგაზრდა მწერლის მაქსიმ გორკის „ჩემი თანამგზავრი“. ისიც ეხსომებათ, რომ მოთხრობაში გორკის თავის თანამგზავრად გამოჰყავს ქართველი კაცი, თავადი შაქრო ფთაძე. როდესაც დამატებაში ამ მოთხრობის ბეჭდვა დამთავრდა, ჩვენს რედაქციაში შემოვიდა ერთი უცნობი კაცი, გვარად ს-ძე, ხოლო ხელობით რკინის გზის კონდუქტორი, რომელმაც გამოგვიცხადა — მე ვარ გორკის თანამგზავრიო. ამ კაცს მაქსიმ გორკის სახელი არასოდეს არ გაეგონა. პირველად გორკის ნაწერი ჩვენს დამატებაში წაეკითხნა და როდესაც რედაქციაში შემოვიდა, ეს გვკითხა: მოთხრობა ალექსეი პეშკოვის დაწერილი ხომ არ არისო. ბ-ნ ს-ძეს შინაარსით ეცნო მოთხრობის ვტორი. ბ-ნი ს-ძე ესე ოცდაათის წლის კაცია, შაქრო არა ჰქვია და არც თავადია. მოთხრობაში ბევრი მართალია და ბევრი სრულიად სიმართლეს მოკლებულიო, გვი-

*) მაქსიმ გორკის თანამგზავრის ეს მოგონება დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ 1903 წელს (№ 2302). ჩვენი რედაქციის შეკითხვაზე „ცნობის ფურცლის“ მაშინდელმა მდივანმა ილია ალლაძემ გადმოგვცა შემდეგი:

„იმ ხანებში, როცა ეს მოთხრობა ქართულად დაიბეჭდა (1903 წელს), მაქსიმ გორკის უკვე დიდი სახელი ჰქნოდა. მას, როგორც დიდ მწერალს, იცნობდნენ არა მარტო რუსეთში — ევროპაშიაც. მის ნაწერებს დაბეჭდვისთანავე სთარგმნიდნენ სხვადასხვა ენაზე. იბეჭდებოდა მისი მოთხრობები მაშინდელ ქართულ ჟურნალ-გაზეთებშიაც. ქართველი მკითხველის ყურადღება განსაკუთრებით მიიქცია „ჩემმა თანამგზავრმა“, როგორც ისეთმა მოთხრობამ რომლის გმირადაც ქართველი იყო გამოყვანილი. სხვათა შორის ამ ყურადღებით აიხსნება ის შენიშვნა, რომელიც გორკის თანამგზავრის ნაამბობს რედაქციამ დაურთო. სამწუხაროდ, დღეს აღარ მაგონდება ამ თანამგზავრის გვარი. სრული გვარის მოთავსება თითონ არ მოიხსურვა. მახსოვს, იგი დასავლეთ საქართველოდან იყო და როცა ამ თვაგადასავალს გვიამბობდა, ცოტა არ იყოს გულისტკენით სთქვა: პეშკოვმა, რომელიც ასე კარგათ მექცეოდა და რომელთანაც მეგობრულათ ვიმგზავრე, ასეთ ცუდ კაცად რად გამომიყვანაო. ჩვენ რასაკვირველია, აუხსენით, რომ ავტორი მოთხრობის დაწერის დროს არ ფიქრობდა მის შეურაცხებას და ავად მოხსენებას. წინააღმდეგ შემთხვევაში თავადად არ გამოიყვანდა და ნამდვილ გვარსაც აღნიშნავდა. მას შემდეგ ამ თანამგზავრის შესახებ აღარაფერი გაგვიგონია, შეიძლება, იგი დღესაც ცოცხალია“.

რ ე დ.

თხრა ბ-ნმა ს-ქემ. აი, სხვათა შორის, რა გვიამბო გორკისთან მოგზა-
ურობის შესახებ:

„პეშკოვი გავიცანი ოდესაში, სადაც მე სრულიად შემთხვევით
მოვეყევი. ბათომში ამხანაგმა ნივთები მომპარა და ოდესაში წავიდა.
მე უკან გამოვუდექ, მაგრამ ქურდი ოდესაში ვერ აღმოვაჩინე. გავიდა
ორიოდე დღე და ფული სულ შემომეხარჯა. გზის ფულს ვილა სჩიოდა,
პურისთვისაც აღარაფერი გამაჩნდა. ღამეს ბაღში ვათევდი, სადაც
ჩუმად გადავძვრებოდი ხოლმე. ბოლოს გადავწყვიტე ასე თუ ისე გემ-
ში ჩაჯდომა და ბათომისაკენ წამოსვლა. ამ აზრით ნავთსადგურში წა-
ველ და განმრტოებით დავდექ. თითქმის ორი დღის უჭმელი ვიყავ და
ძალზე მშოიოდა. ტანისამოსი კარგი მეცვა, თითქმის ახალი, ამასთან ევ-
როპიული და არა ჩვენებური ჩოხა-ახალუხი, როგორც ეს გორკისა აქვს
აწერილი. ამ დროს ჩემთან მოვიდა ზორბა, მაგრამ ძველ და დაგლე-
ჯილ ტანისამოსში გამოწყობილი კაცი, რომელმაც შაური მთხოვა. მე
გამეცინა: თითონ მშიერი ვიყავ და ეს-კი ფულსა მთხოვდა. ჩემი ამ-
ბავი გადავეცი. ბოლოს ერთმანეთი გავიცანით. ახალი ჩემი ნაცნობი
პეშკოვი გამოდგა, ნიჟნი-ნოვგოროდელი. პეშკოვი ესე 22-23 წლისა
იქნებოდა, ზორბა ტანადობისა, მაღალ-მაღალი, მხარ-ბეჭიანი. მე იმ
დროს 18 წლისა ვიყავ. ეს ამბავი მოხდა 1891 წელს. როგორც შემდეგ
მიამბო პეშკოვმა, ოდესაში ხარკოვიდან ჩამოსულიყო ფეხით. ხარ-
კოვში, გზად გამოვლის დროს, ერთ მონასტერში ჩამომხტარიყო, სა-
დაც ორ „სტრაჟნიკს“ გაეძარცვა და ცარიელ-ტარიელი დაეტოვებინა.

„იმ დღეს, რა დღესაც ერთმანეთს შევხვდით, ორივენი მშივრები
ვიყავით. მე ერთი „ტროსტი“ მქონდა, პეშკოვმა გამომართო ეს „ტროს-
ტი“, გაჰყიდა 30 კაპიკად და პური იყიდა. ღამე ბაღში გავათიეთ. მე-
ორე დღეს სამუშაო უნდა გვეშოვნა, მაგრამ ვერა ვიშოვეთ-რა. ამი-
ტომ გადავწყვიტეთ ნიკოლაევში წასვლა. ფული, რასაკვირველია, არ
გაგვაჩნდა. ერთი ფრანგული ფული მქონდა, საათის ძეწკვზე ჩამოსა-
კიდებელი. ოდესიდან წასვლისას პეშკოვმა ეს ფულიც 30 კაპ. გაყიდა.
პირველ ხანს ამით ვიკვებებოდით, მერე პეშკოვი თხოვნას შეუდგა.
ოდესიდან 18 აგვისტოს გავედით, შუადღის 12 საათზე. ნიკოლაევამდე
შვიდი დღე ვიარეთ. ვერც იქ ვიშოვნეთ სამუშაო. იქ გვითხრეს, ხერ-
სონიდან ეხლა გემი გადის ბათომში, თუ ჩაუსწრებთ, ის წაგიყვანთ
სამადლოთო: წავედით, მაგრამ ვერ ჩავუსწარით. ხერსონში გორკიმ
ჩემი პალტო გაჰყიდა 3 მ. 50 კაპ. აქ გვითხრეს, სიმფერაპოლში ბევრი
სამუშაოაო. ჩავედით, მაგრამ სამუშაო ვერც იქ ვიშოვნეთ. ბოლოს პეშ-
კოვმა მიჩნია, კავკასიაში ფეხით წავიდეთო. ასეც მოვიქეციით, აქვე
უნდა აღვნიშნო, რომ პეშკოვი ყოველთვის კარგად მექცეოდა. ხში-

რად მეუბნებოდა, შენ გაჭირვებას არა ხარ შეჩვეულიო. როდესაც ცოტა საჭმელი გვქონდა, მეტს მე მაძლევდა. საზოგადოდ, მთელ მგზავრობის განმავლობაში კარგის მეტი არა მახსოვს-რა იმისაგან. ბევრი განსაცდელი და წვალეზა გამვლიარეთ. ერთ ადგილას გზა დაგვეკარგა და უდაბურ ტყეში მოვყევით. დაგვესივნენ გარეული ღორები; ძლივს აუსწარით ხეზე. იქ ვისხედით მშიერ-მწყურვალნი, სანამ ღორები გაიფანტებოდნენ. იალტაში რომ ჩამოვედით ძალზე მშივრები ვიყავით. საბედნიეროდ პეშკოვმა ქუჩაში სამ კაპიკიანი იპოვნა, იყიდა პური და იმით შევნაყრდით. დალილები და დასუსტებულნი ვიყავით, გადავსწყვიტეთ, გემზე დავმსხდარიყავით და ასე გაგვევლო მცირე მანძილი მაინც. ასეც მოვიქეციით: დავსხედით უბილეთოები ერთ გემზე. როდესაც ზღვაში გავედით, გაიგეს, რომ უბილეთოები ვიყავით. კაპიტანმა მთელი საათი გვლანძღა. მაგრამ რას გვიზამდა, ზღვაში ხომ ვერ გადაგვაგდებდა. ბოლოს დაუყვირა უფროს ზღვაოსანს, შეიყვანე ესენი გემში და ამუშავეო. როდესაც ამ ზღვაოსანმა პალუბიდან გემში ჩაგვიყვანა, გვითხრა, როგორ ამოხვედით უბილეთოებიო. ჩვენც უამბეთ ჩვენი თავგადასავალი. ახალი ნაცნობი სინდისიერი კაცი გამოდგა. მუშაობის ნაცვლად თავის ოთახში შეგვიყვანა, გვასვა, გვაჭამა და კარგად გამოგვაძინა. ასე და ამ რიგად ჩავედით ფეოლოსიაში, სადაც აგვიღეს და გემიდან გადმოგვაბძანეს. მთელ ჩვენ მგზავრობის დროს ეს გემით მოგზაურობა საუკეთესო ხანა იყო.

ფეოლოსიაში პეშკოვმა ჩემი „პოლცინიერი“ გაჰყიდა, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, გასცვალა ძველ ქუდზე და ზედმეტი ფულიც აიღო, ზღვის ნაპირად სააგარაკო ადგილებში ხელს გვიმართავდნენ სასტუმროს მზარეულნი: გვაჭმევდნენ და გვასმევდნენ. ერთ ადგილას სამი შაურიც მოგვცეს. კერძში ხიდ-ქვეშ გავათიეთ ღამე. ნავი არ მოგვიპარავს, როგორც მოთხრობაშია ნათქვამი. ტამანში ნავეები იდგა. ფქვილის ტომრები უნდა გადაეტანათ. ტომრების დატვირთვა უშველეთ. ამიტომ დავსხეს ნავეებზე და გადაგვიყვანეს. ერთ მდინარეში, რომლის სახელიც არ მახსოვს, ფეხით გავედით. მდინარე ძალიან განიერი იყო და თითქმის გაჩერებული, დილის 4 საათზე ჩავედით წყალში და ნაშუადღევს ძლივ გავახწიეთ. ზოგან ღრმა იყო, ზოგან წელამდე გვწვდებოდა. გაღმა მეთევზეები იყვნენ. ძლიან კარგად მიგვიღეს. გვასვეს და გვაჭამეს. აქ იყო ძაღლები, რომ დაგვესივნენ. აქვე იყო, ცეცხლზე რომ ლეკური დავუარე. ეკატერინოდარს ქვემოთ ოსებმა დაგვიქირავეს სიმინდის სამტვრევად. ჩვენთან ერთად ორი სხვა „ბოსიაკიც“ იყო. შუა დღისას სადილათ ხორციც მოგვიტანეს. გემოსა და ფერზე შევატყვე, რომ ხორცი ცხენისა იყო. როდესაც ეს ამბავი ჩემს ამხანა-

გებს გადავეცი, წამოხტენ ყველანი და გამოუდგენ მასპინძელს, რომელმაც ტყისაკენ მოჰკურცხლა. ერთ ადგილას მე და პეშკოვს ძალიან შეგვცივდა. რკინის გზის ლიანდაგით მივდიოდით. ერთი ღერი შემავერსად ვიპოვეთ, რომ ცეცხლი დაგვენთო, ბოლოს მივადექით ტელეგრაფის ერთ ბოძს, რომელსაც დასამაგრებლად მეორე პატარა ძველი ბოძი ჰქონდა მიდგმული. ამოვიღეთ პატარა ბოძი, ცეცხლი გავაჩაღეთ, აქეთ-იქიდან მოვუჯექით და დავიძინეთ. თურმე ისეთი კოცონი დამდგარა, რომ ალი ტელეგრაფის მავთულებს სწვდებოდა. მატარებელს გაევილო. ერთი ალიაქოთი ამტყდარიყო. სადგურიდან ჟანდარმები გამოეგზავნათ. დაგვიჭირეს და სადგურში წაგვიყვანეს. მე და პეშკოვს გულში გვიხაროდა. გვეგონა ეტაპით გაგვაგზავნიანო, მაგრამ არაფერი გამოვიდა: გამოგვკიბხეს საქმე და გვითხრეს, მიბრძანდით, სადაც გნებავთო.

„ასე და ამ რიგად კავკავამდე მოვახწიეთ. ქალის შესახებ მოთხრობაში აწერილი ამბავი ტყუილია. არც ერთ სტანიცაში მე ქალი არ გამიცნია და პეშკოვისთვის ხუთი მანეთის მოპარვა არ დამიბრალებია. მარმაშის მოპარვის ამბავიც ტყუილია. როდესაც კავკავს გამოვცდით, პეშკოვმა მითხრა, ეხლა შენ ქვეყანაში მოვედით, აბა, წადი და იშოვე რამეო, მართლაც აქამდე სულ პეშკოვი შოულობდა ფულსაც და საქმელსაც. დავიწყე მეც თხოვნა, მაგრამ არაფერი გამოვიდა: ზოგმა ლანძღვით გამომაგდო, ზოგმა ძაღლები დამისიანა. ისევ პეშკოვი შეუდგა საქმეს. მოხერხებული კაცი იყო. აქაც „იამშიკებისაგან“ შოულობდა ხოლმე ცოტა რამეს. კავკავიდან ტფილისამდე შვიდი დღე ვიარეთ. მგზავრობის განმავლობაში ფეხებზე თითქმის სულ არა სცმია რა. ისე გაუსქელდა ფეხის გული, რომ „პოდმეტკები“ გვეგონებოდათ. მუხლებ ქვემოდ შარვალი შემოგლეჯილი ჰქონდა და ტიტველა კანკები უჩანდა. მცხეთაში მამასახლისთან მივედით. ვთხოვეთ, ღამე გაეთევებინა. ვუთხარი, მე ქართველი ვარ-მეთქი, მაგრამ არც ამან გასტკრა. თქვენისთანა მაწანწალა ათასი დაეთრევაო. ბოლოს იქ ჩავესხა, სადაც ტუსალებს აწყვდევენ. მეორე დღეს ტფილისისკენ წამოვედით. ჯერ კიდევ ადრე იყო, ვერიდან ტფილისს რომ მოვატანეთ. დღისით შემოსვლა არ მინდოდა. რადგან ნაცნობები მყავდა შეიძლება შევხვედროდი. ამიტომ შევიცადეთ და შეღამებისას შემოვედით ვერიდან. ვერის ხიდს გავედით და ვოგზლისაკენ გავსწიეთ. რკინის გზის სახელოსნოში ჩემი შორეული ნათესავი მსახურობდა სლესრად და იმასთან მივედით. პირველად ვერ მიცნეს: მეცა და პეშკოვიც ალ-ქაჯებსა ვგვანდით, თმა გაუკრეჭავნი და ძველ ნაფლეთებში გამოწყობილნი. შემდეგ მიცნეს, შეგვიყვანეს, გვასვეს, გვაჭამეს, ტანისამოსი გამოგვი-

ცვალეს და აბანოშიაც წაგვიყვანეს. პეშკოვს ვიღაც ნაცნობი ჰყავდა რკინის გზის გამგეობაში, მთხოვა მეორე დღეს იქ წავსულიყავით. როდესაც მივედით, პირობა მივეცით ერთმანეთს, რომ იქვე შევხვედროდით, რადგან მე ბაზარში მივდიოდი. დავბრუნდი იქიდან და პეშკოვი ველარა ვნახე. ის იყო და ის, ერთი თვე კიდევ დავრჩი ტფილისში, მაგრამ პეშკოვი ველარსად ვნახე. მას შემდეგ აღარაფერი გამიგონია ამ კაცზე. ასე რომ მოთხრობის დასასრული, ვითომ მე მოვატყუე პეშკოვი და ვერის ხიდთან მივატოვე, ნამდვილი არ არის“.....

— : —

შევაჩვენს და ქარიზხალას

(მაქსიმ გორკის მოსვლის გამო საბჭოთა რუსეთში)

რუსეთის ზეგანს მთა არ სჩვევია,
ის არის ერთი ვრცელი მაღლობი,
თითქოს აქ კრებათ მონაწვევია
თანასწორობა მთელის სახლობით!..

ისმის ბაასი ვოლგასთან დნებრის,
ხან სიტყვას იღებს ნევა თუ დონი,
ურალს უვალი შენიშვნებს ესვრის
და ჰქრის ზღვით — ზღვისკენ პოსეიდონი.

არის ბაასი, ჯიბრი და ჯანყი,
თითქოს ეს შვების ზვირთთა ჯიქია,
სტენკა რაზინი იარალს არ ჰყრის,
არც პუგაჩოვის სცხრება სტიქია...

და თუ მწვერვალი არა სჩანს მთების,
თუ ბასვრით ის ცას არ ემუქრება,
არის სამშობლო ამბოხი ძმების
და თანასწორობა მძლე ამქუხრება!..

ერთხელ... ეს იყო წარსული ჟამი:
იწვა ამ ველზე დიდი „უდავი“,
ყბებში უსაზღვრო ეყენა შხამი,
არვინ რჩებოდა გაუგუდავი...

მის მძლე რგოლებში წელში სწყდებოდენ
ნაძვი თუ არყი, სოჭი თუ ღვია,
ტანჯვის ცრემლებით იხოშრებოდენ,
ვისაც ის გველი ყელზე ეხვია!..

არ იყო იგი მხოლოდ „ანკარა“,
რომ შეაჯიბრა „შევარდენს“ გორკიმ,
მას დამარცხება მთებში აკმარა,
მაგრამ დაბლობი ითმენდა ბორკილს!..

და აღსდგა, როგორც რკინის ჯაგარი,
ნაძვი თუ არყი, სოჭი თუ ღვია,
ცეცხლის და ელვის აიჭრა ქარი
და სისხლის ღელე წავიდა, ღვრია...

ამბავი ესე მან მოიტანა,
დაარქვა იმას მძლე „ქარიშხალა“,
მას ხელში მისცა მახვილი დანა,
გულში — ცეცხლი და ძარღვებში — ძალა!..

თვითონ კი იყო მძლე შევარდენი,
მტერი და რისხვა ყველა გველების!
ოჰ, მთა შესტრფოდა იმას რამდენი
და მადლიერი თვალი ველების!..

და მახრჩობელა გველი — „უდავი“,
ზეგანს რომ ჯაჭვით ეხვია ტანზე,
თვით გახდა მისი სულთა-მხუთავი:
დასწყვიტა და შორს გასტყორცნა განზე!..

შევარდენი კი, ვინც რომ პირველად
ასტეხა ომი ქვეწარმავალთან,
კვლავ დღეს განაგრძობს გაუჭირველად
და ლხენით ხვდება მთის ყველა კალთა!..

დღეს მას, ვით სტუმარს და თავისიანს,
რუსეთის ზეგნის ხვდება მალლობიც:
მიესალმება შევარდენს, ფრთიანს,
ხსნის ქარიშხალა, გულში მადლობით!..

— : —

მაქსიმ გორკის სოციალ-ესთეტიური არა

მაქსიმ გორკი ლიტერატურის ისტორიაში ისეთივე მოვლენაა, როგორც ჟან-ჟაკ რუსო; მართალია: შემოქმედებითი ფორმები გორკისა და რუსოს სხვადასხვაა; პირველი იწყებს იდეებით და ათავებს ლიტერატურულ თქმის ემოციებით, მეორე იწყებს ემოციებით და ათავებს ლიტერატურულ თქმის იდეებით; პირველი განცდის მოქანდაკეა, მეორე განცდიდან მიიმართება აზროვნებისაკენ; პირველი დიდი მხატვარია, მეორე დიდი მოაზროვნე მხატვრული სახეებით.

მიუხედავად ამ განსხვავებისა, გორკის და რუსოს შორის დიდი მსგავსებაა; გორკი ისეთი გზით შემოვიდა ლიტერატურაში, როგორც ჟან-ჟაკ რუსო. დასავლეთ ევროპის ფეოდალურ არისტოკრატის ძლიერ პოლიტიკურ-სოციალურ და სახელმწიფოებრივ სისტემასთან ერთად ჰქონდა შესაფერი ლიტერატურულ-ფილოსოფიური იდეოლოგია. დასავლეთ ევროპაში მემამულე ვოლტერი, მიუხედავად თავისი სკეპტიკური იუმორისა, ისე ამშვენებდა ამ იდეოლოგიას, როგორც არისტოკრატი მონტესკიე და ინდივიდუალისტი ლაროშ ფუკო, ან ლიტერატურულ თქმათა კანონმდებელი ბუალო: აზროვნებისა და მეტყველების სფეროში ყველაფერი ისე იყო მოგვარებული, როგორც პოლიტიკასა და სახელმწიფოში, საზოგადოებასა და ოჯახში; წესი და ზომიერება, პატიოსნება და ადამიანობა, სიკეთე და ბოროტება თანამედროვე საზოგადოების გაგებაში ისეთი იყო, როგორც შეეფერებოდა გაბატონებული ჯგუფის ფსიქოლოგიას.

ამ დროს ევროპის ლიტერატურაში ქარიშხალივით შემოიჭრა ადამიანი, რომელიც უარყოფდა გაბატონებული ჯგუფის ესთეტიურ-მორალურ კოდექსს: ეს იყო ჟან-ჟაკ რუსო; კაცი, რომელსაც ეზიზღებოდა თანამედროვე საზოგადოება მთელი თავისი მეშხანური ზნეობით და ლატაკი სულით და რომლის განცდაში დულდა დიდი სურვილი ბრძოლისა თავისუფლებისა და ადამიანობისათვის; ასეთივე იყო სოციალური სიტუაციით გორკის ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისი: ბალმონტი და სოლოგუბი თავიანთი ინტელიგენტურ-

ნიცშეანური ინდივიდუალიზმით, ჩეხოვი სევდიანი და მელანქოლიური სიტყვებით, ტოლსტოი ბარინული გულკეთილობის მუჟიკური გამარტივებით წარმოადგენენ გორკის თანდროული ლიტერატურული იდეოლოგიის მთავარ მიმდინარეობებს. თითოეული ლიტერატურული მიმდინარეობა ასე თუ ისე გამოსახავდა თავისებურ განხრას სოციალურ კულტურისა და ძალთა რეალურ დაჯგუფებისას: ჩეხოვის ინტელიგენციის სევდიან თქმაში იყო ერთგვარი სიმართლე და სილამაზე, ერთგვარი ლოგიკა სოციალური განცდისა, რომელსაც გამოფიტული ჰქონდა ორგანიული ენერგია ბრძოლისა და მოქმედების და რომლის სულში დარჩენილი იყო წარსულის სიტკბოება და ადამიანობის ზოგადი რომანტიული გულაჩუყება; თედორე სოლოგუბი და კონსტანტინე ბალმონტი რუსული საზოგადოების იმ ფენას წარმოადგენდენ ფსიქოლოგიურად, რომელსაც კუნთებში უხიციანებდა მაძლარი ინდივიდუალიზმის სიმთვრალე. ნიცშეს აზრების დილექტანტური გაგებით ეს სიმთვრალე ეძიებდა გამართლებას ისეთ პოეტურ გამოთქმაში, რომელსაც ახასიათებდა ემოციების სიღარიბე და ბგერათა ზედმეტი ხმაურობა.

ფეოდალური კულტურის რღვევამ და ბურჟუაზიული წარმოების ანარქიამ ადამიანი დააშინა: დოსტოევსკის მთელი ლიტერატურული იდეოლოგია ამ დაშინებული და სოციალური ყოფის სისტემას მოკლებული ადამიანის ფსიქოლოგიაა; კაპიტალისტური წარმოება ფეოდალური კულტურის ნანგრევებზე იწყებს უსისტემო თარეშს და ცალკეული ადამიანი თავისი განცდებით და იდეალებით თითქო იკარგება ქვეყნად; ადამიანს თითქო ემუქრება სამყარო, ცხოვრება, გარემო; დაშინებული ადამიანი მიეჩქარება ამოწუროს ერთბაშად წარმავალი ყოფის სიამოვნება ძლიერ განცდაში, სიამოვნების უმაღლეს ფორმაში. ასეთია ინდივიდუალიზმის ფსიქოლოგია და როდესაც მაქსიმ გორკი შემოვიდა ლიტერატურაში თავისი ლამაზი სიმღერებით და სოციალური შინაარსის მოთხრობებით, ამ ფსიქოლოგიას ერთგვარი იდეოლოგიური არე ჰქონდა. ხოლო სხვადასხვა წრე საზოგადოებისა ამ ფსიქოლოგიას განიცდიდა სხვადასხვა განხრებით, სხვადასხვა ესთეტიურ-სოციალური ინტერესებით. კლასი, რომელიც წარმოებისა და სოციალური იერარქიის სათავეში იდგა, საზოგადოების დაძლევას აპირებდა ძლიერი სურვილებით და ცხოვრების უმაღლეს სიამოვნებათა მოპოვებას ცდილობდა ინდივიდუალისტური პრინციპების საშუალებით. მაგრამ კლასი, რომელსაც მუდმივი ადგილი არ ჰქონდა წარმოებაში, რომელსაც ოდესის, მოსკოვისა და ვოლგის მიდამოებში უხდებოდა უსაქმო ხეტიალი, ცხადია ბრძო-

ლის სურვილებითა და ძლიერი განცდებით მიილტვოდა საზოგადოებისაკენ. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ მაქსიმ გორკი ლიტერატურულ მოღვაწეობას იწყებს ბალმონტისა და სოლოგუბის ეპოქაში, მაგრამ ინდივიდუალიზმის ანარქო-ბუნტარულ სურვილებს უმორჩილებს მალე კლასთა ბრძოლის სოციალურ პრინციპს. მაქსიმ გორკის ლიტერატურული იდეოლოგია სოციალური მძლეობის, ბრძოლის სურვილების და ცხოვრების სიყვარულის ქადაგებაა! რაოდენად სევდიანი და კაეშნიანია ბალმონტისა და სოლოგუბის ესთეტიური თქმა, იმდენად იმედებით და მტკიცე რწმენით სავსეა გორკის მოთხრობები: გორკის მოთხრობებსა და პიესებში ყოველგან ისმის ხმა ცხოვრების წყურვილისა და ბრძოლის — ძლიერი, მტკიცე, ურყევი ხმა უშიშარი ადამიანის. მაქსიმ გორკის ნაწარმოებებში ჩვენ პირველად ვხედავთ ლიტერატურულ ტიპებს, რომელთაც წინად არ ჰქონებიათ ადგილი; ეს ტიპები გამოყვანილია ისეთ სოციალურ წრიდან, რომელსაც ანგარიშს არ უწევდენ და არ აკვირდებოდენ, რომელიც თითქო ისტორიის გარეშე იყო.

გორკის „დედა“ და „მტრები“ კლასთა ბრძოლის ეპოპეაა: ამ ნაწარმოებებში გორკიმ დაალაპარაკა ისეთი ლამაზი გრძნობები, ისეთი ძლიერი სურვილები, ისეთი ესთეტიური სახეები, რომელთაც ატარებდენ ჩაგრულთა და დევნილთა მილიონები თავიანთ მწარე ცხოვრებაში; ამ ტიპებს გორკის თანამედროვე პოეზია პესიმისტურად უმღეროდა ბიბლიურ ჰანგზე:

Лохмотья жалкие одежды,
Печать страданья на челе
И взор молящий без надежды
О лучшей доле на земле.

მონობისა, მორჩილებისა, წვალებისა და მოთმენის იდეას მაქსიმ გორკიმ დაუპირდაპირა იდეა ბრძოლისა და ოპტიმიზმის: პუშკინის შემდეგ მაქსიმ გორკი პირველი მწერალია რუსულ ლიტერატურაში, რომელმაც მოგვცა თავისი ესთეტიური სახეებით ცხოვრების სიყვარულის ლიტერატურული კათეგორია; გორკის ნაწერებში იშვიათად ნახავთ ადამიანს უიმედოს და საცოდავს; უდიდესი ტანჯვისა და წვალების წუთებში გორკი მოხერხებულად ახედებს თავის გმირებს გამარჯვებისა და ბრძოლისაკენ. ბრძოლა და შრომა, ცხოვრების სილამაზე, ნდომის ძალა და ადამიანი, როგორც ორგანიზატორი შეადგენენ ყურადღების საგანს. მაქსიმ გორკი აღმზრდელია ძლიერი სოციალური ნებისყოფის და ამ მხრივ მისი ლიტერატურული კონცეპცია რუსოს და ტოლსტოის კონცეპციებს წააგავს. ამ კონცეპციის

დამახასიათებელია საქმიანი და გამოყენებითი თვისება ლიტერატურისა; სოციალური ფსიხიკის ორგანიზაცია, მასის ამეტყველება, მოქმედება ადამიანთა შეგნებაზე, ადამიანების ამოძრავება ესთეტიური სახეებით — აი რა ახასიათებს მაქსიმ გორკისა, რუსოსა და ტოლსტოის ესთეტიურ პრინციპს; ლიტერატურა როგორც სოციალურ განცდათა დოკუმენტი ყველაზე უფრო საყურადღებო ფორმაა იდეოლოგიისა და ყველა ეპოქისათვის შეიძლება ითქვას, რომ ლიტერატურის ღირებულება განიზომება სოციალური ფსიქოლოგიის ასახვით.

გორკის ყველა ნაწარმოები იწყება და თავდება სოციალური ემოციებით. თქვენ გრძნობთ, რომ თქვენ კითხულობთ ისეთ ნაწარმოებს, რომელიც თქვენთვის არის დაწერილი და თითქო თქვენს განცდებს გამოსახავს; ამიტომ გორკის ნაწერები არ არის უბრალო, მეშჩანური სტილისა და განცდის მოთხრობები და რომანები. ამ მოთხრობებსა და რომანებში არის ორგანიზაციულ და სოციალურ განცდათა ამწყობი რალაც ესთეტიური ძალა. აიღეთ ბობორიკინი, წაიკითხეთ რომელიმე მისი მოთხრობა, შემდეგ წაიკითხეთ რაც გნებავთ გორკის ნაწარმოებიდან; თქვენ უცბათ შეამჩნევთ განსხვავებას.

პირველ შემთხვევაში თქვენ წაიკითხავთ უბრალო თხრობას ამზავისას. მეორე შემთხვევაში თქვენ წაკითხვის პროცესში თანდათანობით უახლოვდებით სინამდვილეს და ზოგად ადამიანურ ტკივილებს განიცდით ესთეტიური წარმოსახვის საშუალებით. გორკის გამოსვლა ლიტერატურაში შეიცავს იმ ისტორიულ-სოციალურ მომენტს, როდესაც პომეშჩიკური და სოფლური იდილია ძველი რუსეთისა იცვლებოდა ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური საქმიანობით; პლენხანოვის თქმით გორკის დიდი მხატვრული დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან სთქვა „შესაფერი სიტყვა შესაფერ დროს“. დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიამ გორკის ზოგიერთ ტიპებში დაინახა ერთგვარი ბოჰემის ფსიქოლოგია და პიესა „ფსკერზე“ იდგმებოდა დიდი ანშლაგებით იმიტომ, რომ ბურჟუაზიამ ამ პიესაში დაინახა თავისი გასართობი სურათები. ბერლინის სცენაზე დადგმული პიესა „მტრები“ არ მოეწონა გერმანიის ბურჟუაზიას, ხოლო იგივე ბურჟუაზია გრძელ რიგებში იდგა თეატრის წინ, რომ აელო ბილეთები გორკის „ფსკერზე“-ს დასანახავად. რატომ? — სწორედ იმიტომ, რომ ევროპის ბურჟუაზიამ „მტრებში“ გარკვევით დაინახა მისთვის არა სასიამოვნო კლასთა ბრძოლის ცხადი სურათი და ძლიერი სახე, ხოლო პიესა „ფსკერზე“ მიიღო ამავე ბურჟუაზიამ, როგორც გასართობი ბოჰემა.

ასეთია გორკის ლიტერატურული იდეოლოგიის ევროპული, უფრო კი კლასობრივი გაგება და ეს გაგება საბოლოოდ გამოარკვია გორკის დაჭერამ: როდესაც გორკი პეტროპავლოვის ციხეში მოათავსეს, ევროპის ბურჟუაზიამ პროტესტი განაცხადა. ამ პროტესტს განსაკუთრებული ხალისით და პათოსით მეთაურობდა საფრანგეთის ფინანსიური არისტოკრატია, რომელმაც მადლობის მაგიერ გორკისაგან მიიღო სიტყვები: „ბატონებო, ჭეშმარიტი სოციალისტისათვის ბურჟუაზიის სიყვარული ზრასასურველია“.

აღსანიშნავია, რომ პუბლიცისტური და პოლიტიკური ხასიათი გორკის მოთხრობებისა და ლიტერატურული გამოსვლებისა ამავე დროს ლამაზი და საღი პოეტური სახეების მატარებელია. ყოველგან სიმშრალე და „პროზა“ დაძლეულია პოეტური და მხატვრული განცდებით, ყოველგან მდიდარი წყობა თქმათა და თავისუფალი მეტყველების რიტმი იზიდავს მკითხველს. გორკიმ დაუმტკიცა ყველა ჭვეყნის მწერლებს, რომ თემა შეიძლება იყოს ყოველდღიური და პრაქტიკული და მისი პოეტური განსახიერება უაღრესად მხატვრული და მიმზიდველი.

ოცდათხუთმეტი წლის მხატვრული შემოქმედება გორკისა თანდათანობით მიიმართება ინდივიდუალიზმიდან კოლექტივიზმისაკენ. გორკი მთელი თავისი ყურადღებით და ემოციებით ადამიანის სოციალური ბუნების გარშემო ტრიალებს; გორკის ყველა ნაწერში ერთი და იგივე იდეაა — იდეა ადამიანის და ადამიანობის. მაკარ ჩუდრა, თომა გარდეევი, კლეში, ლევშინი, კოჟემიაკინი, რიაზინი წარმომადგენლებია იმ რუსეთისა, რომლის ადამიანურ ცხოვრებასა და სოციალურ არეს არ იცნობდა კაცობრიობა და რომლის გენეალოგია სპეციფიურ თვისებათა მატარებელია. ლუმპენ-პროლეტარული ბოჰემა, ხელოსნებისა და მეშჩანების მდორე ყოფა, კაპიტალიზმისა და რევოლუციის ორგანიზაციული ურთიერთობა, ბურჟუაზიული ინტელიგენციის ეგოისტური და უაზრო ხეტიალი გორკის ლიტერატურულ თქმაში გამოსახულია ისეთივე სისწორით და სილამაზით, როგორც ფაბრიკა-ქარხნების სუნი, ჭუჭყი, კვამლი, პურის საცხობთა სარდაფების ნოტიო, სიცხე, ან ვოლგის მიდამოების მთვარიანი ღამე ბურლაკების სიმღერებით და თვალუწვდენელ სივრცეებით. ყველგან გარკვეული და ნათელი სახეებია, ყველგან სილამეზე და სიცოცხლეა, მაგრამ ყველაფერი ტყვეობაშია და თავისუფლების საჭიროება ამეტყველებს ადამიანს. მტირალი, მოწყენილი, უხასიათო, იჭვებით დამძიმებული და მოქნარებით ყბამოქცეული რუსეთი — რუსეთი ეკონომიური უთანასწორობით მი-

რეგვილი, სევდისა, მისტიციზმისა და წუხილის არეზე გადასროლილი, ჩინოვნიკური კეთილმოწყობისა და მისი პრეისკურანტული მორალის რუსეთი მაქსიმ გორკის შემოქმედებაში შეიცვალა ცხოვრების ხალისით სავსე ადამიანის ტიპებით და ესთეტიური მძლეობის განცდებით.

გორკის ესთეტიური სოფლშეგრძნობა გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში გაგრძელება იყო იმ ანტიმეშჩანური და ბუნტარულ-პესიმისტური განცდების, რომელთა სხვადასხვა მხატვრულ ფორმებს იძლეოდენ ჩეხოვი და შემდეგ სოლოგუბი, ბალმონტი, ანდრეევი და სხვა. მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლების რეაქცია და ხალხოსნური ორგანიზაციების დაშლა გასაქანს არ აძლევდა სოციალური კულტურის ვითარებას; შეზღუდულიყო ყოველგვარი საზოგადოებრივი და პროგრესიულ-ჰუმანიური მოქმედება. ხალხის მოტრფიალეთა გმირული ბრძოლა თანდათანობით ნელდებოდა და სოციალური შემოქმედების ენერგია ალექსანდრე მესამეს ეპოქის მდორე ჭაობიდან ეძებდა გამოსავალს მეცნიერული, ფილოსოფიური-ლიტერატურული და ესთეტიური გზებით. ტიუტჩევისა და ფეტის პოეზია მხოლოდ ერთ ესთეტიურ საშუალებათაგანია მეშჩანურ ყოფის საშინელებიდან განთავისუფლებისათვის. მერეჟკოვსკისა და გიპპიუსის ესთეტიური პრინციპებიც დეკადანსის სახით ერთგვარი პროტესტი იყო მეშჩანიზმის წინააღმდეგ.—იმ მეშჩანიზმის, რომელიც გამოსახავდა ძველი ჩინოვნიკების, ნახევრად ფეოდალურ-პომეშჩიკური ელემენტების და სუსტი ბურჟუაზიის ერთმანეთთან შეთანხმებას. ამ სოციალური განცდების ერთმანეთთან დროებითი შეთანხმება სახელმწიფოებრივად გამოისახა ალექსანდრე „მიროტვორეცი“-ს პოლიტიკაში, ხოლო ლიტერატურაში ასეთი სოციალური ფსიქოლოგია ბუნტარულ-ირონიულ და პესიმისტურ იდეებს იწვევდა. ადამიანი თითქო დაპატარავდა და მეშჩანური ყოფის მყუდროებაში საზიზღრად გამოიყურებოდა:

Человечек современный, низкорослый, слабосильный,
Мелкий собственник, законник, лицемерный семьянин,
Весь трусливый, весь двуличный, косодушный, щепетильный.
Вся душа — его душонка — точно из морщин...

ასეთია თანამედროვე ადამიანი ბალმონტის დახასიათებით და მაქსიმ გორკიც ასეთივე დახასიათებას იძლევა თავის ნაწარმოებში „მოაგარაკეები“. ბალმონტი და გორკი ერთნაირად გრძნობენ მეშჩანობის უარყოფით თვისებებს. მეშჩანობა სოციალური ავადმყოფობაა, რომელიც აპატარავებს ადამიანს. ინჟინრები, ვეჟილები, ექი-

მეზი — ყველა პროფესიის ინტელიგენტები ერთნაირად განიცდიან მეშხანობის გავლენას და ერთნაირად იღუპებიან ამ გავლენის ქვეშ. „მოაგარაკეებში“ ვლასი მწარე და შეუბრალებელი სიტყვებით ასურათებს მეშხანურ ყოფაში დაპატარავებულ ადამიანებს:

Маленькие, нудные людишки
Ходят по земле моей отчизны,
Ходят и уныло ищут места,
Где бы можно было спрятаться от жизни,
Все ищут дешёвенького счастья,
Сытости, удобств, тишины;
Ходят и все жалуются, стонут,
Серенькие трусы и лгуны.
Маленькие, краденные мысли,
Модные, красивые словечки...
Ползают тихонько с краю жизни,
Тусклые, как тени, человечки.

რასაც ვკითხულობთ „მოაგარაკეებში“, იგივეა იდეოლოგიურად მოცემული „მეშხანებში“. ბესემენევის შვილები პეტრე და ტატიანა გამოსახავენ იმ სოციალურ ფსიქოლოგიას, რომელსაც არა აქვს არც დიდი საქმიანობის უნარი, არც ძლიერი ნებისყოფა, არც მტკიცე ხასიათი. მოდუნებული გრძნობა, სულიერი არარაობა, წუხილი და ტირილი, სისაწყლე, გონებრივი და ტემპერამენტული სიღარიბე, ამტკიცებენ, რომ ადამიანი, როგორც მძლე და სახიერი მოვლენა აღარ არის ქვეყნად. „ვარენკა ალესოვა“-ში ახალგაზრდა პრივატ-დოცენტი სასაცილო ტიპია, დატენილი წიგნებიდან ამოკითხული ჭკუით და ზერელე ინტელიგენტური მორალით. დრამაში „მზის შვილები“, რომელიც დაწერილია მოგვიანებით — 1905 წ., გორკი ცოტა უკეთეს დახასიათებას იძლევა რუსეთის ინტელიგენციისა. პროტოსოვი გატაცებული მეცნიერია. ცოლი მისი ახალგაზრდა და სიცოცხლით სავსე ქალია. მაგრამ არც ერთმა არ იცის, როგორ მოიქცეს პრაქტიკულ ცხოვრებაში და ამიტომ ისე საცოდავად გამოიყურებიან, როგორც ჩეხოვის „ცნობილი პროფესორი“ „Скучная история“-ში.

ოთხმოცდაათიანი წლების მოდუნებული სოციალური განცდა გრძელდება ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში და მაქსიმ გორკი სწორი ამსახველია ამ მოდუნებული სოციალური განცდისა. მთელი რიგი სუსტი ნებისყოფისა და უმოქმედო ადამიანების ტიპებისა გამოსახავენ იმ ინტელიგენციის უაზრო ცხოვრებას, რომელმაც დაივიწყა ნაროდნიკობის დიდი ტრადიცია და ახალი გზა მოქმედებისა

ვერ მოუნახავს. ამ ტიპების დახასიათებაში თქვენ გრძნობთ, რომ გორკი როგორც სოციოლოგი, ეძებს გარშემო აქტიურად მეტროპოლ სოციალურ ძალას, ადამიანობის მაღალი ღირსების სტიმულს. ინტელიგენციიდან გორკი გადადის გლეხობაში, მაგრამ აქაც ისეთივე სურათს ხედავს, როგორც ინტელიგენციაში. მოთხრობაში „ჩელკაში“, ქურდი ჩელკაში უფრო მეტ ადამიანობას იჩენს, ვიდრე გლეხი გაბრიელა, რომელიც ფულის სიყვარულისათვის მზად არის ყველაფერი იკადროს. მოთხრობაში „მალვა“ სერიოზულაა ზიზლით იხსენიებს მუჟიკებს. გორკი ფსიქოლოგიურათ თანდათანობით უახლოვდება ქალაქის პროლეტარიატს და ამ დაახლოვებას გამოსახავს ისეთი გარკვეული იდეოლოგიის შემცველი ნაწარმოებებით, როგორიცაა „დედა“, „მტრები“, „ზაფხული“ და სხვა... კლასთა ბრძოლის იდეამ გორკი მხატვარი სოციალური კვლევა-ძიების გზით ბოიყვანა ოქტომბრის რევოლუციამდე. ინდივიდუალისტი, აღზრდილი გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიული კულტურის თანამგზავრი, რომანტიკოსი დემოკრატიზმის უსისტემო და ანარქო-ბუნტარულ განცდებიდან მტკიცეთ მიიმართება კოლექტივიზმისაკენ. რაოდენად ჩეხოვის შემოქმედება წარმოადგენს დეკადანსის სოციალურ ეპოპეას თავისებური ტკივილებით და ლირიკით, იმდენად გორკის ნაწერები შეიცავენ იდეას ცხოვრების რეორგანიზაციის შესაძლებლობისა და რევოლუციისას. ცხოვრების სილამაზე ტყვედ არის და საჭიროა განთავისუფლება, გვეუბნება გორკი ყველა თავის ნაწერებში. ჩეხოვი მიდის სინამდვილესთან ოსკარ უაილდისა და გიუი-დე-მოპასანის პოეტური ჭკრეტით. ცხოვრება თითქო შუშაბანდი იყოს მოვლენათა და განწყობათა. გორკი სდგას სინამდვილის ქარიშხლიან არეზე უშიშარი სახით და არწივის თვალებით. ცხოვრება იშლება მის თვალთ წინ, როგორც ორგანიზაციული პროცესი და რღვევის ქაოსში ის ხედავს მომავალი წყობის სილამაზეს. გორკის ნაწერებში შეგხვდებათ დამაფიქრებელი ადგილები. ლევშინის სიტყვები „მტრებში“, მთელი თეორიაა კლასთა ბრძოლის თავისებურობის და სოციალურ ურთიერთობის. ფრაზა: „Не тот убил, кто ударил, а кто злобу родил“, ისეთივე ფორმულაა კაცობრიობის სოციალური ტკივილებისა, როგორც ისტორიკოსი ბოკლის თქმა — „ბოროტება ადამიანში კი არ არის, არამედ საზოგადოებრივ ყოფაში“. გორკის მხატვრულ შემოქმედებაში ორი დიდი და აუცილებელი მხარე სინთეტიურად შედუღებულია ერთმანეთთან — მდიდარი ფაბულა და სოციალური იდეები ერთად იძლევიან მთლიან ესთეტიურ განცდას. მართალია გორკის ნა-

წერებში არის ადგილები რიტორიული, ტენდენციური და მშრალი. მაგრამ ამ ადგილებშიაც თქვენ ხშირად წააწყდებით საყურადღებო მოვლენებს ყოფაცხოვრებისას და ადამიანთა ურთიერთობისას. ტენდენცია მოცემულია სოციოლოგიურ ფორმაში და საინტერესოა როგორც სოციალურ ფსიქოლოგიის ეპოპეა. ასეთია „კლიმ სამგინის ცხოვრება“, „მტრები“, „დედა“ და სხვა. სამაგიეროთ მეტყველებისა და ესთეტიური განცდების შედეგია მოცემული ოზერგილის ამბავში და კოჟემიაკინის სიტყვებში: ძლიერი და თბილი ქარი, თმაგაშლილი ქალების ფანტასტიური და ვნებიანი სახეები, მამაკაცები შავი უღვაშებით და ბრინჯაოს გამომეტყველებით, ზღვის ჰაერის მარილიანი აორთქლება და სივრცეში მოხეტიალე ღრუბელთა ბაბთები იძლევიან სამყაროს ესთეტიურ გამოსახულებას რაღაც გამოუთქმელი იმედებისა და არსებობის სიხარულის განცდებით. ასეთივე მშვენიერი ესთეტიური სახეებია მოცემული ვოლგის მიდამობის აწერაში: ნავეები, ბარჟები, ბურლაკები, ვარსკვლავიანი ღამის სიჩუმე და მედიდური ვოლგის ლალი მკერდი თითქო ეუბნებიან ადამიანს: იცოცხლე და დასტკბი ცხოვრების სილამაზითო. გორკი მხატვარია ადამიანის მძლეობისა და ცხოვრების სილამაზის. დოსტოევსკის და ჩეხოვის ესთეტიურ წარმოსახვაში სჭარბობს ადამიანის ფსიქოლოგიური წვალების იდეა. გორკის ესთეტიურ წარმოსახვაში მთავარია ადამიანის მძლეობა და ცხოვრების სილამაზე, მიმოფანტული ბუნების უსაზღვროებაში

გორკის შემოქმედების ოცდათხუთმეტი წლის ევოლიუციაში სოციოლოგიური თვალთახედვით აღინიშნება ოთხი ესთეტიური ბიოსფერო. პირველი ბიოსფერო შეიცავს ინდივიდუალიზმისა და ანარქობუნტარულ განცდების ეპოქას. ამ პერიოდის გორკი თავის ესთეტიურ განცდას გამოსახავს ძლიერი პიროვნებისა და სილამაზის იდეაში. ფრიდრიხ ნიცშეს რომანტიულ-ესთეტიური ინდივიდუალიზმია მოცემული ლოიკო ზობარისა და რადდას თავგადასავალში, ხანისა და მისი შვილის უნუგეშო სიყვარულში, გრიგალის სიმღერაში, რაინდ დანკოს გმირულ საქციელში, ჩელკაშის ზნეობრივ პათოსში, კონოვალოვის მინდვრებისა და ზღვისადმი სიყვარულში, მშვენიერ მალვას შორეულისადმი ლტოლვაში.... ამ პერიოდის ესთეტიური ფორმულაა: ცხოვრება ვიწროა, ადამიანის სული კი ფართო. მეორე ბიოსფერო ინტელიგენციისა, გლეხობისა და ვაჭრების დახასიათებას წარმოადგენს. მაქსიმ გორკი თითქო მაჯას უსინჯავს რუსეთის სინამდვილეს და თითოეულ სოციალურ ფენაში ეძიებს სასიცოცხლო ძალას: „მოაგარაკენი“, „მზის შვილები“, „ვარენკა ალესოვა“, „ოზორნიკი“, „სამ-

ნი“. „თომა გორდეევი“ ამ ესთეტიური წრეწირის ამეტყველებაა მეშ-
ხანური და უნებისყოფო ინტელიგენციის გამათრახებით, აზნაურუ-
ლი მოქნარებისა და გულუბრყვილო ფიქრების განცდებით. ხოლო რუ-
სეთის კაპიტალიზაციის პროცესი და ბურჟუაზიის ზრდა გორკიმ ეპი-
ური დამშვიდებით გამოსახა ვაჭარ მაიაკინის ტიპში.

მესამე ესთეტიურ ბიოსფეროს გორკის შემოქმედების ევოლიუცი-
აში კლასთა ბრძოლის იდეა წარმოადგენს. გორკიმ თითქო დასძლია
ანარქო-ბუნტარული მომენტი თავისი სუბიექტიური წვალებისა. მი-
სი ესთეტიური განცდა ორგანიულად უახლოვდება სოციალური ყო-
ფის ტრაგედიას და მხატვრული მეტყველება მისი ეფინება სოციო-
ლოგიურ პრობლემათა გარშემო. „დედა“, „მტრები“, „აღსარება“,
„ზაფხული“ კლასთა ბრძოლის ესთეტიური სახეებია მდიდარი ლი-
ტერატურული და არტისტიულ-დრამატიული მიღწევებით. სოცია-
ლური ფსიქოლოგიის საინტერესო მომენტებით.

მეოთხე ესთეტიური ბიოსფერო გორკის შემოქმედებისა სინთე-
ტიური ხასიათისაა: გორკი თითქო ჯამს უკეთებს თავის ესთეტიურ
ძიებათა სხვადასხვაობას და მიდის იმ დასკვნამდე, რომ იდეალური
ადამიანის ტიპი, რომელსაც იგი ეძიებდა მრავალი წლის განმავლო-
ბაში. წარმოიშვება სრული კულტურული რეორგანიზაციისა და რე-
ვოლიუციის გზაზე: ინდივიდუალიზმიდან გორკი მიიმართება სოცია-
ლისტურ კულტურისაკენ ცხოვრების დიდი სხეცვარულით და მტკი-
ცე უნებისყოფით.

— : —

მამსი მორაკი

ქარტეხილივით დაგრიგალობდი,
გიყვარდა მიწა და მზით ანთება
და ცეცხლის სიტყვებს როცა გალობდი,
ჰყრიდი შანთებათ.

მოულოდნელად მოვარდი „ფსკერით“
და აიმართე, ვით იალბუზი...
ბევრჯერ მოგრიხე მახვილი ცქერით
ცარიზმის კუზი.

არაა კუთხე რუსეთის მკერდზე,
არ დაგედალოს შიშველი ფეხით...
ჰფიქრობდი მუდამ ჩაგრულთა ბედზე,
მტარვალთა მეხი.

უყვარხარ ყველას... მაგრამ ტფილისი, —
შენი პირველი ფიქრის მზვერავი, —
ისე გაგათბობს თავის თბილი მზით,
როგორც ვერავინ!

15/V — 28.

მაქსიმ გორკი

(ს ა რ ე ნ ტ ო შ ი)

მე არ მაკვირვებს
ბლოკის „ბეატო“
და უფრო მეტად
პუშკინის „ბრენტა“!
მე ვიტყვი მარტო:
„კასტალამარე“!
და თქვენ დარჩებით სხვა ცის ამარა.

როცა მე ვამბობ:
გორკი — სარენტო!
მსურს შევადარო
ვოლგა პოს!
ალექსანდრ ბლოკ
კიდევ მესმის კასტალამარზე,
რადგან აენტო,
რადგან შეაქო
მშვენიერი ქალი, ლამაზი
ცხელ იტალიის დამწველი მწუხრის
ფერების მსგავსად!
ადრიატიულ ტალღების იქეთ
მოსჩანს ბაღები ლიმონის, დაფნის,
ვით საამური სახელი დაფნის,
დაძინებული ანჯელო მიქელ
და დიდებული დანტეს სამარე!
კასტალამარე!

ზის ზღვასთან გორკი და აგონდება
გრძელი კანკებით
გზები განვლილი
და ზღვა იშლება წინ ლილისფერი —
ხოჭო, კენკები.

შორს ვენეციის მყრალსა გონდოლებს
გადაიფრენენ ბრმა ღამურები
და მაქსიმ გორკის მოაგონდება
მშობელი ქვეყნის ახლა პურები.

გორკი ტვირთავდა ვოლგაზე ბარკებს,
გულს უღონებდა ჩაგრულთა ტანჯა
და ავრცელებდა უდრგომელ მაჯით
არალეგალურ წიგნების პარკებს.
იყო დახვრეტა, ციხე, ციმბირი,
კვლავ ცხრაას ხუთში სისხლი დაღვრილი
და აგონდება მას თვისი გმირი —
თავდადებული „დედა“ და შვილი.
მაშინ აწყვეტილ „შევარდენს“ ჰგავდა
მისი გრძნობა და სურვილი ბრძოლის.
გორკის „ქარიშხლით“ ხომ დანაგავდა
ძველი ცხოვრება მეფის და მონის.
ტანზედ ემოსა ბოსიაკს კონკი,
ეტრფოდა ცოდნას და მაღალ მიზანს,
„ინტელიგენტი მებულკე“ გორკი
მსმენელად ჰყავდა ბებტერევს ყაზანს.
მან დააარსა ლენინთან ერთად
სამოქალაქო ომის დროს სახლი —
თავშესაფარი რუს მეცნიერთა
და სურდა აღზრდა მშრომელი ხალხის.

გახსნა ბარათი: „გორკის, სარენტო“!
სწერს მოწაფენი საბჭოთა ძიას...
მოგონებებით გული აენტო
და რუს ბავშვივით თვალები ღია.
იგი აქ არის კასტალამარზე.
ნეტავ როგორ სძლებს იტალიაში,
სადაც ფაშისტთა კასტაა? მაგრამ
გამოჩნდა, მოდის წიგნებით ხელში!
აცრემლებული ძია მაქსიმე
ბრუნდება ზღვიდან ეხლა ვილაში;
რუსეთის ხალხზე ფიქრებით მძიმე
ღრმა ნაკვალევი რჩება სილაზე.

მ აქ ს ი მ გ ო რ კ ი დ ა ლ ე ნ ი ნ ი.

I.

ამერიკიდან ევროპაში დაბრუნებული გორკი 1906 წლის ოქტომბერში დასახლდა იტალიის კუნძულ კაპრიზე. შემდეგ წელს, მაისში, იგი მიწვეულ იქნა სათათბირო ხმით რუს. სოც.-დემოკრატიულ ყრილობაზე — ლონდონში. აქედან იწყება მაქსიმ გორკისა და ვლადიმირ ლენინის მჭიდრო დაახლოვება. გულწრფელი სიმპატია ურთიერთისაღმე, გამოწვეული იმით, რომ ერთი იყო დიდი მწერალი ხოლო მეორე — უდიდესი პოლიტიკური ბელადი, ჩქარა გადაიქცა პირად პატივისცემათ და უაღრეს მეგობრულ დამოკიდებულებათ.

1908 წელს, როდესაც რუსეთში გამეფდა სასტიკი რეპრესიები, ლენინმა დასტოვა ფინეთი და ჩავიდა შვეიცარიაში. მას, ბოგდანოვსა და დუბროვინსკისთან ერთად ბოლშევიკური ცენტრისაგან დავალებული ჰქონდა ფინეთიდან გაზეთ „პროლეტარის“ გამომცემლობის გადმოტანა და ხელმძღვანელობა. შვეიცარიაში ჩასვლისთანავე, იანვარში, ლენინსა და გორკის შორის გაიმართა რეგულიარული მიწერ-მოწერა, რომელსაც ქვემოთ შევხებით უფრო დეტალურათ. 1908 წლის გაზაფხულზე ლენინი ესტუმრა გორკის მის კუნძულზე. ეს ის დრო იყო, როდესაც გამწვავებული ბრძოლა სწარმოებდა ფილოსოფიურ-თეორეტიკულ საკითხებზე ლენინსა და გორკი-ბოგდანოვ-ბაზაროვ-ლუნახარსკის შორის. მეორეთ ლენინი ეწვია გორკის იმავე კუნძულ კაპრიზე 1910 წლის ზაფხულში, რამდენიმე დღით. ამის შემდეგ ლენინი გადასახლდა ავსტრიაში, ხოლო მ. გორკიმ ისარგებლა რომანოვთა დინასტიის საიუბილეო ამნისტიით და 1913 წლის დეკემბერში დაბრუნდა რუსეთში.

გორკის და ლენინის შემდეგი შეხვედრა მოხდა მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. თავის მოგონებაში ლენინზე გორკი გვიამბობს: „1918 წლამდე, ლენინის მოკვლის ყოვლად საზიზღარ ცდამდე, მე მას არ შეხვედრივარ რუსეთში და შორიდანაც კი არ მინახავს იგი. მე მიველ მასთან სანახავათ მაშინ, როცა ის ჯერ კიდევ

კარგათ ვერ ხმარობდა ხელს და დაჭრილ კისერს ძლივს ამოძრავებდა. ჩემ მიერ გამოთქმულ აღშფოთების საპასუხოდ მან სთქვა ისე უხალისოდ, როგორც ისეთ რამეზე, რამაც მას უკვე თავი მოაბეზრა: — ჩხუბია რას იზამ? ყველა ისე მოქმედობს, როგორც შეუძლია... გორკი დასძენს — ჩვენი შეხვედრა იყო მეტად მეგობრულიო“. ასეთი მეგობრობის საფუძველზე იყო დამყარებული შემდეგი ურთიერთობა მათ შორის 1921 წლამდე, როდესაც რევოლუციონური დღეების სიმკაცრით და ცხოვრების მოუწყობლობით ნერვებ აწეწილი და დაავადმყოფებული გორკი ლენინის დაბეჯითებული თხოვნით სტოვებს რუსეთს და მიემგზავრება საზღვარგარეთ — საექიმოთ.

ლენინისა და გორკის კორესპონდენციიდან ჯერჯერობით გამოქვეყნებულია ლენინის წერილები გორკისადმი. ეს წერილები და მასთან ერთად ლენინის სიკვდილის შემდეგ დაწერილი გორკის „მოგონებანი ლენინზე“ წარმოადგენენ ძვირფას მასალას, როგორც მათი ურთიერთობის, ისე მათი მუშაობის გასათვალისწინებლათ გარკვეულ პერიოდებში.

II.

გორკისა და ლენინის დამოკიდებულებაში უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია ის უდიდესი იდეური ზეგავლენა, რომელსაც ლენინი უმეტეს შემთხვევაში ახდენდა გორკიზე. შვეიცარიიდან მოწერილი წერილები კაპრიზე, როგორც ვიცით, ეკუთვნიან პერიოდს, როდესაც მწვავე განხეთქილება სუფევდა ბოლშევიკურ ფრაქციაში. მაშინ ლენინი გააფთრებით ებრძოდა სოც.-დემოკრატიული პარტიის შიგნით ლიკვიდატორულ და ოტზოვისტურ ტენდენციებს, აშკარა პოლიტიკურ გადახრებს, როგორც მარჯვნივ (ტენდენციები ლიკვიდაციის მოხდენისა ყოველგვარ ჩამოყალიბებულ არალეგალურ პარტიულ ორგანიზაციისათვის), ისე მარცხნივ (ოტზოვისტების უარყოფითი დამოკიდებულება არა მარტო სათათბიროს ტრიბუნის, არამედ სხვა „ლეგალურ შესაძლებლობათა“ გამოყენებისადმი). ამავე დროს ლენინი ენერგიულად ილაშქრებდა ბოგდანოვის ჯგუფის მიერ ქადაგებულ ემპირიოკრიტიზმის, ემპირიომონიზმის და ღვთის ძიების წინააღმდეგ. ლენინი თავის წერილებში გორკისადმი, რომელიც სიმპატიით უყურებდა ოტზოვისტებს, პირად და ორგანიზაციულ-პარტიულ საკითხებთან ერთად ბევრ ადგილს უთმობდა ბოგდანოვის ჯგუფის ტაქტიკური იდეურ შეცდომების გამომჟღავნებას და ფილოსოფიური მატერიალიზმიდან მათი დაშორების მხილებას. „არა, ეს მარქსიზმი არ არის. სწერდა ლენინი გორკის, როდესაც წაიკითხა ემპირიოკრიტიკოსების კრე-

ბული „მარქსისტული ფილოსოფიის მიმოხილვა“, — „პირდაპირ წუმპეში ვარდებიან ეს ჩვენი ემპირიოკრიტიკოსები, ემპირიომონისტები და ემპირიოსიმვოლისტები“... თეორეტიულმა უთანხმოებამ უკვე სრული ფრაქციული გათიშვის ხასიათი მიიღო, რაც მეტად აღელვებდა გორკის. ერთერთ წერილში ლენინისადმი იგი გამოსთქვამდა შერიგების სურვილს. „თქვენ უნდა გაიგოთ და კიდევაც გაიგებთ, — სწერდა ამის საპასუხოდ ლენინი, — რომ ადამიანი, რომელიც ეკუთვნის პარტიას, თუ ის შედგენებს ამა თუ იმ ქადაგების უსწორობას და სიყალბეს, ვალდებულია გაილაშქროს მის წინააღმდეგ. მე არ ავტეხდი განგაშს, რომ არ დავრწმუნებულიყავ სავესებით (და ამაში მე ვრწმუნდები დღითი-დღე, რაც ვეცნობი ბოგდანოვის, ბაზაროვის და კომპ. სიბრძნის წყაროს), რომ მათი წიგნი თავიდან ბოლომდე არის მავნებელი, უაზრო, ფილისტერული, ხუცური, დაწყებული მახით და გათავებული ავენარიუსით... რა „შერიგებაზე“ შეიძლება აქ საუბარი, ძვირფასო ა. მ? ამის შესახებ სირცხვილია ლაპარაკიც“. როდესაც ბოლშევიკურმა ფრაქციამ ლენინის მეთაურობით მეტად მკაცრი პოზიცია დაიკავა გორკისა და ბოგდანოვის ჯგუფის მიმართ, ამ ჯგუფის წევრები ჩამოყალიბდნენ ცალკე ორგანიზაციათ. გორკის უშუალო მონაწილეობით მათ, 1909 წლის ზაფხულში კაპრიზე მოაწყვეს პარტიული შკოლა, სადაც უნდა მოემზადებიათ რუსეთიდან გამოწვეული მუშები. სხვათაშორის ამ შკოლაში ლექტორათ ლენინიც იქნა მოწვეული, მაგრამ მან უარი განაცხადა ლექციების კითხვაზე. ამ ჯგუფმა გამოსცა საკუთარი გაზეთი „ვპერიოდ“ და აგრეთვე მთელი რიგი ლიტერატურული ნაწარმოებებისა. ლენინისთვის, რომელიც უაღრესად აფასებდა გორკის — მწერალს და ადამიანს, მეტად საწყენი იყო, რომ გორკი იზიარებდა ვპერიოდოველების იდეურ გადახრებს, ღვთის ძიების, განსაკუთრებით იდეებს ახალი რელიგიის შექმნისა და ადამიანის უმაღლეს მისწრაფებათა და ემოციათა გაღვთავებრივების შესახებ. ეს გარკვევით გამოამჟღავნა გორკიმ 1909 წელს გამოქვეყნებულ „Исповедь“-ში. „ზაფხულზე, ჩვენი საუბრის დროს, — სწერს ლენინი გორკის“, — მე თქვენ გიამბეთ, რომ განზრახული მქონდა გამომეგზავნა თქვენთვის საყვედურის წერილი „ისპოვედის“ შესახებ“. 1913 წლის დამდეგს გორკიმ ერთერთ რუსულ გაზეთში მოათავსა პროტესტის წერილი იმის გამო, რომ მოსკოვის სამხატვრო თეატრმა დასდგა დოსტოევსკის ანტირევოლიუციონური „Бесы“: ამ წერილის გარშემო რუსულ ლიბერალურ და რეაქციონურ პრესაში აუწერელი განგაში ატყდა. დაიბეჭდა მრავალი წერილი გორკის წინააღმდეგ საერთო სათაურით „დოსტოევსკის დასაცავად“. გორკიმ მოწინააღმდეგეებს უპა-

სუხა წერილით „ისევ კარამაზოვშინას შესახებ“. ლენინი, რომელიც ამ დროს კრაკოვში იმყოფებოდა და ამ პოლემიკას გულდასმით ადევნებდა თვალყურს, კმაყოფილებით შეხვდა გორკის საპასუხო წერილს. მხოლოდ ერთი ადგილი არ მოეწონა იქ, სახელდობრ გორკის სიტყვები: „ღვთის მაძიებლობა კი საჭიროა დროებით გადაიდვას“, — „განა დროებით? ეკითხება ლენინი ერთერთ თავის წერილში გორკის, — „გამოდის, რომ თქვენ მხოლოდ დროებით ხართ ღვთისმაძიებლობის წინააღმდეგი“... გამოდის, რომ თქვენ ხართ ღვთისმაძიებლობის წინააღმდეგნი მხოლოდ იმისთვის, რომ ის შეცვლილიქნეს ღვთის შექმნით. განა საშინელება არ არის, რომ თქვენ ასეთი რამ გამოგდით“?. ლენინის წერილმა გორკიზე იქონია გავლენა. რამოდენიმე წლის შემდეგ, გორკიმ თავისი სტატიის გადაბეჭდვის დროს ამოაგდო ის ადგილი, რომელიც ღვთისძიებას შეეხებოდა.

III.

ვპერიოდოველებთან ბრძოლის დროს ლენინმა პოლიტიკურ და ფილოსოფიურ უთანხმოების საფუძველზე პირადი კავშირიც კი გასწყვიტა თავის ერთდროს საუკეთესო ამხანაგებთან — თანამებრძოლებთან, როგორც იყვენ ბოგდანოვი და სხვები. მაგრამ გორკის მიმართ ლენინი ისეთივე პატივისცემით გამსჭვალული დარჩა, როგორც წინათ იყო. მას კარგათ ესმოდა, რომ მაქსიმ გორკი უპირველეს ყოვლისა იყო დიდი მწერალი და ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა რუსეთის ცხოვრებისათვის, ხოლო შემდეგ კი პოლიტიკოსი, პარტიული ამხანაგი. იმ იდეური განხეთქილების ატმოსფეროში, რომელიც მაშინ სუფევდა ემიგრანტულ პარტიულ წრეებში, იბადებოდა ერთგვარი ინტელიგენტური სასოწარკვეთილების გრძნობა. ტენდენციები პარტიულ უთანხმოებიდან და ამით საერთოდ მუშათა მოძრაობიდან დაშორებისა. ლენინი ყოველთვის სცდილობდა ასეთი მძიმე ატმოსფეროს მსხვერპლი არ გამხდარიყო გორკიც. გასაოცარი ტაქტით და სამაგალითო გულთბილობით იგი სწერს ერთერთ წერილში: „ვხედავ, ძვირფასო ა. მ., რომ ეხლა თქვენ მეტად გეძნელებათ, მუშათა მოძრაობისა და სოციალ-დემოკრატიის დანახვა თქვენ მოგიხდათ უეცრად ისეთი მხრით, ისეთ ფორმებში, რომელთაც რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ისტორიაში ინტელიგენტური ურწმუნოები მიიყვანა სასოწარკვეთილებამდე და მუშათა მოძრაობის წარმატებაში იმედის დაკარგვამდე. მე მჯერა, რომ თქვენ ასეთი რამ არ დაგემაართებათ. მე მინდა მაგრათ ჩამოგართვათ ხელი. თქვენი მხატვრული ნიჭით რუსეთის, და არა მარტო რუსეთის, მუშათა მოძრაობას თქვენ მოუტანეთ უდიდესი

სარგებლობა. თქვენ კიდევ ბევრ სარგებლობას მოუტანთ მას. ამიტომ არამც და არამც არ უნდა მიეცეთ გადაჭარბებულ უგუნებობას გამოწვეულს საზღვარგარეთული ბრძოლის ეპიზოდებით“.

მწერალ მაქსიმ გორკის მნიშვნელობას მუშათა მოძრაობისა და განთავისუფლების საქმეში უაღრესად აფასებდა ლენინი. ყოველთვის, ოფიციალურ გამოსვლებში თუ წერილებში იგი ამ თვალსაზრისით უდგებოდა გორკის შემოქმედებას. ჯერ კიდევ 1909 წელს, როდესაც ვპერიოდოველებთან გათიშვის შემდეგ, საფრანგეთის, გერმანიის და რუსეთის ბურჟუაზიულ პრესაში გავრცელდა სენსაციური ჭორი მ. გორკის ს.-დ. პარტიიდან გამორიცხვის შესახებ, ლენინმა სპეციალური წერილით გააბათილა ეს სიცრუე. „ტყუილად სცდილობენ ბურჟუაზიული გაზეთები, — სწერდა ლენინი მაშინ, — ამხანაგი გორკი, თავისი მშვენიერი შემოქმედებით მეტისმეტად მჭიდროთ არის დაკავშირებული რუსეთის მუშების და მთელი ქვეყნის მოძრაობასთან“. 1916 წელს პარიზში გამოსულ სადისკუსიო ფურცელში მოთავსებული იყო ლენინის წერილი ოტზოვისტების პლატფორმის შესახებ. ლენინი სხვათაშორის სწერდა, რომ ამ პლატფორმას აქვს მხოლოდ ერთი დადებითი შინაარსი და ეს დადებითი შინაარსი შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ ერთი სიტყვით — „მ. გორკი“. ქვემოთ ლენინი უფრო გარკვეულად გამოთქვამდა თავის შეხედულებებს მწერალზე: „გორკი უსათუოდ ყველაზე უფრო დიდი წარმომადგენელია პროლეტარული ხელოვნებისა; მან ამ საქმისთვის გააკეთა დიდი საქმე და კიდევ შესძლებს გააკეთოს... გორკი — ავტორიტეტია პროლეტარულ ხელოვნებაში, ეს უდავოა... პროლეტარულ ხელოვნების საქმეში მ. გორკი არის დიდი პლიუსი, მიუხედავად იმისა, რომ ის მომხრეა „მახიზმისა“ და „ოტზოვიზმის“.

IV.

ლენინის პირად ურთიერთობაში გორკისთან, გასაოცარია ის უდიდესი ყურადღება და მზრუნველობა, რომელსაც ლენინი იჩენდა ავადმყოფი მწერლისადმი. თითქმის ყველა წერილებში საზღვარგარეთის პერიოდისა ლენინი კითხულობს გორკის ჯანმრთელობის მდგომარეობას, ურჩევს მას იექიმოს, თავს მოუაროს. „თქვენ, ვაჟბატონო, მართლა ცუდათ იქცევით?“ — სწერს ლენინი 1913 წლის ერთერთ წერილში. — დაილაღეთ, დაიქანცეთ, ნერვები გტკივათ. ეს სრული უწესრიგობაა... მოჰკიდეთ თქვენს თავს ხელი და შეიმუშავეთ უფრო მკაცრი რეჟიმი, დამიჯერეთ! ეხლანდელ დროში ავადმო-

ფობა დაუშვებელია, ნუ თუ ღამლამობით დაიწყეთ მუშაობა?"; „ის რასაც თქვენი ავადმყოფობის შესახებ მწერთ, — ვკითხულობთ ლენინის სხვა წერილში, — მე მეტისმეტად მაწუხებს. განა კარგია, რომ თქვენ უექიმოთ კაპრიზე განაგრძობთ ცხოვრებას? გერმანელებს აქვთ საუცხოვო სანატორიუმები, სადაც ექიმობენ და კიდევ არჩენენ ყოველგვარ ფილტვების ავადმყოფობას... თქვენ გსურთ კაპრის შემდეგ ზამთარში რუსეთში წასვლა??? მე ძალიან ვშიშობ, რომ ეს გარემოება ავნებს თქვენს ჯანმრთელობას და თქვენ მუშაობის უნარს... დამიჯერეთ, წადით და ეჩვენეთ საუკეთესო ექიმებს (მე შემძლია მოგაწვდინოთ ექიმების გვარები და მისამართი) ან შვეიცარიაში, ან კიდევ გერმანიაში, — ორი თვის განმავლობაში სერიოზულათ იაქიმეთ კარგ სანატორიუმში, თორემ, სახელმწიფო ქონების გაძარცვა უმიზნოთ ე. ი. ავადმყოფობით შრომის უნარის დასუსტება, ყოველ მხრივ დაუშვებელია“....

1919 წელს ლენინი, რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავჯდომარე, მოსკოვიდან სწერს გორკის პეტერბურგში, ეხვეწება ჩამოვიდეს დასასვენებლათ, პირდება კუპეს, რომ კარგათ იმგზავროს, ურჩევს ჰაერის გამოცვლას, ეპატიჟება სოფელში.

თავის მოგონებაში გორკი გვიამბობს, რომ ლენინმა, როდესაც გაიგო მისი ჯანმრთელობის გაუარესება (მაშინ გორკი ჩაბმული იყო ფართე კულტ.-ლიტერატურულ მუშაობაში), თვითონ „უკვე თითქმის ავადმყოფმა, მეტად დაღლილმა“ მოსწერა მას 1921 წლის აგვისტოში: „ა. მ.! თქვენი წერილი ლ. ბ. კამენევს გადავუგზავნე. მე ისე ვარ დაღლილი, რომ არაფრის ნიათი აღარა მაქვს. თქვენ კი სისხლს არწყევთ და მაინც არ მიდიხართ! ეს, ღმერთმანი, უნამუსობაც არის და უანგარიშობაც. ევროპაში, კარგ სანატორიუმში კიდევ იექიმებთ და სამჯერ მეტ საქმესაც გააკეთებთ, ღმერთმანი. ჩვენში კი — არც ექიმობა, არც საქმე, მხოლოდ ფაცურია, უქმი დავიდარაბა და სხვა არაფერი. წადით, მორჩით, ნუ ჯიუტობთ, გთხოვთ!“ — ის მთელი წლის განმავლობაში, დასძენს გორკი, — გასაოცარი სიჯიუტით მოითხოვდა. რომ მე გავმგზავრებულიყავ რუსეთიდან და მე მაკვირვებდა: სად ეცალა მას, მთლიანად ჩაფლულს მუშაობაში, სად ახსოვდა, რომ სადღაც, ვიღაც არის ავად და მოსვენება ესაჭიროება...

მწერალ მაქსიმ გორკის ბიოგრაფიაში სამაგალითო ეპიზოდებათ შევა ლენინთან ურთიერთობა. რადგან ლენინი გორკისთვის იყო იდეური ხელმძღვანელი, უდიდესი დამფასებელი მისი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მუშაობისა და ბოლოს უანგარო მეგობარი.

— : —

დიდი ბრძოლა

რასაკვირველია, მწერალს საზღვრავს მისი დროის გადაუვალი გავლენა, ისტორიული ასპარეზის მოწყობილობა, წარმოშობის და პირობების აუცილებლობა. იგი გამოძახილია თავისი ხალხის, კლასის, წრის და პირადი ბუნების. ამასთან მშობელი ენის ძველი და ნაცადი არტახები და ლიტერატურული გადმოცემა ბორკავს მას. „გადასულ თაობათა ოცნება და სიზმარი კოშმარივით აწვება“.

მაგრამ არიან მწერლები, რომელნიც თვითონ თავისი მოვლენით თითქოს უარყოფენ ნაკარნახევ და აღრიდანვე, გათვალისწინებულ აუცილებლობას. ისინი ლიტერატურულ ტრადიციებით შემოფარგლულ წრეში მოულოდნელად იჭრებიან და თან მოაქვთ სადღაც ამის გარეშე დაგროვილი პოტენცია ახალი ტემატიკით და ფორმით. ბოლოს და ბოლოს ენერგიის დაუკარგაობის კანონის მზგავსად მათი ინტელექტუალური ღონისძიება არ შეიძლება იყოს სრულიად დამოუკიდებელი რამ. ხშირად იგი კოლექტიური უსახელო შემოქმედების შეკუმშული და კონდენსაცია ქმნილი ენერგიის სახეა.

ასეთია ვაჟა-ფშაველა, კნუტ აჰმსუნი, ჯეკ ლონდონი, — და მაქსიმ გორკი.

გორკი მოვიდა რუსეთის მწერლობაში მაშინ, როდესაც მის საშუალო ტალღას შეადგენდა „წმინდანების“ წვერებით და ღვაწლით მოსილი ნაროდნიკები ზლატოვრატსკის ტიპი („მუჟიკოვსტვუიუ-შჩიე“ — გლეხოსნები).

და როდესაც ეს მოხდა — რუსეთის მუშათა კლასი, ქალაქის მშრომელი ხალხი, სულ ოცდაათი წლის თუ იქნებოდა. გორკი პირველი პასუხი იყო გამოღვიძებულ კლასისა, ისე როგორც პუშკინი — პეტრე დიდის რეფორმებისა და თავად-აზნაურობის კულტურულ დამწიფებისა.

მაგრამ თავიდანვე, შეუცდომელად იგი ვერ მიდის თავის გზისაკენ. მან გრძელი, მეტად რთული და მძიმე გზებით უნდა იაროს სანამ გაერკვეოდეს თავის პირად განწყობილებაში. შეისწავლიდეს ცოც-

ხალ მასალას — ხალხს და ეზიარებოდეს რუსეთის საზოგადოებრივ აზროვნების ტანჯვით გათელილ მიზნებს.

ეს ის დრო იყო, როდესაც „ნაროდნიკულ რუსულ ზიპუნზე მეტად ნაჩქარევად და ძალით იცვამდნენ მარქსიზმის ევროპიულ კოსტიუმს“.

გორკი თვითონ გადმოგვცემს თავის გამოღვიძების ამბავს. „იმათ-თვის (ნაროდნიკებისათვის) ხალხი იყო ყოველგვარ სიბრძნის, სულიერ მშვენიერების და გულკეთილობის განსახიერება. იგი იყო თითქოს ღვთის სწორი და ერთარსი არსება, ყოველივე ჭეშმარიტის, დიადის და კეთილის დამტევი. მე კი არ ვიცნობდი ხალხს ასე. ვხედავდი ხუროებს, ჭვის მთლელებს, მზიდავებს, ვიცნობდი იაკობს, ოსიპს, გრაგოლს, — აქ კი ლაპარაკობენ რაღაც ერთარსება ხალხის შესახებ და თავის თავს მაზე დაბლა აყენებდნენ“-ო.

მაგრამ ანალიზი მერმე მოვა, ჯერ გორკი პირველ სიმღერას თხზავს — და ეს არის მისი „მაკარ ჩუდრა“. ბოშური უისტორიო და ასოციალური სტიქია. მართლაც რა წარმტაცია ახალგაზრდა მოხეტე-სათვის ეს ყოველგვარ პირობების გარეშე მდგომი თავისუფალი ადამიანი. სადღაცა არის ვაება, ჭაპანი და წყევლა. აქ კი — სტეპი, უსახ-ღვრო თარეში ქარის და ზღვის. მასთან ეს ხალხი, ბიბლიის წესით რომ განაგებს დღემდე თავის ბედს და არ უღალატია თავის უნათესაო და საიდუმლო ენისათვის.

გორკი რომანტიულ განწყობილების ტყვეობაშია. რუსოისტუ-ლი სულისკვეთება ებადება. მაგრამ ეს ეპიზოდური თემაა. მალე თავის ხეტიალში იგი გადააწყდება ფსკერზე დასულ, ქალაქის დეკლასიურ შვილებს.

„სოფელში ისეთივე აუტანელი მოწყენაა, როგორც ინტელიგენ-ციაში. ყველაზე უმჯობესია მიაშურო ქალაქის ფსკერს“ („კონო-ვალოვი“).

და აი იხსნება ის ახალი ქვეყანა, რომელიც პირველად დაინახა გორკიმ და რომელიც ისევე სათაყვანო შეიქნა მაშინდელ ინტელიგენ-ციისათვის როგორც იყო „მუჟიკი“ ხალხოსნებისათვის. ეს არას ყოფილ ადამიანთა სამყარო.

მწერლობამ იცოდა წინადაც „გარიყულთა“ პოეზია. ვიქტორ იპუგოს რომანი, კრესტოვსკის „პეტერბურგის ფსკერი“, მე-50 წლე-ბის კრებული „პეტერბურგის ფიზიოლოგია“, დოსტოევსკის მარმელა-დოვი, დევუშკინი, „შეურაცყოფილნი და დამდაბლებულნი“. მაგრამ ყველა ამათ ჰქონდა ხასიათი ლიტერატურული ექსკურსების. ისინი გამოძახილი იყო ფურჩის, კაშეს და უტოპიურ სოციალიზმის ფილან-ტროპიულ „შეცოდების“. მწერალი, მაღალ წრეების და ინტელექ-

ტუალურ სალონების მომჯადოებელი, მიმართავდა გარიყულთ ნერვების გასაღიზიანებლად და გადასწყვეტდა საკითხს ისე, რომ ხიფათი არ ელოდა ღვთაებრივ წესრიგს. ბურჟუაზიულ ოლიმპიდან ყველა იცოდებდა მათ და — მეტი არაფერი.

აქ კი სულ სხვაგვარი ხმა გაისმა. უნდა წარმოიდგინოთ ალექსანდრე მე-III და პობედონოსცევის რუსეთი, „არსაიდამ ხმა, არსია ძახილი“, დასამარება ჰეროიკულ ხალხოსნობის, მეფის მკვლელების ნაცვლად ჩეხოვის შეშინებული კაცუნების ფუსფუსი, რომ გასაგები გახდეს გორკის „ყოფილთა“ და გარიყულთა ყივილის ძლიერება.

„მე ყოფილი ადამიანი ვარ, არა? მე გარიყული ვარ და მაშ თავისუფალი ვარ ყოველგვარ შევიწროვებისა და დაბრკოლებისაგან... და შემძლია შევაფუროხო ყველაფერს! ჩემი ცხოვრების მიხედვით მე განზე უნდა გადავისროლო ყოველივე ძველი... დავგმო ყველა წესი და დამოკიდებულება იმ ადამიანებთან, რომელნიც მაძღრად და კარგად ჩუცმულნი სუფევენ და რომელთაც ვეზიზღები მე იმიტომ, რომ ჩამოვრჩი მათ მაძღრობასა და ჩაცმულობაში, და რაღაც ახალი რამ უნდა აღიზარდოს ჩემში“ — ამბობს ყოფილი როტმისტრი კუვალდა, ლამისსათევის პატრონი, რომელსაც ის „სანკიულოტების (უშარვლოების) დეპარტამენტს“ უწოდებს.

ლამისსათევი, რომელმაც გორკის წყალობით სამოქალაქო უფლება მიიღო ლიტერატურაში სალონის და სასახლე-დარბაზის გვერდით, ეკუთვნის კუვალდას, კოლორიტით სავსე, ცოცხლად გადმოცემულ პიროვნებას, რომელიც თავის გარშემო იკრებს ცხოვრების „სწორ“ გზიდან აცდენილ ყოფილ ინტელიგენტებს. ზოგი მათგანი, ლოთობისაგან დაქვეითებული, ცდილობს ისევ დაადგეს თავის პროფესიონალურ და სოციალურ ფუნქციების კვალს, მაგრამ „კაბაკის საბედისწერო როლი რუსულ ცხოვრებაში“ სამუდამოდ სძირავს მათ.

საერთოდ მოთხრობა „ყოფილ ადამიანების“ თავგადასავალი პირველი სახეა პიესის „ფსკერზე“. აქ არიან თითქოს ყველა პერსონაჟების პირველი ვარიაციები.

როდესაც „ფსკერზე“ იდგმებოდა სცენაზე, გორკი სწერდა ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს:

ლამისსათევის სურათები (ფოტოგრაფია) არა მაქვს. ნიჟნიში რომ ვცხოვრობდე ეხლა, ხელით გადმოვხატავდი და გადაღება კი შეუძლებელია, რადგან ლამისსათევი სინათლე არაა“ — ო.

უსინათლო ლამისსათევი და „ლატაკებით დასახლებულ ქალაქის განაპირა უბნების საცოდავი მცენარეულობა“ — აი ის არე, სადაც ბუდობს გორკის პოეზია.

„ბავშები — დედა მიწის ცოცხალი ყვავილებია, მაგრამ ამ ქუჩაზე მათ უდროვოდ დამჭკნარ ყვავილების შეხედულება ჰქონდათ“.

და იშლება შმორიანი ურბანისტული პეიზაჟი — სამყარო ნოქრების, წვრილ შინა-მრეწველების, როსკიპების. აქ მეფეა ფიზიოლოგიური ყოფნა, დედის გინება, პროსტიტუცია („უარაყოფ ასეთ საქმეს ვერ ჩაიდენ“-ო ამბობს ქალი მოთხრობაში „სევდა“).

ქალაქის განაპირა უბნები, ნავთსადგურები დიდი შარა-გზები — აი გორკის მოთხრობების გეოგრაფია. პირველობა დეკლასიურ ტიპს, პროლეტარიატის ნალექს — ბოსიაკს ეკუთვნის. ავტორის სიყვარული იმათკენაა. შეგხვდებით გლეხებიც, მაგრამ ისინი ყოველთვის უარყოფითად არიან დახასიათებულნი. გლეხი გავრილა „ჩელკაშიდან“ ულატებს ბოსიაკ ჩელკაშს და სიცოცხლის გამოსაღმებას უპირებს ფულის მიზეზით.

„მალვა“-ში ბოსიაკი სერიოზა აძაგებს გლეხებს: „იცი, მე ყველა გლეხი მძულს. არამზადები! ისინი ობოლივით თავს იკატუნებენ — იმათ პურიც აქვთ და ყველაფერი! იმათ აქვთ ფეხის მოსაკიდებელი — მიწა. მე კი რა ვარ იმათ წინაშე?“

ან კიდევ მოთხრობაში „გამვლელი“ (1898 წ.) ჩვენ ვხვდებით ასეთ შეხედულებას:

„რა არის გლეხი? გლეხია ყველასათვის საკვები მასალა ანუ შესაჭმელი ცხოველი... ადამიანის არსებობისათვის საჭიროა მზე, წყალი ჰაერი და გლეხი“!

ეს არის რეაქცია ნაროდნიკულ ტრადიციების, მათგან გლეხის გაღმერთების. ასეთი შეხედულება ახასიათებდა ჩეხოვსაც („გლეხები“, „ხევში“).

გლეხის და სოფლის ბიოლოგიური როლი არ აკმაყოფილებს გორკის. იგი რომანტიულ ტყვეობაში ჰყავთ ისეთ უსაზღვრო პათოსის ხასიათებს, როგორცაა კონოვალოვი. და მართლაც კონოვალოვი ერთი იმ მომხიბვლელი სახეთაგანია, რომლითაც მდიდარია რუსული ლიტერატურა. რა მთლიანია მისი ბუნება, იგი ყაზბეგის ელგუჯას მოგაგონებთ. ის ადგილი, როდესაც გორკი, ფურნეში მუშაობის დროს, უკითხავს კონოვალოვს ისტორიკოს კოსტომაროვის წიგნს სტენკა რაზინის შესახებ და მივა იქ, სადაც აწერილია რაზინის წვალება — უმაღლესი ემოციონალური ძალითაა გადმოცემული.

„გეგონებოდა, რომ სისხლის განუწყვეტელი კავშირი არ გაციებულა სამი საუკუნის მანძილზე და დღემდე აერთებს ამ ბოსიაკს სტენკასთან — და იგი მთელი თავისი ძალღონით სავსე ვაჟკაცობით და

დასევდიანებული სულის ვნებით განიცდის სამასი წლის წინედ დაჭერილ თავისუფალ არწივის ტკივილს და „ჯანყს“-ო.

კონოვალოვის აღგზნებულ ოცნებაში არა აქვს საზღვარი დროს, არ არსებობს გადაულახველი დაბრკოლება. მისი წარმოდგენით სრულებით ადვილი შესაძლებელია, რომ მე-70 წლების ნაროდნიკის რეჟიმნიკოს დურგლები პილა და სოსიკა „ვოლგაზე ცოტა ქვევით“ შეხვდებიან სტენკა რაზინს და იმასთან ერთად „გაჰკრავენ დონისა და უკრაინისაკენ“ და შეუერთდებიან ტარას ბულბას. „ო და რა საქმეებს გაჩაჩხავდენ“-ო ენთება ეს ბოსიაკი — მემამბოხე.

ამას გარდა კონოვალოვი თავისებური კრიტიკით უდგება ცხოვრების წყობასაც.

„აუშენებიათ ადამიანებს ქალაქები, სახლები, შეკრებილან ჯოგებათ, აბინძურებენ მიწას, იხრჩობიან, თავზე აჯდებიან ერთმანეთს. კარგი ცხოვრებაა! ცხოვრება ესაა, როგორც ჩვენა ვართ“.

აქ მის სიტყვებში თავს იჩენს ტოლსტოის სოციალურ ფილოსოფიის ანარქისტული იერი.

თუმცა „კონოვალოვი“ დაწერილია 1895 წ. და „აღდგომა“ კი 1899 წ., მაგრამ მით უფრო საინტერესოა მოყვანილ აზრის შეხვედრა ტოლსტოისთან.

ცნობილია „აღდგომის“ დასაწყისი: რა რიგ არ ცდილობდენ სულ პატარა ადგილზე ერთად ასი ათასობით შეკრებილი ადამიანები, რომ დაესაჩიჩრებიათ ის მიწა, რომელსაც ისინი მიტმასნებოდენ, რა რაგ არ მოეფინათ მიწის ყოველი კუნჭული ქვებით, რომ მაზე არაფერი ამო სულიყო... მაგრამ გაზაფხული ქალაქშიაც იგივე გაზაფხული იყო“.

ასევე ერთი ხელის მოქნევით, რაღაც ზეკაცურ ღონისძიებებით ფიქრობს ორლოვი („მეუღლე ორლოვები“) ცხოვრების გარდაქმნას. მას უნდა მტვრად აქციოს ქვეყანა ან შეკრიბოს თავზე ხელაღებულთა ბრბო ან და კიდევ მოიქმედოს ისეთი რამ, „რითაც ყველა ადამიანზე მალლა დადგება და მალლიდან გადააფურთხებს მათ“.

ასეთ დასკვნამდე მიდის ოფიციალურ მეშჩანობით გარემოცული გორკი. მას თითქმის უძლეველად მიაჩნია „ოკუროვშიჩა“, იმ გაგლესილ და ჩვეულ დამოკიდებულებათა წრე, რომელსაც ეწოდება „ПОШЛОСТЬ“. ერთ მოთხრობაში გაკვირვებაა გამოთქმული ერთი ვინმეს სიკვდილის გამო — „არ დავიჯერე მისი სიკვდილი, რადგან ასეთები (ПОШЛЫЕ ЛЮДИ) ჩვეულებრივ დიდ ხანს სძლებენო“.

„პოშლოსტ“ არის ის ჭაობი, რომელმაც გიჟად გამოაცხადა ჩაადაევი, იმსხვერპლა გოგოლი, თავის მონად გაჰხადა გონჩაროვი, მოჰკლა პუშკინი და ლერმონტოვი.

მისი დაძლევა, მასთან ბრძოლა არის სალტიკოვის, ჩეხოვის, სოლოგუბის და მთელი რუსეთის ლიტერატურის საქმე, ამათ შორის გორკი უსასტიკესი მტერია მისი ყველგან და ყოველთვის.

მის მრავალფეროვან სახეს ის ზიზღს უცხადებს. მთელი მისი დრამატურგია დუელია მასთან გამართული. „ქალაქი ოკუროვი“, „მათე კოჟემიაკინის ცხოვრება“ და მრავალი მოთხრობები ჰქმნიან გამწმენდელ ცეცხლის რკალს „ობივატელშინის“ კოშმარის წინააღმდეგ. დრო და დრო მწერალს იგი პათოლოგიურ თავბრუს დასხმათ ეჩვენება.

„ლაპარაკობენ მოპენჰაუერზე და თან მხეცურად დასცინიან ადამიანის ღირსებას“-ო. („მოწყენის გამო“).

იგი მაჯლაჯუნასავით აწევს ამ უზარმაზარ ქვეყანას. და ამიტომაცაა, რომ ამ დროს გორკის შემოქმედებას მთელი ტომების სივრცეზე ბურავს ეს რუხვი სამოსელი მოწყენის, უმოქმედობის. აქ აუცილებლად თვალწინ დაგიდგებათ უმოქმედო ამბის, ფერწასულ ცხოვრების ოსტატი ჩეხოვი. აქ ეს ორი ანტიპოდი ერთმანეთს შეხვდებიან.

მაგრამ რამდენადაც განირჩევიან ისინი ერთმანეთისაგან, იმდენად ბევრი საერთო რამ აქვთ. მართალია, ჩეხოვი „პეტარა საქმეების“ და მოსალამურებულ რეაქციის დროის შვილია. იგი ოცნებობდა, რომ ცხოვრება სამოთხედ გადაიქცევა „ორასი-სამასი წლის იქეთ“, მაგრამ ეს უძლური რწმენა იყო. მისი „სტეპის“ ვარიაციები გამოიკა რევოლიუციის შემდეგ და იქ ერთ-ერთ პერსონაჟზე ჩეხოვი ამბობს — იგი რევოლიუციისათვის გამოდგებოდა, „მაგრამ რევოლიუცია რუსეთში არასოდეს არ იქნება და მას დაღუპვა მოეღისო“.

ჩეხოვი ელოდა რუსეთში მალე კონსტიტუცია იქნებოდა და 1902 და 1903 წლების მოთხრობებში იმედიანი ჰანგი ისმის.

გორკიმ კი სძლია „პობედონოსევშინის“ კოშმარს და მუშათა მოძრაობის განთიადზე დასძახა მრისხანე ამბოხების ხმა.

„დეე მთელის ძალით იგრიალოს ქარიშხალმა“, წალეკოს თხუნელების სოროები, დაანიავოს ძველი ცხოვრება.

„არაფერია — ჩვენკენაა გამარჯვება“-ო.

მოწყენილ ეპოქის შვილი და უნაზეს განწყობილებათა პოეტი ჩეხოვი კულტურულ ტრადიციასა და ხალხისთვის მუშაობაში ხედავდა ინტელიგენციის გამართლებას. აქ არის მისი და გორკის დააზლოების ხაზი. გარდა ამისა თითქმის ერთნაირია მათ მიერ ტოლსტოის საზოგადოებრივ იდეალის შეფასება.

ჩეხოვის აზრით: „ორთქლის და ელექტრონის გამოგონებაში უფრო მეტია სიყვარული ადამიანისადმი, ვიდრე ბოროტებასთან უბრძოლველობაში“ („непротивление злу“).

გორკი ამბობს: „იკითხეთ ტოლსტოი, მაგრამ ფრთხილად იყავით. მისი ძახილი: რად გვინდა სახელმწიფო, რად გვინდა მეცნიერება — ბოდვია! უმეცრებით ეხლა ჩექმასაც ველარ ჰკერავენ და რომ სახელმწიფო არ იყოს, თქვენ, ჩემო კეთილო, თავს მომაგლეჯდით“.

მან მტკიცედ იცის, რომ ტოლსტოის „არაფრის კეთება“, „ბოროტებასთან უბრძოლველობა“ და საერთოდ პასსეიზმის ქადაგება არას მონღოლურ ფატალიზმით მოწამლულ ძველი რუსული სისხლის ავადმყოფური მიმოქცევა. მისი სლავიანური ანტისახელმწიფოებრიობა კაწარსულის ატავისტური რეაქციაა.

ლენინის აზრით ტოლსტოის იდეოლოგიის ძირები აზიურ, აღმოსავლურ წესწყობილების თაყვანისმცემლობაა.

იგი ნათლავს მას პრიმიტიულ გლეხურ დემოკრატიის მოტრფილედ, რომელსაც შეშინებია ქალაქიდან მომავალ კულტურულ-პროგრესიულ (ახლად შემოჭრილ კაპიტალიზმის) ძალის.

„არაფრის კეთების“ ნაცვლად გორკი ჰიმნს უმღერის ძლევა-მოსილ შრომას, და მისი ნაწერების ის ფურცლები, სადაც გადაშლილია ფიზიკურ შრომის მშვენიერება უწმინდეს და უდიდეს ხალისას და ძალის მომგვრელია.

აი ის ადგილი „ჩემ უნივერსიტეტებში“, სადაც საშინელ წვიმის ქვეშ მუშები შესევნიან ძროშენგრეულ ბარყას და საჩქაროდ სცლიან მას აუარებელ ტვირთისაგან.

„ისინი თითქოს ხელჩართულ ბრძოლაში გადავარდენ პალუბაზე და ტრიუმში — ღრიალით, ბლავილით, მასხარაობით. და ჩემს გარშემო თითქოს ბუმბულის ბალიშებიაო ისე დაჰქროდენ ჰაერში ბრინჯით, ქიშმიშით, ტყავეულობით და ბეწვეულობით სავსე ტომრები, წინ და უკან გარბოდენ ჩასკვნილი ფიგურები და ახალისებდენ ერთმანეთს ღრიალით, სტვენით და მაგარი გინებით. ...და მუშაობდენ ისე თითქოს მოშივებულნი იყვნენ შრომას და დიდი ხანია რაც ელოდენ ისეთ სიამოვნებას, როგორცაა ოთხფუთიან ტომრების ხელიდან ხელში გადასროლა“.

გორკი თითონაა მონაწილე ამ შრომის სიმფონიის და ამბობს, რომ ის ღამე გაატარა მანამდე გამოუცდელ სიხარულში. ვნატრობდი მთელი ჩემი ცხოვრება გამეტარებინა ასეთ მუშაობის ნახევრად გამაგიჟებელ აღტაცებაშიო. მეჩვენებოდა, რომ ასეთი სიხალისით გავარვარებულ ძალას შეუძლია სასწაული ჩაიდინოს, და ერთ ღამეს აავსოს დედა მიწა მშვენიერ სასახლეებით და ქალაქებით, როგორც ამას მისანი ზღაპრები გვეუბნებიანო.

მაგრამ მწერალმა იცის, რომ არაა საკმარისი მარტო თუნდაც ასეთი უსაზღვრო და გაგიჟებული ენერჯია. საჭიროა მისი გონივრული მიმართვა. ვინ არიან ისინი, მესაჭეები, რომელია ის ძალა. ამ გიგანტის ძლიერებას რომ ფუჭედ არ დააგდებს და „ბალად გადააქცევს მთელ ქვეყანას?“.

ესაა ინტელიგენციის კლასი, ეს „ახლომხედველი მწიგნობრება სათვალეებში და პენსნეებში სხვადასხვა ნაირ ფიჯაკებში და მწიგნობრულ სიტყვების ერთფეროვან რუხვ სამოსებში“.

და აი აქ ეწვევა მას „სევდა დამწველი“ — „ის შიშის მგვრელი გრძნობა ინტელიგენციის, როგორც გონივრულ საწყისის, მოწყვეტისა ხალხურ სტიქიიდან, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში არ ასვენებდა და თან სდევდა მას“.

ეს იყო ძველი პრობლემა, ერთ-ერთი და უმთავრესი იმ „წყეულ საკითხთა“ შორის, რომელიც აწვალებდა რუსეთის საზოგადოებრიობის ბელადებს მთელი საუკუნის მანძილზე. „მომნანიებელი აზნაურები“ „რაზნოჩინცები“ 60 და 70-იან წლების, ნაროდნიკები და მარქსისტები 80-იან წლებიდან დიდ რევოლუციამდე — აი იმ ინტელექტუალური არმიის თაობათა რიგები, ვისი ოცნების და საქმის საგანი იყო ხალხის გაღვიძება, მასში „წასვლა“ და თუნდაც საკუთარი თავის უარყოფით შიგ გათქვეფა.

გორკი ადრიდანვე ეზიარა ამ წმინდა რუსულ და იმავე დროს საკაცობრიო ტრაგედიას.

„მე მაკლდა დისციპლინა, აზროვნების ტექნიკა. ვგრძნობდი, რომ ვჭკვიანდებოდი და თან როგორც დაუდევრად დატვირთული გენი ერთი მხარისაკენ ძირს ვეშვებოდი“-ო.

და შეიძლება არც მოიპოვებოდეს მეორე ისეთი ამაღელვებელი თავგადასავალი სულიერ გაღვიძებისა და ხარბი ინტელექტუალური ზრდისა, რომელსაც ასე სადათ და უდიდესი ხელოვნებით გვიხატავს გორკი. ადამ სმიტის წიგნის კითხვამ ვერ გამიტაცაო — ამბობს ის — რადგან ეკონომიკის ძირითადი დებულებები მეტად ცნობილი იყო ჩემთვის, ისინი ჩემ ზურგზე იყვნენ აღბეჭდილიო.

ტიუტჩევმა, პუშკინმა, ოდოევსკიმ, ბალზაკმა, ფლობერმა ჩენს სული გაბანეს და შემოაცილეს მას ლატაკ და მწარე სინამდვილის მტვერი. კარგი იყო რუსულ წიგნების კითხვა, მათში ყოველთვის ვგრძნობდი ნაცნობ გულის დაწყვეტას — თითქო სტრიქონებში ჩამკვდარიყო დიდი მარხვის რეკა — როგორც კი გაშლიდი წიგნს იგი გაისმოდა ნელი ხმით.

ვალტერ სკოტს იგი ადარებს მდიდარ საყდარში გამართულ სა-
ზეიმო წირვას.

ოცნებისა და სინამდვილის საზღვარს ამ დროს ვერ არჩევს მისი
აღტაცება. მეტად ინტენსიურ და საინტერესო სულიერ ცხოვრების
გავლენით სიგიჟემდი მისული გორკი სწერს რომანტიულ ლექსებს და
უკითხავს მათ იმ დროს ახლად გაცნობილი ვ. გ. კოროლენკოს, რომელიც
მისი გზის მაჩვენებელი შეიქნა და „აკურთხა“ მწერლობისა-
თვის.

ამის შემდეგ გორკი თვალუწვდენ თავის სამშობლოს სივრცეებს
ევლება და ხვდება ხალხში მოსიარულე „სტრანნიკებს“. ესენი წმინდა
რუსული და თან განუმეორებელი მოვლენაა. მათში დაგროვილა ხალ-
ხის სიბრძნე, პრაქტიკული ფილოსოფია, რაღაც დაუღეველ სენტენ-
ციების და ჭკუა-მახვილობის უნარი, დაუსრულებელ ანდაზებით და
ქარაგმებით გადმოშლილი სკეპსისი და პანტეისტური ყველაფრის
განმტკიცება. გორკის წიგნების სივრცეზე თვალუწვდენელ პურის
ჯეჯილებში გაისმის მათი ლირიული აღსარება და სულ სხვა გვარ
პოეზიას ჰქმნის.

„გრძნობ, რომ ეს გენიალური „ბროდიაგა“, ეს მსოფლიო პილი-
გრიმი ეხლაც მზათაა აილოს ხელში თავისი კვერთხი და კვლავ შეუდ-
გეს მსოფლიოს გზებს, რათა გაუზიაროს ახალ თანამგზავრებს თავი-
სი აზრების გატაცება და მათთან ერთად ზიდოს მათი გასაჭირი და
სიხარული“-ო ამბობს რომენ როლლანი, რომელთან ერთად გორკის
მიკუთვნებული აქვს დღევანდელ ევროპაში უდიდესი ზნეობრივი ავ-
ტორიტეტი.

ოდესღაც ტოლსტოი უსაყვედურებდა გორკის — თქვენი გლე-
ხები მეტად ჭკუიანად ლაპარაკობენ და საერთოდ თქვენ აფერადებთ
ყველაფერს — ადამიანებს და ბუნებას, განსაკუთრებით ადამიანებსო.
მაგრამ იგივე ტოლსტოი უტყდება ერთხელ მასვე:

— ყველა ჩვენ დიდი შემთხვევლები კი ვართ, აი თუნდა მე. ხან-
დახან წერის დროს — უცებ შეგეცოდება რომელიმე, აიღებ და ერთ
კარგ თვისებას შემატებ მას და მეორეს კი მოაკლებ, რომ მის გვერდ-
ში მდგომი მეტად შავ-ლაქება არ გამოვიდეს.

აქ ხელოვანის დიდი საიდუმლოებაა წამოცდენილი, კიდევ რომ
არ „შეეცოდოს“ სინამდვილე, მოქმედებით ფერნაცვალი იგი აღარაა
ის, რაც არის და იყო მანამდე სანამ გაიარდა შემოქმედ სულის ირრა-
ციონალურ სფეროს. ხედავ შედეგს და ვერ გამოიცნობ როგორ „გა-
დაკეთდა“ იგი ხელოვნების „რამედ“.

ამასვე ვხედავთ თუნდაც წყლიდან ელექტროს დაბადებაში. რამდენიც არ უნდა „გაიგოთ“ ჰიდრო-ტექნიკის ყველა პროცესი — სად და როგორ გაჩნდა სინათლე ვერ დაიჭერთ.

მთელი გორკი ზეიმია ადამიანის და სიცოცხლის. რა კარგი თანამდებობაა დედა-მიწაზე ადამიანად ყოფნაო. რამდენი კარგი რამის გამოგონება შეიძლება ადამიანზე — ეჰინრიხ ჰეინემ მშვენიერად დავვიმტკიცა ესო.

რუსის მწერლები ყოველთვის სწერენ იმაზე, თუ როგორ ეწამა ადამიანი და დღემდე არავის აზრად არ მოსვლია დაეწერა წიგნი იმის შესახებ, თუ „როგორ ხარობდა ის მთელი თავისი სიცოცხლე“.

მე იმ დასკვნამდე მივედი, რომ, როცა სიცოცხლე უხამსი და ტალახიანია, უნდა გასწმინდო და გაალამაზო იგი შენი სულის ხრჯზე. შენი ნებისყოფის და ოცნების ძალითო.

სიცოცხლის დიდი სიყვარული, ადამიანის სულიერ მოძრაობათა სადათ და სიმართლით გაშლა, ბოლოს ენის ოსტატობა გორკის აკუთნებს ადგილს ისეთ მწერალთა გვერდით, როგორიცაა პუშკინი და ტოლსტოი.

ტოლსტოისთან აკავშირებს მას ის ქმედითი დაახლოება, რომლის გავლენით გორკი შეიქნა მემკვიდრე რუსეთის დიდი ლიტერატურის და აღზარდა მთელი თაობა თანამედროვე მწერლობისა.

რუსეთის რევოლუციის წინასწარმეტყველად ითვლება დოსტოევსკი. იგი ჩვენ დღეებში უფრო გასაგები შეიქნა და მისი გავლენა უჩინარია თითქოს, მაგრამ შეიძლება თამამად ითქვას, რომ არ არის დღეს დიდი მწერალი, რომელსაც არ განეცადოს ის კორიანტელი, ასე რომ აბორგებდა „ღმერთისა და სოციალიზმის“ პრობლემებისათვის წამებულ „კარამაზოვების“ შემქმნელს.

ტოლსტოიზე დაწერილ წიგნთა შორის მიუწვდომელია საკვირველი „ჩანაწერი შენიშვნები“ გორკისა. ასე წერა შეუძლია მხოლოდ დიდი სულის პატრონს.

გორკი გადასცემს ტოლსტოის თავის გეგმას, რომლის თანახმად იგი აპირებდა სამი მოდგმის ისტორიის დაწერას, სადაც გადაგვარების კანონის სიძლიერე სასტიკ შედეგს იძლეოდა.

— აი, ამაში არის სიმართლე. ეს უნდა დასწეროთ.

და თითქმის მეოთხედი საუკუნის შემდეგ გორკი „არტამონოვებში“ ანხორციელებს ტოლსტოის მოწონებულ იდეას.

საერთოდ უკანასკნელ დროს გორკი კვლავ დაუბრუნდა თავისი ხსოვნის უცვლელ სალაროს და გამდიდრებული ხელოვანის ბრძენი გამოცდილებით იძლევა ისეთ შედეგებს, როგორიცაა მე-18 ტომის

მოთხრობები 1922 — 24 წ. წ., „უპასუხო სიყვარულის ამბავი“, „მოთხრობა ერთი რომანის შესახებ“.

„ჩემ უნივერსიტეტებში“ თითქოს ხელახლა ვხვდებით 90-იან წლების ხეტიალში გაცნობილ პიროვნებებს, მაგრამ ეხლა მათი შექმნილი თავისუფალია იმ რომანტიულ ბურუსიდან, რომელიც ფარავდა მისთვის მსოფლიოს. რანაირის ოსტატობითაა ეხლა დახვეწილი ის რაც „ერთხელ იყო“ და მუდამ იქნება მის წიგნებში.

„პირველი სიყვარულის შესახებ“ — ეს ნაწყვეტი შეიცავს „ტურგენევის სილამაზეს, დოსტოევსკის გადაკვდომას (надрыв) და ტოლსტოის ცხადყოფას“ სულის მოძრაობაში. ჰამსუნის საუკეთესო ფურცლების სიტბო და აღტაცებაა აქ. აი სად იგრძნობთ რომენ როლლანის სიტყვების სიმართლეს:

„იგი (გორკი), როგორც ბუნება ხელახლა იბადება ყოველ დილასო“.

როცა არ იცი — იგონებ. და ყველაფერზე უფრო ჭკვიანი, რასაც მიაღწია ადამიანმა ესაა — ქალის სიყვარულის ნიჭი, მისი სილამაზის თაყვანისცემა. ყოველგვარი მშვენიერება დედა მიწაზე ქალისადმი სიყვარულისაგან დაიბადაო.

მაგრამ დიდ ხელოვანის ბუნებასთან ერთად გორკი თავის პიროვნებაში დიდი ტრიბუნის პათოსსაც ატარებს.

მას მარტო კაბინეტიდან არ უყვილია რევოლიუციის ქარიშხალისათვის. ნაროდნიკებისა და მარქსისტების 80 და 90-იან წლების დროს იგი იჭედებოდა, როგორც რევოლიუციის მუშაკი და 1905 წლის რევოლიუციაში უკვე მედგარი ბაირახტარი იყო ახალ ცხოვრების. თავისი კრებულებით „ზნანიე“ მან შექმნა ჯგუფი საზოგადოებრიობის სამსახურით შეკავშირებულ მწერლობისა.

როდესაც საფრანგეთი სესხს აძლევდა რუსეთის თვითმპყრობელობას რევოლიუციის სისხლში ჩასახრჩობად, მან ზიზლით სავსე პამფლეტით მიმართა „მშვენიერ საფრანგეთს“ და წყევლას უთვლიდა მას ვოლტერის, ვიქტორ ჰიუგოს და ფლობერის იდეალების სისხლში ამოსვრისათვის.

„და შენ, თავისუფლების დედავ, ჟანა დარკ, ძალა მიეცი მხეცებს იმისთვის, რომ მათ კიდევ ერთხელ სცადონ ადამიანების გასარესა“.

გორკის აღგზნებულმა პროტესტმა გამოხმაურება ჰპოვა საფრანგეთში.

1905 წ. ანატოლ ფრანსი მთელ რიგ გამოსვლებში გამოხს სესხის მიცემას.

„რუსეთის მომავალი სახალხო მთავრობა არ იცნობს იმ სესხებს, რომელნიც დადებული იქნება 1905 წლის 9 იანვრის შემდეგ. შემარცხენე პარტიებმა ასეთი გაფრთხილება გამოსთქვეს ერთ-ერთ მოწოდებაში, რომელსაც სხვა მრავალთა შორის ხელს აწერდა მაქსიმ გორკიც“.

თავის „9 იანვარში“ გორკი გადმოგვცემს ერთ დიალოგს, რომელიც იმ საშნიელ დღეს მოხდა მეფის დამცველ ჯარისკაცთა და მუშების შორის:

— „მეფე აღარაა!

— თქვე, ოხრებო, თქვენ დახვრიტეთ ის!

— ხალხს ვერ მოჰკლავ — თქვენ მეფე მოჰკალით, — გესმით?“.

და იმავე 1905 წლის 30 მარტს ანატოლ ფრანსი ასეთივე სიტყვებით მიმართავს მიტინგს პარიზში:

„ტყვია მოხვდა მეფის სურათს, რომელიც მიჰქონდა გაპონს. და მეფემ, თავის უნებლიედ ჩაიდინა სამართლიანობა: მოჰკლა მეფე. მოჰკლა მეფე და ცარიზმი. მან მოჰკლა მეფე და სიცოცხლე კი მისცა რევოლიუციას, რომელიც დაამხოვს ცარიზმს“.

დეკემბრის აჯანყების დროს წარმოთქმულ სიტყვაში ფრანსი წინასწარმეტყველურ სიტყვებს გადმოისვრის:

„იდეთა და მცნებათა საკვირველი გაცვლა ხდება. 1789 წელში ჩვენი მასები ასწავლიან ევროპას ბურჟუაზიულ რევოლიუციას და ეხლა კი სამაგიეროდ რუსეთის პროლეტარიატი გვაძლევს ჩვენ სოციალურ რევოლიუციის მაგალითს. ნევის და ვოლგის ნაპირებზე წყდება ეხლა ახალი ევროპის და მომავალ კაცობრიობის ბედიო“.

როგორც რუსეთის რევოლიუციის მოციქული გორკი 1906 წ. ეწვია ამერიკას და ეხლა 1928 წ. ამერიკელი მწერალი ფლოიდ დელლი ეპტონ სინკლერისადმი მიძღვნილ წიგნში გვაცნობს მას, რასაც ის უწოდებს შავ ფურცელს ამერიკის ლიტერატურის ისტორიაში.

როდესაც გორკიმ ხელი მოაწერა დასჯის პროტესტს ამერიკელ მუშების წინააღმდეგ, მანამდე კარგად მიმავალი წესი გორკის შეხვედრისა უცბად შეიცვალა: პრეზიდენტმა აღარ მიიღო იგი და არც ერთმა სასტუმრომ არ მისცა მას ბინა. ამერიკის მწერლებმა კი, რომელნიც ამაყობდენ რუსეთის გიგანტთან მიპატიჟებით, ხმა გაიკმიდეს და გაიქცენ.

გორკიმ სამარცხვინო ბოძზე გააკრა ახლი ქვეყნის ცივილიზაცია და ნიუ-იორკს „ყვითელი ეშმაკის“ ქალაქი უწოდა.

სადაც მონების შრომაა გამეფებული, იქ ადგილი არ აქვს თავისუფალ შემოქმედების აზროვნებასო... გეგონება, რომ სადღაც ქა-

ლაქის ცენტრში ავხორციან კივილით და შემზარავი სიჩქარით ბრუნავს ოქროს დიდი ნატეხი. იგი ყველა ქუჩებში ჰყრის ოქროს მტვერს და ადამიანები მთელი დღე ხარბად დასდევენ და იჭერენ მასო.

გორკიმ გაიარა შემოქმედების დიდი და სახარბიელო გზა. ამოვიდა ხალხის უძირო ფსკერიდან და მის გულში ჩაქსოვილი „კიტეე-ქალაქის და ქალ თებრონიას“ სურათი მოჰქარგა თანამედროვე სიტყვის ოსტატის მიუწვდომელ დახვეწილობით. და ეხლა ჩვენ თვალის წინ იგი მეორედ დაიბადა, როგორც ახალი რუსეთის ბალზაკი და ზღაპრული სიმსუქნით, ისე როგორც ოდესღაც შემოუვლიდა გაუვალ სტეპებს და შარა-გზებს და ისროდა ხუთფუთიან ტომრებს. ჰქმნას თავის ეპოპეას. მან დასწერა, შეიძლება, ყველაფერზე უფრო გასაკვირველი წიგნი ტოლსტოიზე, მაგრამ მისი ცხოვრება ყველა წიგნებზე უფრო მეტი და საკვირველია.

— : —

მაქსიმ გორკი საქართველოში

იშვიათი ცხოვრების და მოღვაწეობის გზა აქვს მაქსიმ გორკის. იშვიათი სიყვარული, პატივსცემა და გავრცელება მოიხვეჭა მან, როგორც მწერალმა თავისი არაჩვეულებრივი შემოქმედების მანერით და შინაარსით, ისე როგორც პიროვნებამ თავისი ორიგინალობითა და მდიდარი პირადი ცხოვრებით.

მაქსიმ გორკი მე-XIX-ტე და მე-XX-ცე საუკუნეთა უღელტეხილზე ნისლითა და წყვიადით მოცულ რუსეთის ცხოვრების ცის ტატნობზე თავისი ბუმბერაზი ნიჭით თითქოს მოულოდნელ მოქათქათე შუქურ ვარსკვლავათ ამობრწყინდა. მაქსიმ გორკის სახელი თანამედროვე არაჩვეულებრივი სისწრაფით მოედო რუსეთის ვეებერთელა ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხს. მალე რუსეთის საზღვრებს გასცილდა იმისი სახელი. არაჩვეულებრივი თანაგრძნობით დ სიყვარულით მიიღო ის საზოგადოების ფართო მასებმა. ასეთი მოვლენა მაჩვენებელია, როგორც მაქსიმ გორკის მხატვრული ნიჭის დიადობისა, აგრეთვე იმისიც, რომ მისი შემოქმედება ღრმა საზოგადოებრივმა გარემოებამ გამოიწვია: ის საჭირო იყო და დროზე მოვლინებული ხალხის ფართო მასების მიერ დღიდან გამომჟღავნებისა ცნობილი და შეყვარებული შეიქმნა.

მართლაც, მაქსიმ გორკის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის პერიოდი — ეს საშინელი რეაქციის, ტყვიისფრად ჩამოწოლილი მძიმე ნისლიანი ხანაა. ეს ის ხანაა, როდესაც რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყოველი ცხოველმყოფელი ძალა, გამეფებული უხეში რეაქციით ჩაკლული იყო. რუსი ინტელიგენციაც კი, წინა პერიოდში აღფრთოვანების და გატაცების მატარებელი იყო, ახლა მოდუნებული, მოწყენილი და განადგურებული დაფარფატებდა გატკეპნილი ცხოვრების ასპარეზზე. ამ ხანის რუსი ინტელიგენციის ტიპებს რეფექსიით განადგურებულთ, გზა-აბნეულთ, დაჭიანებულთ, რომელთა თვით-კრიტიკა და წუწუნი მკითხველსაც კი სასოწარკვეთილებას ჰგვრიდა, მშვენივრად გვიხატავს ნიჭიერი მწერალი ან. ჩეხოვი. ის

კარგად იცნობდა და გრძნობდა რუსეთის ინტელიგენციის დაკნინებას. ის ამ საზოგადოების განუკურნებელ სენით დაავადებას მწვავე ტკივილებით და მასთან ერთად თანაგრძნობით ჰხატავდა. ჩეხოვი ვერა ჰხედავდა (ყოველ შემთხვევაში ახლო მომავალში) გამოსავალს ამ საშინელ მდგომარეობიდან. ჩეხოვიც კი ვერ ამჩნევდა და ვერა გრძობდა იმ ხალხს, იმედიანს, ძლიერს, რომელიც ხალხის ცხოვრების წიაღში იშვებოდა და ვითარდებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ ხალხის ცხოვრების სიღრმეში იმალებოდა.

აი ამ ფერმკრთალობის, უძარღვობის, მოდუნებულ ცხოვრების დროს გაისმა მაქსიმ გორკის კადნიერი, შეუპოვარი და ლალი ხმა.

მაქსიმ გორკი სამოღვაწეო ასპერეზზე გამოდის 90-იან წლებში. იმ დროს რუსეთის საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში დაიწყო გამომჟღავნება იმ გარდატეხამ, რომელიც მასების ცხოვრებაში დიდი ხანია მზადდებოდა. ეკონომიურმა გარდატეხამ და მწერლობის განვითარებამ რუსეთის სინამდვილეშიც თანდათან გამოიყვანა სამოქმედო სარბიელზე ახალი კლასი, რომელმაც განკერძოვებული და დამოუკიდებელი ადგილი დაიჭირა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ისტორიულ გზაზე გამოსვლისთანავე ამ ახალმა კლასმა თავის მრწამსად, როგორც 'სოციალ-ეკონომიურს, ისე პოლიტიკურს ცხოვრებაში რევოლუციონური გეზი გამოაცხადა. საზოგადოებრივი ცხოვრების ატმოსფერო მომავალი ქარიშხლის მოლოდინით გაიჟღენთა. თვით მაქსიმ გორკი ერთ-ერთს თავის მოთხრობაში „შევარდნის სიმღერა“ აი როგორ გვიხატავს ამ საზოგადოებრივ ცხოვრებას: „ყველაფერი სთვლემს, მაგრამ ეს თვლემა ფხიზლადაა დაჭიმული. გეჩვენება, რომ შემდეგს წამში ყველაფერი ფრთებს შეიბერტყს და გამოურკვეველ ტკბილ ხმათა თანწყობილ ჰარმონიაში აჟღერდება. ეს ხმები მოგვითხრობს ქვეყნის საიდუმლოებას, გაუშუქებს მათ გონებას. შემდეგ ჩააქრობს მას, როგორც მოჩვენებულ ცეცხლს და აიტაცებს სულს თავისთან ერთად მალლა, ლურჯ-წყვდიად უფსკრულში, საიდანაც მას მოეგებება მოციმციმე ვარსკვლავები და ღვთაებრივ მუსიკალურ გამოცხადებას შემოსძახებს“. 1).

ცხოვრების ასეთი ფხიზლად დაჭიმულობა გავლენას ახდენდა ისეთს წრეებზე და პირებზე, რომელთაც ასე თუ ისე მჭიდროდ დაუკავშირეს თავიანთი ბედი მშრომელი კლასის ბედს.

ერთი ასეთი პირველთაგანი მაქსიმ გორკი შეიქნა. მან შესძლო ცხოვრების მორევში ჩასვლა, უშუალო შეხებაში განეცადა და შეესწავლა ეს ცხოვრება, ამოეკრიფა იქიდან საღი, შეიძლება ჩვეულებრი-

1) М. Горький — „Песня о соколе“ — т. I; ст. 243.

ვი შეხედულე ავადმყოფი, მაგრამ მაინც ძლიერი, კადნიერად უარსამყოფელი არსებული ოფიციალური, მოდუნებულ ცხოვრებისა, რომლის წინადგრძნობა ხალხის გულში, მიუხედავად არსებული პირობათა ძალდატანებისა, მკვიდრად იქსოვებოდა. მაქსიმ გორკიმ აგოეთვე შესძლო ამ ცხოვრების მორევიდან ამოტივტივება და მომავალი ცხოვრების ფართო და მიმზიდველი პერსპექტივების გადაშლა. მაქსიმ გორკი გადაიქცა ერთგვარ მახარობლად ახალ ცხოვრებისა.

შესაძლებელია მაქსიმ გორკის თვითონაც მკაფიოდ არა ჰქონდა გარკვეული ნავთსაყუდელი, რომლისკენაც ხალხის ცხოვრება სტიქიურად მიექანებოდა. მაგრამ გორკის შემოქმედებაში ერთი რამ კი ცხადი და უდავოა. ეს ის რომ მაქსიმ გორკი მედგრად, მთელი თავისი ბუმბერაზი ბუნების გატაცებით მოუწოდებს მკითხველს არსებული წყობილების უარსაყოფად, საძიებლად უკეთესი ცხოვრებისა, რომელსაც ის ასე მტიკვნეულად გპრძნობდა. მაქსიმ გორკი მედგრად მოუწოდებდა მკითხველს საბრძოლველად ოფიციალური, მოდუნებულ ცხოვრების წინააღმდეგ.

„მომყვეს გულადი! განქრეს სიბნელე!
ცოცხალს სულს მასში არ აქვს ადგილი!
გული ავინთოთ გონების ცეცხლით
და გამეფდება ყველგან სინათლე!...“
შორს იქით! თქვენმა ბრძნულმა ქაოსმა
ეს ღამე უფრო ბნელი გახადა,
და თან მოშხამა, ვით საწამლავმა
გული, გონება ახალგაზრდათა.
შორსა! აქ ღმერთებს გამოუცხადეთ
ომი უფლების პირველობისთვის...“¹⁾

მაქსიმ გორკიმ ძველ ბატონ-ყმურ მონურ რუსეთშიც გამონახა კუნჭული, სადაც თავისუფლება დიდი მსხვერპლის განწირვით უყიდნიათ. ეს იყო „ბოსიაკთა“ სამეფო. თავისი მოსახლეობით, როგორც დიდი ქალაქების ჯურღმულებში ბუდობს, ხან მუშაობს, ხან არა, მეტს დროს ხეტიალობს, ერთს ალაგას ვერა ჩერდება, ასეთები ცივილიზაციითაც ნაკლებ სარგებლობს. არსებულ ცივილიზაციას ეს ხალხი გაშმაგებით, ნდომით და მასთან ერთად ინდიფერენტიზმით უყურებს.

მაქსიმ გორკის „ბოსიაკები“ — ეს ცხოვრების ნაცარტუტასა და ჯურღმულებში გამობრძმედილი ფილოსოფოსი-პოეტები არიან. ისინი მეტად მკვეთრად და მტიკვნეულად განიცდიან ოფიციალური ცხოვრების სიცალიერეს, სიდუნეს, მათ ეს ცხოვრება ბლაგვ არსებად

¹⁾ М. Горький — „Песня о соколе“. — т. I. ст. 18-19.

შიაჩნიათ. გრძნობენ მის უხეშ გავლენას და ვერ ურიგდებიან მას. უარს ყოფენ არსებულ სახელმწიფოს, საზოგადოებრიობას, კულტურას. ამჯობინებენ ცხოვრების ჯურღმულების ფსკერზე ჩავიდეს, „კანონის გარეშე“ დადგის.

აი ეს ორიგინალური გმირია ის კლასი, რომლის დახატვითაც მაქსიმ გორკიმ დიდებული, პირველ ხარისხოვან მწერლის სახელი მოიხვეჭა. ბოსიაკთა ცხოვრების გადაშლით მაქსიმ გორკიმ ცხოვრების უკადურესი პირობებისაგან ცხოვრების მორევში ჩაძირულ მთელს დიდს სოციალურ ფენას გადაჰხსნა ფარდა. მან მკვეთრად დაგვანახა ამ ფენის სულიერი განწყობილება, ტკივილები, მძიმე, ხშირად უაზრო, შრომა და საქმიანობა, შინაგანი დაუკმაყოფილებლობის ღრღნა, სიხარული და ტანჯვა. მაქსიმ გორკის სამართლიანად ეძახიან „თავისუფლების მისწრაფებათა ფილოსოფოსს“, „ბოსიაკთა სამეფოს კოლუმბს“.

მაქსიმ გორკის სახით და პირით, თითქოს პირველად დაილაპარაკა მრავალ ტანჯულმა ხალხმა და დაილაპარაკა არა თანაგრძნობის და გაკითხვის მიღების გამოთხოვნის მიზნით, არამედ, პირიქით, ამაყად და გაბედულად მოუწოდა დაცემულთ მოძმეთ აღემალლებინათ ხმა თავის ღირსების და უფლების დასაცავად. მაქსიმ გორკის ხმამ ღაღად დაიჭექა იმ დროს წყვილად ცხოვრებაში:

„მამაცთა სიგიჟეს
ჩვენ ვუმღერით დიდებას!“-ო 1).

და ეს ტონი და მანერა სავსებით შეეფერებოდა იმ სოციალურ გადაჯგუფებას ასეთი სისწრაფით რომ ხდებოდა 90-იან წლებში. მაქსიმ გორკის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის პერიოდში. ამიტომ პირველსავე გაგონებაზე მაქსიმ გორკში იგრძნო, რომ ის უშუალოდ ხალხის ცხოვრების სიღრმიდან სტიქიურად ამოვარდნილი ნიჭია; ყველამ თანამედროვე ცხოვრებით უკმაყოფილომ მაქსიმ გორკში თავისი საყვარელი და სასურველი მწერალი დაინახა. განსაკუთრებით მოწინავე მუშებისათვის და ახალგაზრდობისათვის მაქსიმ გორკი ახალი ცხოვრების მოციქულად გადაიქცა.

მაქსიმ გორკიმ ცხოვრების ასეთი დიდი ცოდნა და დაკვირვება და ამაზე აღმოცენებული ღრმა მრწამსი, რომელიც მან ასე კადნიერად და მკვეთრად, მეტად მიმზიდველ ფორმებში ამცნო ფართო საზოგადოებას, ამოკრიფა იმ მდიდარ ნარ-ეკლიან ცხოვრების გზაზე, რომელიც მან ასეთი არაჩვეულებრივობით განვლო მთელ თავისი დაუშრეტელი

1) М. Горький — „Песня о соколе“.

ძიებით და მრავალ ფეროვანი ჯურღმულების ცხოვრების ატმოსფეროს შეგრძნობით და შესუნთქვით.

მაქსიმ გორკის ნარ-ეკლიან, მაგრამ თავისი შინაარსით მდიდარ ცხოვრების გზაზე ერთ-ერთ საინტერესო და ნაყოფიერ სადგურად გადაიქცა ჩვენი ქვეყანაც, კერძოდ ჩვენი ტფილისი. თითქოს მაქსიმ გორკის მდიდარი დაკვრვების, მისი ნიჭის დასრულების და მომწიფებისათვის საჭირო ყოფილიყო ჩვენი ქვეყნის შთაბეჭდილებანიცა და, მართლაც, შეიძლება ითქვას ჩვენმა ტფილისმაც მცირედი როლი არ ითამაშა მისი ნიჭის გაშლისა და გამომჟღავნების საქმეში.

მაქსიმ გორკი ხანგრძლივი, თითქოს უგზო-უკვლოდ (ალბად, რადგანაც მისი ნიჭი ვერა პოულობდა შესაფერ გამოსავალს) ხეტიალის შემდეგ 1891 წ. ფეხით, როგორც თვითონ მოგვითხრობს თავის ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „Мой спутник“, ჩამოვიდა ტფილისში და აქ პოულობს ის სასარგებლო ნავთსაყუდარსა. და აქ ტფილისში სულ ერთი წლის შემდეგ „ბოსიაკი“ მაქსიმიჩი გადაიქცა მწერლად.

მაქსიმიჩი ტფილისში ჩამოსვლისთანავე მისთვის დამახასიათებელი გატაცებით ჩაება თვით-განვითარების, ცოდნის შეძენის შევსების საქმეში და აგრეთვე პრაქტიკულ საზოგადოებრივ მუშაობაშიც: მან გაიცნო და დაუახლოვდა ტფილისში მცხოვრებ ხალხოსნებს — ა. მ. კალიუჟნის, ექ. ნ. ხუდადოვს, გოლა ჩიტაძეს, რომელთაც ხელი შეუწყვეს ნიჭიერი ახალგაზრდის ცხოვრება შეძლებისა და გვარად ნორმალურ პირობებში ჩამდგარიყო.

განსაკუთრებით დიდი შესამჩნევი როლი ხელმძღვანელის ითამაშა. ა. მ. კალიუჟნიმ. თვითონ გორკი 1925 წ. 25 ოქტომბერს კალიუჟნის აი როგორ მიმართავს: „ძვირფასო მეგობარო და მასწავლებელო ჩემო, ალექსანდრე მეფოდის ძევ! მას შემდეგ რაც ჩემდა საბედნიეროდ შეგხვდით თქვენ განვლო ოცდახუთმეტმა წელმა. ამ ხნის განმავლობაში ვის არ შეგხვდით?! მათ შორის იყვნენ გამოჩენილი და დიდი პიროვნებები. მაგრამ მერწმუნეთ — ვერავინ ვერ დარჩილა თქვენი სახე ჩემი გულის მეხსიერებაში. და ეს იმისთვის, ძვირფასო მეგობარი, რომ თქვენ იყავით პირველი ადამიანი, რომელიც მე ნამდვილად ადამინურად მომეპყრა... თქვენ პირველმა, ამას ვამბობ, მაიძულეთ შემეხედა ჩემი თავისთვის სერიოზულად. თქვენ მიერ მოცემული ბიძგის შემწეობით მე უკვე აი ოცდა ათ წელზე მეტია სინიდისიერად ვემსახურები რუსულ ხელოვნებას“.

აღნიშნულ პირთა გარდა მაქსიმიჩი ტფილისში დაუახლოვდა ახალგაზრდა წრეს, რომელსაც მაშინდელი, ძალით ხმაჩაკმედილი

ცხოვრების უფერული მიმდინარეობა არ აკმაყოფილებდა. ახალგაზრდა წრე გაშმაგებული გაბოროტებული სულიერი განწყობილებით ეწაფებოდა ცოდნას, რომელიც მათ უჩვენებდა და ასწავლიდა ცხოვრების გარდაქმნის საშუალებას. ეს წრე იმავე 1891 წ. მიწურულებში შეერთდა „კომუნად“ მაქსიმის მეთაურობით და დაიწყო ცხოველი მუშაობა. ამ „კომუნაში“ გარდა მაქსიმისა იყვნენ: მიწათმზომელთა სასწავლებლის მოწაფენი: მაღალაშვილი და ვართანოვი. (ამ „კომუნაში“ მონაწილეობისათვის მაქსიმის რამდენიმე წლის შემდეგ 1898 წ. ტფილისის ჟანდარმერიამ პასუხი მოსთხოვა ნიჟნი-ნოვგოროდიდან ის ეტაპით ჩამოიყვანეს და მეტეხის ციხეში დაატუსაღეს. მხოლოდ სატახტო ქალაქის გამოჩენილ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დახმარებით მაქსიმისმა შედარებით ადვილად დაახწია თავი ტფილისის ჟანდარმერიას და მეტეხის ციხეს. ¹⁾).

კვირაცხოველის ქუჩის „კომუნამ“ ადვილად გააბა მოქმედების კავშირი ტფილისის სხვადასხვა სასწავლებლებთან და ზოგიერთ, განსაკუთრებით რკინის გზის სახელოსნოების მუშებთან. ამ „კომუნას“ მალე მჭიდროდ დაუკავშირდნენ სამასწავლებლო ინსტიტუტის მოწაფე ანდრო ლეჟავა (ახლა აქტიური ბოლშევიკი), გადმოსახლებული მასწავლებელი ვ. ბეროვი, ყოფილი მეორე გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფე შემდეგში ცნობილი პედაგოგი, ნიჭიერი პუბლიცისტი (ყვავის ფსევდონიმით რომ სწერდა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში: რუსულ ენაზე დაწერილ წერილებსაც იმავე ფსევდონიმით — Ворон — აქვეყნებდა) და რევოლუციონერი შიო ალექსის ძე ჩიტაძე, რომელიც 1906 წელს 4 ივლისს ყაზახების მიერ საკუთარ ბინაზე ერმოლოვის (ახლანდელ შ. ჩიტაძის) ქუჩაზე ვერაგულად იქნა მოკლული, როდესაც ყოფილი ქართული გიმნაზიის შენობიდან ტფილისის მაშინდელ პოლიციის უფროსს მარტინოვს ყუმბარა ესროლეს. და მრავალი კიდევ სხვა დაუახლოვდა ამ „კომუნას“. ებერ. კლეინის ცნობით, ამ „კომუნის“ სალამოებზე იკრიბებოდა 50 კაცამდის. ხოლო მისი არსებობის პერიოდში მასში გამოიარა 200 კაცამდის. ¹⁾ ასეთი რიცხვი მონაწილეთა უდავოდ იმის მაჩვენებელია, რომ „კომუნის“ მეთაურნი ენერგიულად და გატაცებით ჩაებნენ მუშაობაში და მრავალი ჩაითრიეს.

„კომუნა“ მთლიანად ენერგიულად დაეწაფა თვით-განვითარებას და თვით-გაწვრთნას. ამის საჭიროებას მწვავედ გრძნობდა „კომუნის“ მეთაური მაქსიმისი. ის თავისი ამხანაგების და ხელმძღვანელების რჩევით ¹⁾ მეტის სისტემით ვიდრე აქამდის, დაეწაფა წიგნს. მაქსიმისი

¹⁾ Э бер. К лей н — „Горький в Тифлисе“.

¹⁾ Э бер. К лей н — „Горький в Тифлисе“.

ამ დროს შეიქმნა არსებული ბიბლიოთეკის მუდმივი სტუმარი. განსაკუთრებით ის დაუახლოვდა 1881 წ. ტფილისის პროგრესიულ მასწავლებელ ქალთა მიერ დაარსებულ ბიბლიოთეკას. ამ ბიბლიოთეკაში მაქსიმიჩი გამუდმებით იჯდა. ამ თვითგანვითარების, შილერისა და შექსპირის კითხვის დროს ამ „კომუნაში“ აღძრულა, რასაკვირველია მაქსიმიჩისვე თაოსნობით დაეარსებინათ მოხეტიალე აქტიორთა დასი, რომელსაც ვოლგას რაიონი უნდა შემოეარა. ამ მოხეტიალე აქტიორთა დასის დაარსებით განსაკუთრებით გატაცებული ყოფილა თურმე შიო ჩიტაძე, რომელიც თურმე სერიოზულად ემზადებოდა აქტიორის როლისათვის¹⁾. შიო ჩიტაძეს შემდეგშიაც შერჩა სიყვარული თეატრისა და განსაკუთრებით შექსპირისადმი. მაგრამ ეს იდეა „კომუნამ“ ვერ განახორციელა. მალე ზაფხული დადგა. წევრები აქაიქ გაიფანტნენ, „კომუნა“ დაიშალა.

მაქსიმიჩისათვის წინადაც თუ „ბროდიაგობასთან“ ერთად მუდამ დამახასიათებელი იყო კითხვისა და თვით განვითარების წყურვილი, ამ წყურვილის დაკმაყოფილება მაქსიმიჩმა თითქოს აქ ტფილისში უფრო შესძლო (ხუდადოვის დახმარებით მაქსიმიჩმა იშოვა რკინის გზაზე სამსახური, რომელიც მას საკმარისად თავისუფალ დროს აძლევდა). აი სწორედ ამ გარემოებაში გაიფურჩქნა და აყვავდა მაქსიმიჩის შემოქმედებითი ნიჭი. 1892 წელს ის გამოდის სამწერლო ასპარეზზე თავისი პირველი მოთხრობით „Макар Чудра“ აქ ტფილისში გაზეთ „Кавказ“-ში მაქსიმ გორკის ფსევდონიმით.

აღსანიშნავია, რომ მაქსიმ გორკი ტფილისში ჩამოსვლამდის, თუმცა სწერდა, მაგრამ სწერდა არა მოთხრობებს, რითაც მან თავი ისახელა, არამედ ლექსებს, უნდა ითქვას რომ მის ლექსებსაც უღაონიჭის ბეჭედი აზის, ის ლექსის საშუალებით განცდის ასახვაშიც თავისუფლებას ჰგრძნობდა (სამი თუ ოთხი რვეული ლექსისა ჰქონდა). მაგრამ მაქსიმ გორკი თავის ლექსებს არასოდეს არა ჰბეჭდავდა, არ აქვეყნებდა, და ეს ბუნებრივია. ის, ალბად, შეუცნობლად გრძნობდა, რომ მისი შემოქმედების ძირითადი ფორმა ლექსი არ იყო.

და აქ ტფილისში მაქსიმ გორკიმ ჰპოვა თავისი ნამდვილი გზა, დანიშნულება. თითქოს მისთვის აუცილებელი ყოფილიყო შეეგრძნო ჩვენი ქვეყნის მცხუნვარე მზის სხივების მოქმედება, რომ მისი ნიჭი გაშლილიყო, რომ ამ ლამაზ სიშორიდან უფრო მკვეთრად დაენახა ის აუარებელი ხალხი, რომელიც მან ახლოს გაიცნო ცხოვრების მორევში რომ ჩავიდა, და რომელიც ცხოვრების იქით იყო მომწყვდეული;

¹⁾ Э бер. Клейн — „Горький в Тифлисе“.

ის ხალხი, რომელსაც ზნა გამრუდებოდა, მაგრამ ნდომა ცხოვრებისა და ნდომა ადამიანობისა მეტად დიდი და დაუშრეტელი აქვს. მაქსიმ გორკიმ თითქოს შორეული ტფილისიდან უფრო უკეთ შესძლო განეჭვრიტა ცხოვრების ფსკერზე ჩაძირული მდიდარი სახეები, რომელთაც უგემიათ ნამდვილი ცხოვრება ტანჯვით, დამცირებით, უგზო-უკლობით, ხშირად ბოროტ-მოქმედებითაც კი. ყველა ამაში ისინი განწმენდილან და ადამიანური გრძნობა მათ ბუნებაში უფრო დიდის გამახვილებით ამონთებულა. და ეს ამონთებული ადამიანური გრძნობა სწავას და ჰბუგავს ყოველივე შემაერთებელ ხიდს ოფიციალურ ცხოვრებასთან და პროტესტის, შეურიგებლობის პოზიციაზე აყენებს მათ.

აი ამიტომაც, რომ მაქსიმ გორკის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის უმაღლესი მრავალი თაყვანისმცემელი გაუჩნდა სწორედ ამ უფლებათაყრილთ, ცხოვრებიდან გარიყულთ, შენიშნულთა ბანაკში.

მაქსიმ გორკის შემოქმედების განვითარებას ჩვენი მკითხველი საზოგადოებაც თვალ-ყურს გაფაციცებით ადევნებდა. ეს აიხსნება ჯერ ერთი, იმ გარემოებით, რომ მაქსიმ გორკის ორიგინალური ძახილი ოფიციალურ ცხოვრების წინააღმდეგ, როგორც იმ დროის მოწინავე რუსი საზოგადოებისათვის, ისე ჩვენი მოწინავე საზოგადოებისათვის გასაგები, — წინათგრძნობის გამომჟღავნება იყო. აგრეთვე, ამ მოვლენაში შეიძლება ისიც თამაშობდა როლს, რომ მაქსიმ გორკის ჩვენი ქვეყანა, განსაკუთრებით ტფილისი, კარგად იცნობდა, მას თავისად სთვლიდა. ამით აიხსნება, რომ მაქსიმ გორკის თხზულებათა თარგმნა დაიწყო მათ გამოსვლისთანავე, ჩვენში მაქსიმ გორკიმ სწრაფ მრავალი მკითხველი და თაყვანისმცემელი მოიპოვა, როგორც არც ერთმა სხვა უცხო მწერალმა.

თუ 1898 წ. რუსეთში მაქსიმ გორკის თხზულებათა კრებული გამოდის და რუსი მკითხველი საზოგადოება დიდის ინტერესით და აღფრთოვანებით ეგებება, ჩვენშიც არამც თუ ცალკე ნაწარმოებები ითარგმნება (1899 წლიდან), არამედ 1902 წელს გამოდის ქართულ ენაზე კარგა მოზრდილი კრებული მაქსიმ გორკის თხზულებათა ივ. გომართელის კრიტიკული წერილის დართვით. და ეს ხდება მაშინ, როდესაც მრავალი ჩვენი მწერლის შემოქმედება ჯერ არ იყო ცალკე წიგნად გამოცემული. მაქსიმ გორკის თხზულებათა ცალკე კრებულად გამოცემის საჭიროებას აი როგორა ჰხსნის გამომცემელი ი. იმედაშვილი: „ჩვენი მიზანია შერჩევით ვათარგმინოთ (ანუ უკვე ნათარგმნი მოწონებული) და გამოვსცეთ. რასაკვირველია, ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ იმ მწერალთა გამოცემას, რომელნიც ხალხის წყლულებს შეეხებიან და მკითხველ საზოგადოებას გაათვითცნო-

ბიერებენ... ასეთს მწერლად ჩვენ, სხვათა შორის, მიგვაჩნია მაქსიმ გორკი და ამიტომ ამ რიგის წიგნების გამოცემა ხსენებული მწერლიდან დავიწყეთ“¹⁾).

მაშასადამე, მაქსიმ გორკი ჩვენს ლიტერატურაში ისეთ მწერლად მიაჩნიათ, რომელიც „ხალხის წყლულებს შეეხება და მკითხველ საზოგადოებას გაათვითცნობიერებს“. ასეთსავე აზრს ჩვენს ლიტერატურაში გამოსთქვამენ ივ. გომართელი და შიო ჩიტაძე. ივ. გომართელის აზრით, გორკის ძლიერი ნიჭის მიზეზი იმალება „ერთის მხრით იმაში, რომ გორკი ფრიად შესაფერ დროს გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. მეორეს მხრით იმაში, რომ გორკიმ ძლიერის ნიჭით ისეთი კითხვები აღძრა, რომელიც ყველაზე უფრო ააღელვებენ დღევანდელ საზოგადოებას“. იქვე ქვევით ივანე გომართელი უფრო აძლიერებს თავის აზრს და ამბობს: „გორკის ქადაგება არის ძლიერი ხმა მლაღადებლისა საზოგადოების დაჩაგრული ნაწილის უფლებათა აღსადგენად“¹⁾).

ასე ესმოდა ჩვენ მკითხველ საზოგადოებას მე-XIX-ტე საუკუნის განთიადზე, რევოლიუციის რიჟრაჟზე მაქსიმ გორკის მნიშვნელობა. მას ჩვენი საზოგადოება უყურებდა, როგორც ახალი, სიციალისტურა ქვეყნის მოციქულს. გატაცებული რევოლიუციის მოლოდინით და ჟინით, ვერ ამჩნევდა მაქსიმ გორკის გმირების უქნარობას (Никчемность), ვერ ამჩნევდა, რომ მათ შეუძლიანთ მხოლოდ არსებული წყობილების უარყოფა, დანგრევა, მაგრამ შექმნის, შემოქმედების უნარი კი არა აქვთ, რომ ისინი საქმის კაცნი არ არიან. ჩვენს მკითხველ საზოგადოებაში იმდენად დიდი ყოფილა ინტერესი მაქსიმ გორკისადმი, რომ 1902 წ. მის თხზულებათა გამოცემა ცალკე ტომად საჭიროდა სასარგებლო საქმედ მიუჩნევიათ.

არც ამ გამოცემის შემდეგ შეწყვეტილა მაქსიმ გორკის თხზულებათა თარგმნა. მრავალი ნაწარმოები გორკის თითქმის გამოსვლისთანავე ქართულადაც ითარგმნებოდა. ზოგიერთი რამოდენიმე რედაქციითაც. მაქსიმ გორკის თხზულებათა თარგმანები იბეჭდებოდა „კვალში“, „ივერიაში“, „ცნობის ფურცლის დამატებაში“. აგრეთვე ცალკე წიგნებადაც გამოდიოდა¹⁾).

¹⁾ ი. იმედაშვილი — მაქსიმ გორკი — „მოთხრობები“ — 1902 წ.

¹⁾ ივ. გომართელი — „მაქსიმ გორკი“ — გვ. XIII — 1902 წ.

¹⁾ მაქსიმ გორკის თხზულებებიდან ქართულად ნათარგმნია: „შევარდენი“ (1899 წ.), „მიმინოს ლექსი“ (1900), „ეშმაკის შესახებ“ (1901), „კიდევ ეშმაკის შესახებ“ (1901), „ბოლესი“ (1901), „ცხოვრების წინაშე“ (1901), „უკულმართი“ (1901), „მინდორში“ (1901), „წითელი ვასო“ (1901), „ოცდა ექვსი და ერთი“ (1901), „მოთხრობები“ — ი. იმედაშვილის გამოცემა (1902 წ. — 12 მოთ-

მაგრამ მარტო ამ თარგმანებით არ განისაზღვრება მაქსიმ გორკის მნიშვნელობა ჩვენს ლიტერატურაში. გარდა ამისა, რომ მაქსიმ გორკის შემოქმედებას თუ პირდაპირ არა, შორეული გავლენა მაინც ჰქონდა ჩვენს პროლეტარულ მწერლობაზე, თვით მის მხატვრულ შემოქმედებაში ჩვენი ცხოვრების სინამდვილემ გამოძახილი ჰპოვა. მის მოთხრობაში „Мой спутник“ ასახულა ჩვენი ცხოვრების სინამდვილიდანაც ამოღებული ტიპი თავადი ფთაძეს სახით. ¹⁾

თავადი შაქრო ერთის შეხედვით, თითქოს კარიკატურად, შეიძლება, გესლიან დაცინვადაც მოეჩვენოს მკითხველს, შეიძლება არა სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებდეს განსაკუთრებით ქართველ მკითხველზე. მაგრამ თუ ობიექტურად ჩავუკვირდებით მას, დავრწმუნდებით, რომ თავადი შაქროს ტიპი საკმარისი ნიჭიერებით და ბუნებრივობითაა დახატული.

თავადი შაქრო უდაოდ ჩვენი დარღვეული ბატონ-ყმური ცხოვრების. „ძველი დიდების ნაშთია“. ეკონომიურად ნიადაგ გამოცლილი, ბატონ-ყმურ ცხოვრებაზე აღმოცენებულ თვისებათა შენახული პარაზიტად ქცეული შაქრო უდაოდ ტიპია ჩვენი ცხოვრებისათვის. ეს ტიპი ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში გარკვეული სახით იხსნება 60-იან წლებიდან, თავადი შაქრო ეკუთვნის იმ ოჯახს და ნიადაგს, რომლიდანაც გამოვიდნენ ილია ჭავჭავაძის დათიკო („გლეხის ნაამბობი“), ეგ, ნინოშვილის ტარიელ მკლავაძე („ჩვენი ქვეყნის რაინდი“), გ. წერეთლის იერემია წარბა („პირველი ნაბიჯი“). რომ მართლა იმ დროისათვის, როცა მაქსიმ გორკი საქართველოში ჩამოდის, შაქროს

ხრობა). „მოთხრობანი“ ალექსანდრე არაბიძის გამოცემა (1902 წ.), „მტყუნა ჭივჭავი და მართლის მოყვარე კოდალა“ (1902), „მოხუცი იზერგილი“ (1902), „დოსტები“ (1902), „მაწანწალა“ (1902), „ზაზუბრინა“ (1902), „ბიძია არქიპო“ (1902), „სამნი“ (1902), „ჩემი თანამგზავრი“ (1903), „ამბავი“ (1904), „საპყრობილე“ (1905), „გადიდებული მწერალი“ (1905), „აღსარება“ (1905), „პატიმრის სიმღერა“ (1906), „გრიგალის სიმღერა“ (1906), „ძაღლი“ (1906), „სიმღერა“ (1906), „ფერია“ (1906), „ნაძირალნი“. „ფსკერზე“ — 1907), „მშვენიერი საფრანგეთი“ (1907). „ჩემი უნივერსიტეტი“ (1928 წ.), „ხანი და მისი შვილი“ (1911), „ანთებული გედი“ (1921), „9 იანვარი“ (1928), „კონოვალოვი“ (1926), „დედა“ (1928), „პირველი სიყვარული“ (1928), და სხვანიც. სამწუხაროთ, სრული ბიბლიოგრაფიის აღდგენა ამჟამად ვერ მოვახერხებ.

¹⁾ ჩვენის შეხედულებით (ამას ქვემოთ განვმარტავთ) თავადი შაქრო ფთაძე პარტრეტი არ არის. ამიტომ ჩვენ ადვილად ვიღებთ, რომ თავად შაქროში მაქსიმ გორკიმ არ მოგვცა თავისი თანამგზავრის ნამდვილი სახე. მან შეიძლება თავის თანამგზავრიდან აიღო მხოლოდ ზოგადი თვისებები. შაქროს ტიპი, ყოველ ეჭვს გარეშეა, შევსებულია პოეტისა საქართველოში ცხოვრების დროს ახალი შთაბეჭდილებებით და დაკვირვებებით.

ტიპი დამახასიათებელია ჩვენი ცხოვრებისათვის. მჭერმეტყველურად გვიდასტურებს ის გარემოება, რომ სწორედ ამავე წლებში ჰქმნიან ეგ. ნინოშვილი თავის ტარიელ მკლავაძეს (1893), და გ. წერეთელი — იერემია წარბას (1891 წ.).

უნდა აღიარებული იქნას, რომ მაქსიმ გორკიმ შაქროს ტიპი დიდის პოეტური ალლოთი და გამსჭვრეტელობით შეიგრძნო და (თუმცა თავის დამახასიათებელ თვისებებში ცალმხრივად) გამოჰკვეთა მკითხველის წინ განწირული წოდების წარმომადგენელი თავადი შაქრო.

თავადი შაქროს უარყოფითი მხარეები იმიტომ უფრო მოსჩანს მკვეთრად, რომ ის დაპირისპირებულია „ბოსიაკთა“ წარმომადგენელთან, რომელიც ავტობიოგრაფიულია.

მაქსიმიჩი და შაქრო — ეს ორი სხვადასხვა წოდების, კლასის და სხვადასხვა მსოფლმხედველობის წარმომადგენელი არიან. მაქსიმიჩი უარყოფს არსებულ წყობილებას და მის პრივილეგიებს, ახალს ეძებს, იმისკენ მიისწრაფვის მთელი თავისი არსებით.

შაქრო კი ინსტიტუტურად ებლაუჭება დრომოჭმულ ტრადიციებს, გაბატონებულ პრივილეგიებს, მხოლოდ ის სწამს, მას ეთაყვანება. აი შაქრო მაქსიმიჩს რას უამბობს: „ერთმა მდიდარმა თავადმა დიდი წვეულება გამართა. ძრავალი სტუმარი ეწვია მას. სვამდენ ღვინოს, სჭამდენ თონის პურს და მწვადს. სჭამდენ ლავაშს, ფლავს. სადილის შემდეგ თავადმა სტუმრები თავლაში წაიყვანა. შეაკაზმინა ცხენები, თავადი შეჯდა უკეთესზე და მინდორზე მიუშვა. ცხენი ძალიან ფიცხი იყო! სტუმრები აქებდენ ცხენის ტანადობას და სისწრაფეს. თავადი სიამაყით აჯირითებს ცხენს. უცბად გამოჩნდება თეთრცხენზე გლეხ-კაცი, რომელიც თავადს ჯირითში გადაასწრებს. — გადაასწრებს და... ამაყად იცინის. თავადს სტუმრებისა შერცხვა!... შეიჭმუნა წარბები, გლეხ-კაცს ხელის დაქნევით დაუძახა და როდესაც ის მასთან ცხენით მივიდა, თავადმა მას ხმლის ერთი მოქნევით თავი მოაგდებინა და რეგოლვერის დარტყმით ცხენი მოუკლა. შემდეგ მან თავისი ასეთი საჭკიელი ხელისუფლებას აცნობა. მას ამისათვის კატორღა მიუსაჯეს“.

„შაქრომ, — განაგრძობს მაქსიმიჩი (თვით ავტორია), — ეს თავადისადმი შებრალებისა და თანაგრძობის ტონით გადმოძრა. მე შევეცადე დამემტკიცებინა, რომ თავადი არავითარი შებრალების ღირსი არ არის. მაგრამ ის დარიგების ტონით მიპასუხებდა:

— „თავადები ცოტაა. გლეხები კი ბევრი. ერთი გლეხის კაცისათვის თავადის გასამართლება არ შეიძლება. რა არის გლეხი? აი! — და

შაქრომ მიჩვენა ერთი მუქა მიწა. — თავადი კი — როგორც ვარსკვლავია!,,¹⁾.

საინტერესო და დამახასიათებელია ეს საუბარი. აი ასეთს უპირატესობის თვითცნობაშია აღზრდილი თავადი შაქრო. ასეთი შეხედულება ხომ უაღრესად დამახასიათებელია ბატონ-ყმობაზე აღმოცენებული მსოფლ-მხედველობისა! და განა ასევე არ უყურებენ გლებ-კაცს დათიკო, ლუარსაბი და დარეჯანი თათქარიძეები, ტარიელ მკლავაძე: იერემია წარბა და სხვანი ამ წოდების წარმომადგენელი? შაქრო აქ ხორცია ხორცთაგან და სისხლი სისხლთაგან იმათი.

ამავე ბატონ-ყმურ წყობლების პირობებზეა აღმოცენებული თავადი შაქროს სხვა დამახასიათებელი თვისებებიც: ეგოიზმი, უმოქმედობა და მორალური განუზრუნველობა. ისევე ახასიათებს ზემორე აღნიშნულ ჩვენს ლიტერატურულ ტიპებს.

მაქსიმიჩს და შაქროს საქართველოსკენ მგზავრობის დროს უფულობის გამო მოუხდათ იალტის მახლობლად შეჩერება და ფულის საშოვნელად წამუშავება, რომ პური ეჭამათ და გზაც განეგრძოთ. მაქსიმიჩმა ნარდად აიღო ხილის ბალის გაწმენდა გასხლული ტოტებისაგან. მაქსიმიჩმა წინა დღით სამუშაოში გამოართვა ათი შაური. ამ ფულისა პური და ხორცი იყიდა, მოიტანა ამხანაგთან, რომელმაც თავის ტკივილი მოიმიზეზა და არ მუშაობდა. შაქრომ, სანამდის ამხანაგი მობრუნდებოდა, პური და ხორცი მთლად გაათავა, ამხანაგს არაფერი არ დაუნარჩუნა.

აი მაქსიმიჩი როგორ გადმოგვცემს: „ეს არ იყო ამხანაგური საქციელი, მაგრამ მე გავჩუმდი... შაქრომ შენიშნა ჩემი სიჩუმე და იმით თავისებურად ისარგებლა. აქედან დაიწყო რაღარ არაჩვეულებრივი უხამსობა. მე ვმუშაობდი, ის კი, სხვადასხვა მიზეზით, უარს ამბობდა მუშაობაზე, სჭამდა, ეძინა, მტუქსავდა და მამუშავებდა. სასაცილო და თან სამწუხარო იყო, როდესაც ვუყურებდი მას ჯანმრთელს. ახალგაზრდას, რომელიც გაუმაძღარი თვალით მიყურებდა, როდესაც მუშაობის შემდეგ დაღლილი ვბრუნდებოდი მასთან. ის სადმე ჩრდილიან კუთხეში მიცდიდა. მაგრამ ყველაზე სამწუხარო და შეურაცმყოფელი ის იყო, რომ ის დამცინოდა იმისთვის, რომ ვმუშაობდი“¹⁾ შაქრო ბოლოს დაჟინებითაც კი მოითხოვდა, რომ მაქსიმიჩს ის ესაზრდოვებინა. შაქრო ამაყად და ბავშური ჟინიანობით გაიძახოდა: „მე მუშაობა არ შემეძლიან“-ო.

¹⁾ М. Горький — „Мой спутник“ — т. I. ст. 187.

¹⁾ М. Горький — „Мой спутник“ — гл. 191.

შესაძლებელია ეს მწარე დაცინვა იყოს. შესაძლებელია ჩვენი ცხოვრების ასეთი ტიპის დახატვა უცხო მწერლობაში ბევრს არ ესიამოვნებოდეს. მაგრამ თუ მოვიგონებთ ბატონ-ყმურ მეურნეობის დარღვეულ ნაშთებზე აღზრდილ თავად-აზნაურთა ლეგიონს და ჩაუკვირდებით მათ, დავრწმუნდებით მაქსიმ გორკის ამ ტიპის რეალობაში.

მართლაც, მაქსიმისი რომ შაქროს „ტოლი კაცი“ ყოფილიყო, როგორც ამას ჩვეულებრივ იტყოდენ ხოლმე, შესაძლებელია, ისიც მაქსიმის ამხანაგურად მოეპყრობოდა. მაგრამ შაქროს ჰხედავს, რომ მაქსიმისი „ბოსიაკია“, „მუჟიკი“ და დაბალი წრიდან გამოსული. ის ერთი „მუჟა მიწა“, ის კი თავადია — „ვარსკვლავი“. გლახი უნდა მისთვის მუშაობდეს, გლახი უნდა თავადის ბრძანებას ასრულებდეს. და როდესაც შაქროს დაინახა რომ მაქსიმისი მასზე ზრუნავს, მისთვის შრომობს, მან ეს მიიღო, როგორც ვალდებულება. ეს სრულიად ბუნებრივია.

განა ასეთივე შეხედულება არა აქვთ დათიკოს, ლუარსაბს, ტარიელ მკლავაძეს, იერემია წარბას და სხვათა? განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ შაქროს უფრო სქემატიურადაა მოცემული. მისი ცხოვრებიდან მხოლოდ ერთი პატარა პერიოდია დახატული. მიუხედავად ამისა შაქროს პრიმიტიულობა, სიცარიელე, მორალური განურჩევლობა და მისი ბუნების ზოოლოგიურობა მშვენიერად იშლება მკითხველის წინაშე.

შაქროს ტიპისათვის დამახასიათებელია შემდეგი დეტალები. შაქროს დაატყობს, რომ მაქსიმისის ნამუშევარი ორივეს ვერა ჰყოფნის. ის მუშაობას არც კადრულობს და ვერც ახერხებს. შაქროს ამჯობინებს მოითხოვოს. ინვალიდის სახით ეჩვენება ხალხს, რათა მას მოწყალება გამოაღებინოს. შაქროსთანეები ეკონომიურ ნიადაგს რომ დაჰკარგავდნენ, ან მათხოვრობა უნდა დაეწყოთ ან ქურდობა-ყაჩაღობა. განა ასევე არ იქცევა იერემია წარბა?.

მაშასადამე, თუ თავადი შაქროს ტიპს ობიექტიურად ჩაუკვირდებით, უნდა აღვიაროთ, რომ ის ჩვენი ცხოვრების, ჩვენი განწირული წოდების შვილია; მას თავისი მოძმეები ჰყავს ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში. ასეთივე ტიპი ჩვენი ცხოვრებისა მოგვცეს ჩვენი ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლებმაც.

ამ რიგად თავის მოთხრობაში „Мой спутник“ მაქსიმ გორკი შლის თავის შემოქმედების ლეიტ-მოტივს. ცხოვრება მოუწესრიგებელია. არსებული პირობები ამრუდებენ ადამიანთა ცხოვრების გზას. აქ დაპირისპირებულია ცხოვრებისგან გზა გამრუდებული ორი ტიპი — შაქროს და მაქსიმისი: შაქროს მჩატე, გაპირუტყვეებული, პარაზიტად

ქცეული, უხეშად და მთელის არსებით მიწებებული ავადმყოფურ, დრომოჭმულ ჩვეულებებს. ეს პათოლოგიური მოვლენაა. მაქსიმიჩი ჩვეულებრივი ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილა. ამ ჩვეულებრივ კალაპოტში ის ველარ ეტევა. მისი ზნეობა და მისწრაფება ჩვეულებრივი, ოფიციალური ცხოვრების ჩარჩოებს გასცილდა. არსებულს უარყოფს. ახალი ცხოვრების ძიებაშია.

აი ასეთს სახეს იღებს მაქსიმ გორკი საქართველოში და ამ სახით უბრუნდება თავის ნიჟნი-ნოვგოროდს.

— : —

გორკისათვის

ის გორკი არის, დაძირულები
ფსკერიდან მალლა ვინც ამოზიდა;
ბრძოლად განაწყო მათი გულები,
რომელთაც შრომის მიდამო ზრდიდა!

ის გორკი არის, ვინაც სიმწარე
ტკბილი სიტყვებით გადაგვიშალა;
იარაღს მისებრ სხვა ვინ იხმარებს! —
მასა აქვს სიტყვის სტრატეგის ძალა!

როგორც ირემი დაეძებს წყაროს,
მეც ვკითხულობდი გორკის ჩემს დროზე....
დღესაც აშუქებს მაშვრალთ სამყაროს.
ის, რომ გორკია მისი მედროზე!..

— : —

მაქსიმ გორკი თეატრში

მაქსიმ გორკი, არც მოწოდებით, არც პროფესიით დრამატურგი არ ყოფილა. მისი პიესები დაშორებულია იმ დრამატურგიულ ტექნიკას, რომელსაც ძველადვე მოითხოვდა არისტოტელი და რომელიც შემდეგში განავითარა და უმაღლეს საფეხურზე აიყვანა — შექსპირმა.

მ. გორკის პიესები მოკლებულია იმ დრამატიულ კოლიზიას, რომელიც ჰქმნის მოქმედებას სცენაზე. მისი პერსონაჟები სცენიურ მოქმედების გარეშე რჩებიან. ისინი მხოლოდ ლაპარაკობენ. ამას თვით მ. გორკიც არ უარჰყოფს.

„იცით, როგორი მდგომარეობაა? ყველა ეს ჩემი გმირები გარს მებხვევიან, მეტმასნებიან, მოსვენებას არ მაძლევენ, თავს დამტრიალებენ, მაგრამ მე არ ვიცი სად მიუჩინო მათ ადგილი, როგორ შევარიგო ერთმანეთი. სულ ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ და ლაპარაკობენ!“

და მართლაც მ. გორკის გმირები მხოლოდ ლაპარაკობენ და არ მოქმედობენ და ამ მოქმედების გარეშე კი, ჩვენ კარგად ვიცით, რომ თეატრში შთაბეჭდილება არ შეიქმნება, მაყურებელზე ზე-გავლენას ვერ მოვახდენთ.

მაგრამ, საკვირველებავ!...

მ. გორკის პიესები ჩვენზე მოქმედობენ და თავის დროზე მათ დიდი ზე-გავლენაც მოახდინეს.

რაშია საქმე?

როდესაც მ. გორკიმ პირველად თავისი პიესა „მესჩანები“ დასწერა — ეს იყო ის ხანა, როდესაც მეფის ხელისუფლებას, მის პოლიციას და ცენზურას ფხიზლად ეჭირა ყური, როდესაც, სტანისლავსკის სიტყვით, პიესების საცენზურო ეგზემპლიარებზე წითელი თანქარი დასეირნობდა, შლიდა ყოველივე საეჭვო სიტყვას, რომ საზოგადოებრივი სიმშვიდე არ დარღვეულიყო. ამ დროს რეაქციას ეშინოდა, რომ თეატრი არ გარდაქცეულიყო პოლიტიკურ ტრიბუნად, პროპაგანდის კათედრად.

ეს ხანა იყო 1902 წელი. 1905 წლის წინა პერიოდები, როდესაც ღრუბლები შეიკუმშა და ჰაერში მოახლოებული ქარიშხალი ტრიალებდა.

მ. გორკის „მესხანები“-ც სწორედ ამ დროს გაჩნდა და პირველი ყუმბარა, შეიძლება ითქვას, „მესხანებმა“ გადააგდო. მ. გორკის პიესამ, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი აურ-ზაური გამოიწვია. შინაგან საქმეთა მინისტრმა სიპიაგინმა პიესა სცენაზე დასადგმელად აკრძალა, მაგრამ მოსკოვის სამხატვრო თეატრმა, მაინც მოახერხა მისი ნებართვის აღება და თავის რეპერტუარში შეიტანა.

თუ როგორ ეშინოდა მეფის მთავრობას მ. გორკის პირველ პიესისგან, ეს სჩანს იმ კუროზულ ამბავიდან, რომელსაც ადგილი ჰქონდა პრემიერას წინა დღეებში.

ვიდრე მ. გორკის „მესხანები“ დაიდგმებოდა, პოლიციამ თეატრზე მეთვალყურეობა გააძლიერა და ბოლოს მისი თავხედობა იქამდე მივიდა, რომ ერთ-ერთ წარმოდგენაზე, კონტროლიორები, რომელნიც კაპელდინერების ფრაკებში იყვნენ გამოწყობილნი, გოროდოვებით შესცვალა. თეატრში მაუზერიანი გოროდოვოები ხალხს თავზარსა სცემდა. ნემიროვიჩ-დანიენკომ ამაზე სასტიკი პროტესტი განაცხადა. პოლიციას, რასაკვირველია, თეატრის ხელმძღვანელისთვის და დიდ ავტორიტეტისთვის, უნდა ანგარიში გაეწია, მაგრამ აქაც მეფის ერთგულმა დარაჯებმა სხვა ხრიკს მიმართეს. გოროდოვებს კაპელდინერების ფრაკები გადააცვეს და კონტროლიორებად „მესხანები“-ს პირველ წარმოდგენაზე ისევ გოროდოვოები დააყენეს. მაგრამ მით მაინც თავის საწადელს ვერ მიახწიეს.

წარმოდგენაზე „გაძვრენ“ ისეთი პირები ახალგაზრდებიდან, რომელნიც პოლიციას არ ესიამოვნებოდა და მ. გორკის პიესის წარმოდგენაზე მაინც დემონსტრაცია მოაწყვეს.

ამ რიგად მ. გორკის პირველმა დრამატურგიულმა ნაწარმოებმა, რომელიც სუსტი იყო თავისი სცენიური ტექნიკით და ეფექტებით, დიდი აღფრთოვანება გამოიწვია საზოგადოებაში და ეს აღფრთოვანება გადავიდა დემონსტრაციაში მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ.

გორკის პირველმა პიესამ უკვე მტკივნეული საკითხი წამოაყენა. მეფის მთელი სამინისტრო, სამღვდელოება და უმაღლესი წრეები ძალიან შეშფოთდნენ. მეორე პიესამ კი „ფსკერზე“ ყველას დავთრები დაუბნია და მთელი პოლიცია ყალყზე დააყენა.

ყველამ უცბად დაინახა საშინელი იარები. ბნელი კუნჭულები, რომელიც დღემდე მიმალული იყო და მოულოდნელად თავი წამო-

ჰყო. ყველამ აშკარად დაინახა, რომ მ. გორკი ანადგურებდა ძველ ქვეყანას. როგორ შეხვდებოდა ამას ძველი რუსეთი? რასაკვირველია, სასტიკი წინააღმდეგობით. მ. გორკიმ თეატრშიაც გარკვეული კურსი აიღო.

ვლ. ი. ლენინმა მ. გორკის, სამართლიანად უწოდა: პირველი პროლეტარული მწერლის სახელი. მ. გორკი, დიახ, პირველი პროლეტარული მწერალია, რომელმაც მოგვცა პროლეტარულ დრამატურგიის პირველი ნიმუშები. გორკი, შეიძლება პირველ პროლეტარულ დრამატურგად ჩავთვალოდ. მან პირველად გამოიყვანა სცენაზე ნამდვილი ლიუმპენ-პროლეტარიატი. მაგრამ საქმე მარტო ამაში არ არის. საქმე იმაშია, რომ გორკიმ პირველმა შეჰქმნა ნამდვილი სოციალური პათოსი და თუ გნებავთ, ერთგვარი, ახალი რომანტიზმი. მან პირველმა გამოიყვანა „ბოსიაკები“ (ან უკეთ რომ ვთქვათ, გაბედა მათი სცენაზე გამოყვანა) და შეჰქმნა ამ ბოსიაკების სტილი. პროლეტარულ მწერლობას, უნდა ჰქონდეს თავისი საკუთარი, ორგინალური სტილი. ასეთი სტილი შეჰქმნა მ. გორკიმ და მისი დამსახურებაც, როგორც პროლეტარულ დრამატურგის, სწორედ ამაში მდგომარეობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ სტილის გარეშე, ის სოციალური შინაარსი, რომელიც საფუძვლად დაუდო გორკიმ თავის პიესებს, გამოხმაურებას ვერ იპოვიდენ სცენაზე, მარტოდენ მშრალ აგიტაციას და რჩებოდა, მაგრამ მ. გორკი დასცილდა ამ გზას და მოგვცა უაღრესად მხატვრული ნაწარმოები.

მ. გორკის ყველა პიესები ჩვენ უნდა გავსინჯოთ ისტორიული ასპექტით, რადგან ყველა ისინი ეკუთვნიან იმ ხანას და იმ ეპოქას, რომელიც ჩაბარდა ისტორიას. ამის გარეშე ჩვენ ვერც გავიგებთ მის პიესებს და მისი გაგებაც შეუძლებელი იქნებოდა, რადგან ჩვენი ახალი მსოფლმხედველობა, დრამატურგიულ ახალ ნაწარმოებიდან სულ სხვას მოითხოვს როგორც თავისი შინაარსით ისე ფორმით.

როგორც ზევითაც ვთქვით, მ. გორკის პიესები მოკლებულნი არიან მოქმედებას. მოქმედების მაგივრად გორკის მოცემული აქვს: მკვეთრი სიტყვა, მკაფიო დიალოგები, ცოცხალი სახეები და ფსიქოლოგიური ხასიათები. ამიტომ გორკის პიესები, ეგრედწოდებული, ყოფა-ცხოვრების სახასიათო პიესების ციკლს უნდა მივაკუთვნოთ. წმერალი გვიხატავს ყოფა-ცხოვრებას — ღრმა ფსიქოლოგიური შინაარსით და მთელი მისი საიდუმლოება გამოიხატება იმაში, რომ შინაარსი აგებულია შინაგან განცდაზე, რომლის გადმოცემა ასე კარგად ეხერხება მხოლოდ მოსკოვის სამხატვრო თეატრს.

ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ მ. გორკიმ მოსკოვის სამხატვრო თეატრის ცხოვრებაში ასეთი დიდი როლი ითამაშა.

„საზოგადოებრივი — პოლიტიკური ხაზის გამტარებელი ჩვენ თეატრში იყო მაქსიმ გორკი, — ამბობს კ. სტანისლავსკი.

სამხატვრო თეატრმა ალლო აულო მ. გორკის პიესებს და გამოაშკარავა მათი შინაგანი ხასიათი. თეატრი სავსებით ჩასწვდა მწერალის სპეციფიურ ბუნებას. მ. გორკი — ეროვნული მოვლენაა. სამხატვრო თეატრიც — ეროვნული თეატრია. ამიტომ ადვილი გასაგებია, რომ თეატრმა მალე აღმოიკითხა პოეტის გულის პასუხი.

რაში მარხია მ. გორკის შემოქმედების საიდუმლოება სცენაზედ? ამაზე პასუხს მოგვცემს ისევ კ. სტანისლავსკი.

„მ. გორკის სიტყვები სცენაზედ უნდა წარმოითქვას ისე, რომ თვითყელი ფრაზა ახმაურდეს“.

მართლდება ჩვენი აზრი. გორკის დრამატურგიული ტექნიკა სრულიად არა აქვს. მისი პიესები — თავისი მოქმედებებით კი არ არის საინტერესო, არამედ სიტყვიერი მასალით. გორკის სიტყვას აქვს ისეთი შინაგანი პათოსი, რომ სცენაზე წარმოთქმის დროს ჩვენზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. ამას გარდა გორკის პიესები — ინდივიდუალიზმიდან თავისუფალი არ არიან, მაგრამ მისი პიესები აგებულია პათეტიურ პაუზებზე და თავიანთ მოქმედებას გამოხატავენ ამ პაუზებით. ასეთი ხერხი აქვს ა. ჩეხოვსაც, მაგრამ ჩეხოვის ინდივიდუალიზმი, თავისი დამახასიათებელი პაუზებით, მთლიანად გამოხატავს ნევრასტენიკურ ტემპერამენტს, რომელიც წარმოშობილია დეკადენტურ დამბლის ეპოქიდან. მ. გორკის ინდივიდუალიზმში კი განჭვრეტილია პროლეტარიატის ეპოქა. გორკი, პირიქით, შლის დეკადენტურ დამბლის ეპოქას, მისი გმირების ინდივიდუალიზმი ირღვევა თავისთავად, ბუნებრივი კანონით, შინაგანი კრიზისით. ამის შემდეგ კი გორკი უახლოვდება ღრმა სოციალურ ტიპებს. გორკიმ შექმნა გასაკვირველი ფსიქოლოგიური ტიპები. მათში მოცემულია ფსიქოლოგიური სახეების ახალი სინთეზი, მაშინ, როდესაც ჩეხოვი იძლევა სახეების ანალიზებს და ხდება ისტორიული. გორკი კი დაშორებულია ამ რიტორიკას.

მ. გორკის სცენაზე სხვადასხვა სოციალურ ხასიათის, სხვადასხვა ჯგუფის და კლასის ხალხი გამოჰყავს. მის პიესაში „ფსკერზე“ შეხედებით: ნამდვილ ბოსიაკს და გაბოსიაკებულ ადამიანს, ბარონს, ინტელიგენტს, პროფესიონალურ ქურდს, შარლატანს, ეულიკს, მსახიობს, ზეინკალს, ხარაზს, მოვაჭრეს, ლოთს, ქალაქის მოთამაშეს, დამნაშავეს და უდანაშაულოს, ყველანი ერთად იტანჯებიან, ყველანი

ცხოვრების ფსკერზე ერთად ჩასულან. ცხოვრებას ერთბაშად გაუ-
რიყავს. გორკი გვიხატავს ისეთ ქვეყანას, როგორც ნამდვილად არსე-
ბობდა, მაგრამ როგორც მომავალში აღარ უნდა არსებობდეს.

როდესაც უყურებ გორკის გმირებს, რწმუნდები მეფე ლირის
სიტყვებში: „არავინ არის დამნაშავე ამ ქვეყანაზედ, არავინ არის ბრა-
ლეული!“ მაგრამ ამავე დროს გორკი თითქოს უკულმა აბრუნებს ამ
სიტყვებს და გვეუბნება: „სიმართლე არ არის ამ ქვეყნად. ყველანი
დამნაშავენი არიან“, თორემ თავის ერთ-ერთ გმირს ლუკას არ ათქმე-
ვინებდა ამ სიტყვებს: „რამდენი ხალხი ბრძანებლობს ამ ქვეყანაზედ.
ყველანი ერთმანეთს ემუქრებიან, ყველას უნდა თავისებურად მო-
აწყოს ეს ცხოვრება, მაგრამ სამართალი არსად არისო!“...

ღიახ, სამართალს ხშირად იქ ეძებენ, სადაც ეს სამართალი სრუ-
ლიად არ არსებობს, სადაც სამართალი მოკლულია მჭრელი მა-
ხვილით.

მ. გორკის ყველა გმირები ეძებენ სამართალს, მაგრამ სამართა-
ლი მათთვის არსად არ არი, რადგან ამ სამართალს სჭრიდენ ქურდე-
ბი და ავაზაკები.

თუ დოსტოევსკიმ შეჰქნა „კარამაზოვიჩინა“, გოგოლმა „ხლესტა-
კოვიჩინა“, მ. გორკიმ შექმნა ბოსიაკების ტანჯული სამყარო და ეს
სამივე მოვლენა, ნამდვილი რუსული მოვლენა იყო, ეს სამივე რუ-
სული ტრაგედიაა; ტრაგედია, წარმოშობილი მსუსხავ და მკაცრ მუ-
ხრუჭებიდან.

ოქტომბრის რევოლიუციამ დღეს ეს მუხრუჭები გაარღვია და
ჰქმნის სულ სხვა ახალ ქვეყანას.

მ. გორკი მართალია მოწოდებით როგორც ვსთქვით, ნამდვილი
დრამატურგი არ ყოფილა, მაგრამ იგი, როგორც ბუნტარული მწე-
რალი, როგორც მებრძოლი — მოქალაქე, გზას ვერ აუხვევდა იმ ხე-
ლოვნების დარგს, რომელიც ყველაზედ უფრო დიდ ზე-გავლენას
ახდენს ჩვენზე და ჩვენს სულიერ ცხოვრებაზე. ეს არის — თეატრი.
მ. გორკიმაც თეატრის წინაშე მოიხადა თავისი მოვალეობა და მოგვ-
ცა ისეთი დრმა სოციალური შინაარსის პიესები, რომელთაც ერთ-
დროს თეატრში ისეთივე როლი ითამაშეს, როგორც გორკის მოთხრო-
ბებმა — ლიტერატურაში.

მხატვრული ლიტერატურა

ტიციან ტაბიძე

მ მ მ მ ბ ი მ რ კ ი რ შ ი

რიონი-პორტი.

ჩემ მეზობლებს და რიონ-პორტის ენტუზიასტს,
— შთაგონებულ ინჟენერ ვასილი ავდეევი*)

1.

ჰიპოკრატე — ძველი ბერძენი,
ასე სწერდა ამ ქვეყანაზე,
(სჯობდა რომ სულაც არ დაეწერა):
— „ქვეყანა, რომელსაც ჩაუდის ფაზისს მდინარე
არის ჭაობიანი, ცხელი და ნოტიო.
შემოსილია გარშემო ტყით.
ყოველდღე მოდის დიდი წვიმები.
ამ ჭაობებში მცხოვრები ხალხი
წყალში აშენებს წნელისგან ფაცხებს.
გარედ გამოდის მხოლოდ მაშინ,
თუ ბაზარში მოუხდა წასვლა.
ხმარობენ ხისგან გაკეთებულ ნავს
და ამ ნავებით ირგვლივ უვლიან
წყალში ჩაყურულ თავიანთ მამულს.
სვამენ წვიმის წყალს თბილსა და მდორეს
და სიცხისაგან სულ აყროლებულს.
აქ არ მწიფდება არას დროს ხილი.
წყალს ზევით ადის რაღაცა ნისლი,
ჰაერს რომ ალპობს და მუდამ სწამლავს.
ხალხია ტანით თუმცა მაღალი,
მაგრამ იმდენად არის მსუქანი,
რომ აღარ უჩანთ ძარღვის სახსარი.
ყვითელი, მწვანე გადაკრავს ფერი,
თითქოს სიყვითლით არის ავალო“.

*) ინჟენ. ვ. ავდეევი — საქართველოს უღელტეხილის რკინის გზისა და რიონ-პორტის პროექტების ავტორი.

2.

ამხანაგებო,
მეზობლებო,
სახლის კაცებო!...
მინდა შორიდან
მოგესაღმოსთ
ძმა-ამხანაგი.
მაინც თქვენი ვარ,
თქვენი მიწის,
თქვენი ორპირის,
თუმცა საგრძნობი
არ მიმიძღვის
თქვენთან ამაგი.

ვიცი კითხულობთ
თქვენ ჩემს ლექსებს
და ეს წერილი
წასაკითხათ
სახლში მოგივათ.
ვიცი გაარჩევთ
მართალ სიტყვას,
ძმა-კაცურ საღამს.
ამიტომ არი,
რომ უბრალო
ლექსით მოვდივარ.
ამიტომ არი,
რომ სიხარულს
გული ვერ მალავს.
ამხანაგებო,
მეზობლებო,
სახლის კაცებო!...
ჩემი საღამი
და აღტაცება...

3.

ჩვენი ბავშობის ოცნება ახდა:
 ვხედავთ ორპირში ორთქლმავალ გემებს.
 ახლოს გაგვიარს ეზო და სახლთან
 და საბჭოების მზეს მიგვაგებებს.
 ჩვენი დამქცევი იყო რიონი,
 გვემუქრებოდა ყოველდღე აყრას
 და მალარიის ცივი მირონი
 ახლაც გვაყენებს საშინელ ზაფრას.
 — ვინ დაგვიწყევლა უქმური მხარე,
 და საწამლავად მოგვცა ეს ფშანი;
 აქ აღამიანს რა გაახარებს,
 რომ იყოს მართლა გარდაქეშანი.
 რა იყო წინად ამის წამალი —
 ნაკურთხი წყალი და აიაზმა!
 ამიტომ იყო სოფელი მალე
 საფლავის ქვებით რომ დაირაზმა.
 ბევრი ყოფილა აქ შეცხადება,
 ბევრის უდროვოდ ატირდა დედა.
 ველარ უშველეს ლოცვით ხატებმა,
 დაივსო კუთხე და გადაშენდა.
 მე ეხლაც ვხედავ დაკონკილ საბნებს
 მზისგან რომ აღის ოფლი ოხშივრად.
 გულად ვაჟკაცსაც შიში დააბნევს
 და თავის ბედის გახდის მომჩივრად.
 თვალწინ მიდგება თავებ წაკრული
 ფხალის ნეშოში ბალლი და ქალი
 და ცხელებისგან პირ გაძაგრული,
 მესმის საწყლების ცივი კანკალი...
 ძველ დროს ხალხისთვის ვინ მოიცილიდა
 რამე ეწამლა, ეცა ნუგეში!..
 პირიქით ლუკმას პირში აცლიდა,
 სურდათ დაელპოთ ამ მყრალ გუბეში.

4.

ახალ ცხოვრების
და ოქტომბერის
მაცოცხლებელი
ტრიალებს ქარი.
თავის ბედს ხალხი
თვითონვე მართავს,
გუშინ უმწეო
და შესაბრალო,
ბედნიერების
დამდგარა კართან.

ვერ გაგვიბედავს რიონი აყრას,
ხედავთ გემების გადმოშლილ აფრას.

ძველი სიზმარი უკვალოდ გაქრა,
ვისაც სჯეროდა, ღმერთმა შეარგოს.
დღეს სხვა გემების გამოჩნდა აფრა,
და იაზონის არა გავს არგოსს.
ახალ ეპოქის უდიდესს ეპოსს
აღარ სჭირდება უკვე მედეა.
პოეტს სხვა ცეცხლი გულს მოედება,
თუ თავის თავის მოიმედეა.
ახალ სიმღერებს გულში აგვინთებს
ბედნიერების სხვა დაპირება.
დღეს სხვა აზრი აქვს საგნებს და ნივთებს
და ზღაპრად იქცა ოქროს ტრირემა.
სად იყო წინად ის ოქროს სილა,
ანდა სად ება ის ოქროს ვერძი?...
ალბად ქვეყანა სულ გამოცვლილა
და შეუცვლია მიწასაც ღერძი.
ოქროს ლოდინი ეხლა ტყვილია,
დღეს ოქროდ მარტო შრომა ფასდება.
დღეს შრომა მართლა ოქროს წყვილია,
ჩვენ სიღარიბეს ის თუ გასწვდება.
ახალ ცხოვრების აზრიც ეს არი
ხალხს არ წაერთვას ლუკმა და სარჩო,
და თუ ამ დღეებს ჩვენ შევესწარიტ,
მიზეზი არი — ლენინის საბჭო.

5.

მე თუ ვერ ვაქებ ინდუსტრიის ქარს,
მიტომ რომ ფეხი ამ ფშანში ჩამრჩა.
სხვა კაცი იმას უფრო მოიხმარს,
ამ ახალ კაცის მე ვარ ქამანჩა.
ალბად სადღაცა ზის უსახელო,
იქნებ ნიფხავი ჯერ არც კი ეცვას;
მაგრამ გახსნილი აქვს მას საყელო,
ღია თვალებით უყურებს ზეცას.
მის მაგიერად რამდენი მკლავი
შრომობს, ირჯება და ოფლს იწურავს;
ხუთკუთხიანი მისი ვარსკვლავი
სამშობლო ცაზე სხვაგვარად სცურავს;
ეცვას პერანგი დღეს ნარმიანი
— ის მაინც სხვაა ადამიანი.
ოქტომბრის ქარი ზუზუნით ზრდიდა,
არ მოვარდნილა უეცრად ციდან.
და გიგანტიურს ვხედავთ შენობას,
— მაგრამ, ჯერ ტყესა და ხარაჩოებს
ნულარ დავაჩენთ ჩვენც უჩვენობას,
გზა ნათელი აქვს ამ დიდ საბჭოებს.
გამოიჭედა ეს საქართველო
ფოლადის რკინის ახალ ჯავშანში,
გატანილია იმისი ლელო,
არ დაიღრჩობა ჩვენსავით ფშანში.
ახალ ცხოვრების ამ აშენებას
ძმური სალამი ჩემი გვიანი,
ახალ ცხოვრების მშვენიერებას
შვენიის ახალი ადამიანი....

სდგას აბრეშუმის და ტყის სახერხი,
 მალე ქალაქის ქარხანას ველით.
 დიდ საყვირების გრიანებს მეხი,
 გამოვა გემი რიონის ხვრელით.
 მალე დადგება დამბების ქსელი
 და რკინის ხიდი გამოცვლის ბორანს,
 მალე იმ გზაზე, დღეს რომ ლაფს ვზილავთ
 მატარებელიც, ვხედავთ, მიგორავს.
 და იმ ადგილას, სადაც ჯერ გუშინ
 არ ეგდო ტყვილად ერთი აგური,
 ციებ-ცხელების გამომპალ ღრუში
 კლიმატიური ჩნდება სადგური.
 გადაშრებიან ასე ფშანები,
 ველარსად ვნახავთ დაგუბულ რუებს.
 და მოტორების რკინის ლაფშები
 მუხაყრუასაც გადააყრუებს.
 მაშინ გახდება მართლა საჩინო
 ეს იმერეთის კუთხე პატარა;
 მგონი რომ ბედმა გადაგვარჩინოს,
 მგონი ჩვენ ცაზე გამოიღარა.
 და მე სიხარბე დამრჩა პირველი
 როცა ორპირში გემი მოვიდა,
 ვერ დავინახე ტარასს სპრინკველი
 ხავსმოდებული ჩემი ქობიდან.
 ლექსს ვერ ვუნახე საჭირო ხტილი,
 ასე უბრალოდ გრძნობა ამიტანს,
 სჯობს გამოტეხა და გულახდილი
 ვკოცნი ამ გემის პირველ კაპიტანს.
 დღეს ჩემი გული ქალადიღია,
 გულში სხვა გული გემად დაცურავს.
 დღეს ძველი ქვეყნის პანაშვიდია,
 მიწა ქალამნად — ცა ქუდად მხურავს.
 ჩვენი ბავშობის ოცნება ახდა,
 ვხედავთ ორპირში ორთქლმავალ გემებს.
 ახლოს გაიარს ეზო და სახლთან
 და საბჭოების მზეს მიგვაგებებს.

პ ი რ ვ ე ლ ს ტ ა მ ბ ა უ ი

დღეს მარტო ლექსით ვის გააკვირვებ!
ან ვის რათ უნდა შენი სახელი,
როს გრიგალივით მგრგვინავ საყვირის
ქარხნის გულიდან მორბის ძახილი.

ხედავ: ელექტრო გადამდნარ რაზმებს
ფეტვივით ფანტავს თუჯის მკერდებით,
და სტრიქონები რკინის დაფაზე
ვით ყელდაჭრილი ყრიან გედები.

დაუდგრომელი მანქანა ქშინავს.
ისმის დგანდგარი როტაციონის...
თითქოს აქ ნება შეზრდია რკინას,
თითქოს მეც სული მქონდეს ლითონის!

— მოსწიე ბორბალს, მაგ შენსა ძმობას.
მკერდში ჩავიდგათ გული სკვითელის.
ერთი გვანთებდეს სურვილი, გრძნობა
და ერთად ვჭედოთ დღე ხვალინდელი!..

2/V — 28.

— : —

მორღუ

ტყის პირას შეხვდენ ძველი მტრები მურზა და მორღუ,
 მორღუ ცხენენჯი და მოხუცი ქვების ჩონჩხივით.
 მურზა ვაჟკაცი დაბერების წინამორბედი
 და დატანჯული ყორანებთა გადაჩხავლებით.
 მიმართა მურზამ — ხომ გახსოვს, მორღუ, გამაპარტახე —
 ცხენი მომიკალ, ოდის ცხენი ჩამომინგრეი;
 და მკვდარი ძმა გაფატრული, კლდეის კორტოხზე, —
 შენ გადაკიდე გადასაგდებ უნაგირივით.
 მამამ გაგზარდა — აგვიწიოკე მთელი სოფელი,
 ცხვრები დახოცე — მოლალატემ დედა გალახე;
 აკვანში ბავშსაც რომ მივარდი დაუნდობელი,
 და დაანარცხე აივნიდან ჯაგრის ბალახებს.
 მოკიდე ხანჯალს და ამ ომში ვინც გაიმარჯვებს,
 მას დარჩეს ჩვენში სინიდისი გამორეცხილი.
 და ვისაც რკინა ერთი დაკვრით გამოარჯულებს,
 მას დასცვივდება ორივე თვალი ნაკვერცხლებივით.
 ამ შეხვედრისთვის, მრისხანებავ, ალბათ მზათა ხარ;
 დაჩონჩხებულხარ და არ მოსჩანს ხორცი ტყავიდან.
 მინდოდა სისხლი დამეკვეთა ზეთისხილივით,
 სისხლი-კი არ გაქვს, მითხარი მაინც საით წავიდა.
 — მახსოვს მე მურზა, წარსულებში რაც ვიმოქმედე.
 მახსოვს რომ ყელი გამოვჭერი შენს ძმას მასხარას;
 ეხლა დავბერდი, დამცქერიან ყინვის ქედები —
 და მორღუმ ცხენზე ჩონჩხებივით გადიხარხარა.
 ნუ დელავ, მურზა, ნუ აენტები ჩალის ცეცხლივით,
 კიდევ გაუძლებ გულზე მოსულ შენებრ მყევარებს.
 წამოდგა ტყე — ის ახმაურდა როგორც ცოცხალი
 და ხეებიდან ხმა მოვიდა აყეფებული.

გაბრაზდა მურზა და საფეთქელმა უწყო ფრიალი
და მოინდომა მან მტრის მკერდში ხანჯლის ტრიალი.

ვინ სთვლიდა ბრძოლას ეხლა უღირსად
მურზა მაგარი. თვალნი მღვრიე დამწვარ კირივით;
მუხლებში კრთოდა ძველებური მოდგმა მუხისა
და დრო ჩარბოდა მის ძარღვებში მძიმე კივილით.
მორდუს ხანჯალი მოპირული გარიჟრაჟივით
სხეულში ხორცი დროებიდან ამოკორტნილი
მთების ნანგრევში მოენახა ამ ჩონჩხს საშველი
და ზურგზე კუზნი, ჟამთა სრბოლის კორიანტელით.
და უთხრა მორდუმ — მე მკლავები აღარ მლაღატობს.
მე ცხენის სისხლით, ბავშობისას, დედამ გამზარდა,
მე გამიგია კლდეების და ხრამთა ლაღადი
და დღესაც ხალხში ცნობილი ვარ მთების სარდალათ.
შემდეგ მომართა იარაღათ ცხენის მათრახი
და სწრაფ მტერს თვალში, მოულოდნელ ძლიერ ახალა,
გაბრუნდა მურზა, ვერ გაუძლო სახეს განახევს
და დაენარცხა მოწყვეტილი როგორც ბახალა.

ხომ დაგამარცხე უძვალეზო — მოდგმით მკვეხარავ
და ხარხარივით სივრცეს ტორნი გადააყარა.

შემოკრა გავას. შესძახა სივრცეს გაფართოვებულს,
თითქოს წაიღო გამარჯვებით გული ყაბული;
გაიქცა ცხენი, აჭიხვინდა როგორც მართალი,
გაბრაზდა ტყე და გაეკიდა აჯანყებული.

— : —

უკლესტრა

(უცხო თვალი ევროპაში)

რომანი

კამარა მხუთე

ტრამვაიში, რკინის-გზაზე, „მეტროში“, ომნიბუსში — ხედავ — სხედან დაქანცულნი, თითქმის ყველანი, არაქათ-გამოლეულნი. თუ მოქანცულობამ მუდმივი ხასიათი მიიღო, მაშინ, დროც რომ ჰქონდეს ადამიანს. იგი ვერ ისვენებს ზაინც: ამბობს მედიცინა. მოსვენებისათვის გაზეთებში რებუსებია და შარადები. ხედავ: ტრამვაიში, რკინის-გზაზე, „მეტროში“, ომნიბუსში ზის ვინმე და რებუსს თუ შარადას დასცქერს. ხელში ფანქარი უჭირავს და ცალიერ ოთხკუთხედებში რალაცას წინწყლავს. ხშირად ეს იდიოტური ლექსია, რომელიც მოქანცულმა უნდა გამოიცნოს. შარადას თუ რებუსს ისე დაჰყურებს იგი თითქო იყოს ალბერტ აინშტაინ. გამოცნობას რომ გაათავებს, შემდეგ იწყება ყვინთვა. დიდ ქალაქში არავის სძინავს მიწის მაგარი ძილით. იქ თითქმის ყველა გამოუძინებელია. ტრამვაიში, რკინის-გზაზე „მეტროში“, ომნიბუსში ისე ვერ იმგზავრებ, რომ რამოდენიმე მყვინთავი არ იხილო. ხშირად ყვინთვა ხრუტუნში გადადის. ხრუტუნი ხანდახან ბულდოგის ხრუტუნს გაგონებთ. მრავალი მყვინთავი ახალგაზრდებიდანაცაა. ხრუტუნი იღებს ნამდვილი ძილის ხასიათს. მაგრამ სხეული ისეა გამეჭანიკებული, რომ, დახე: მძინარე მისთვის საჭირო „გაჩერებაზე“ თავისით იღვიძებს და დგება მთვარეულივით.

ვერ ისვენებს ვერც ადოლოფ უნგარ. ხოლო მას არ ეყვინთება. მის მაგარ სხეულს არ ეტყობა მოქანცულობა. ვერ ისვენებს. იგი ბორგავს ნერვებ-დაოკილი, გათანგული ერთი ხილვით. უცხო ქალი გამუდმებით იჭრება მის თვალწინ. რამოდენიმე დღეა, დაეძებს მას. მოიარა ყველა გამოჩენილი სასტუმრო: არსად სჩანს კვალი. მოვლო: თეატრები, კინოები, მუსიკ-ხოლლები. არ დარჩენია არც ერთი „რევიუ“. დადის განთქმულ კაფეებში. არსად ნიშანი. როგორ ნახავს ამ ვეებერთე-

ლა ქალაქში?! ას შემთხვევაში ეს ერთხელ ხდება. მაგრამ ადამიანის გულს სტატისტიკის არ სჯერა. ვერ ნახავს, ცხადია, მაგრამ მაინც... და ეს „მაინც“ გულისათვის ნატვრის-თვალი ხდება. ბორგავს ადოლფ უნგარ. უცხო ქალი ლითონით ჩაეშვა მის ხსოვნაში. ხსოვნა გადნა მთელს მის არსებაში. პლანეტის ელემენტებით შეიჭრა უცხო ქალი მის სხეულში. ასტრონომიული აბრუნდია საჭირო, რომ იგი სხეულიდან ამოვარდეს: გზნობს სხეული ადოლფ უნგარის. ველარც მუშაობს: აზრს საგანზე ვერ აჩერებს, ნება სხვისაკენ იმართება. შეაჩერა „ფალესტრას“ დადგმა. დირექციას გამოუცხადა: ავადაა — (განა არ იყო ავად?). ბორგავს და ებრძვის ქალის ლანდს. მაგრამ ლანდი უფრო ძალუმი გამოდის და ვაჟი რჩება მორეული. არ იცის, რა ჰქნას. რა ემართება?! უჯავრდება თავის თავს. ხოლო გაჯავრება ნერვიულობაა უმატებს. მოჩვენება ხომ არ იყო? მაგრამ რა უნდა „მოჩვენებას“ რკინა-ბეტონის სამთავროში! მგზავრი იყო ალბათ ვინმე: შეჩერდა ამ ქალაქში და მერე ისევ გაუდგა გზას — ეუბნება გონება. მაგრამ გულს არ სჯერა მაინც — (ან როდის დაუჯერებია: იგი სასწაულს ელის ყოველთვის).

ქუჩა-ქუჩა დაყიალობს ადოლფ უნგარ. აი ეხლაც: მიბორგავს იგი თვალ-უწვდენელ ქუჩაზე. უსაგნოდ, უმიზნოდ. ეგებ ჰგონია, შემთხვევით წააწყდება სადმე უთვალავ მასსებში?! ვინ იცის: შეიძლება. შეჩერდა კუთხეში. თვალი შეჩერდა უნებურ. შუაგულ ქუჩაში მუშები მუშაობდენ დაკარწახებულნი: ასფალტს ამსხვრევდენ წერაქვებით, ხან-მოთეულს. იქვე გვერდით ასფალტს ასხამდენ აოხშივრებულს. იდგა წუთზე სუნი. მზე ფერ-გადასული სჩანდა. არეს ხუნი გადაჰკრავდა. რუხი მურები ამრეზილიყვენ. დააკვირდა უნგარის თვალი მუშებს. დაკორძილ თითებში იმორგვებოდა ძალა. ტიტველ მკლავებს ძარღვები დაეჭიმათ: ძარღვები გველებს გვანდენ კან-ქვეშ დაკლაკნილებს. აკვირდებოდა უნგარ მომუშავეთ. სახეები მზით დასიცხოდათ მუშებს. ოფლიც სდიოდათ წვირიანი. ზოგი მათგანი ხელს მიიტანდა ხოლმე შუბლთან და ნელი მოსმით ოფლს იწმენდა. სახეებში სჩანდა გარჯა, შრომის მადლი. მაგრამ თვალეები დაფარულ ბოლმით იყვნენ სავსენი. გამოიხედა ერთმა, გამოიხედა მეორემ. უნგარმა თვალი ვერ გაუსწორა: ვერც პირველს და ვერც მეორეს. თავი დახარა: თითქო შერცხვა რაღაცასი. ფიქრმა გაურბინა მოკლემ: რატომ აქამდე არ მიუქცევია ამგვარ მომუშავეთათვის ყურადღება?! გასწია ქვევით.

წინ მალალი მოჩვენება შემოეფეთა, თითქმის საყენ-ნახევარი სიმალლით. ეცვა: კლოუნის ჭრელი შარვალი, დიდი წითელი ფრაკი. თავზე დიდი ჩაფხუტი ჰქონდა, სქელი ქალაღლისაგან გაკეთებული. სა-

ხედ — შემზარავი მასკა. ამ საფრთხობელაში კაცი იყო შემძვრალი და ხელებსა და თავს ისე ამოძრავებდა, რომ მაღალ-აწვდილი მოჩვენება სხვა პლანეტიდან ჩამოვარდნილ არსებად ცხადდებოდა. მოჩვენება რალაც რეკლამას არიგებდა და გამვლელებს რალაცას ჩაბუტბუტებდა. შეეფეთა უნგარს აპოკალიპსური მოჩვენება, თითქო კლოუნისა და მიტროპოლიტის ტანსაცმელში გამოწყობილი. რალაც ჩაბუტბუტა და რეკლამის ფურცელი შიგ ცხვირში შეაჩრა. ადოლფ უნგარ განზე გადგა: თითქო რისხვით. გაიფიქრა: საშინელების გამოსახვაში რეკლამამ აპოკალიპსს აჯობა. შემდეგ ისევ მოჩვენებისაკენ გაიხედა, რომელიც ეხლა სხვა მიმვლელს ეჩრებოდა, და გაიგულვა: ვინ არის ნეტავ შემძვრალი ამ მოჩვენებაში?! რომელი „იკსი“ ან „იგრეკი“ ადამიანის?! ნეტავ რას შოულობს ასე გამასხრებული?! ალბად ორ-სამ გროშს... გულს მოაწვა რალაც: იგზნო უნგარმა. დალუნა თავი. იგრძნო კიდევ შერცხვენა. გაუდგა გზას.

ქუჩის კუთხეებში ბრმებია. უმეტეს-წილ ინტელიგენტები. უმეტეს-წილ ომში დასახიჩრებულნი. ისინი დგანან „დაყუდებულებივით“ და არას ითხოვენ. ხშირად ხელში ასანთი უჭირავთ. გამვლელნი ყიდულობენ და ოდენ მეტს აძლევენ ვიდრე ასანთი ღირს. აღმოსავლეთში ბრმები ბავშვებს დაჰყავთ. აქ კი — ძაღლებს. ადამიანს ვერ უნახავთ ისეთ ნაღვლიან თვალებს, როგორიც აქვთ ამ ძაღლებს. სწორედ აქაა საჭირო ქვა იყოს გული: რომ ეს თვალები იხილო. უმწეოა ბრმა, რომელიც ქუჩის კუთხეში დგას. მას ესმის ხრიალი დიდი ქალაქის, თვითონაც არის ჩვეული ამ ხრიალს, — ეხლა კი მისთვის ყველაფერა დახშულია. სდგას გარინდული. რამდენი ვინ გაიარს მის გვერდით — ყოველ წუთს, ყოველ წამს — რამდენი ვინ გაიარს და რამდენი ფიქრით და რამდენი ბედის-წერით — და ბრმა იხუთება სიბნელის ჯურღმულში. სდგას გარინდული. უნდა გამოვიდეს ამ ჯურღმულიდან. არ ძალუძს. არა: სჯობია ასეთი ბრმა სადმე სხვაგან იყოს, საცა ცხოვრება მყუდროა და ნელი. ხმაური მას აღეზებს მხოლოდ. მაგრამ იგი სდგას მაინც როგორც მუმია. ბრმა თვალები გადმოუკაკლავს: თვალღია სიზმარს თუ ხედავს.

ადოლფ უნგარ მიუახლოვდა ერთ ბრმას. გამოარვა ასანთი. მისცა მარკა. ბრმამ „მადლობა“ წაიჩურჩულა. უნგარმა ძაღლს შეხედა: ძაღლის თვალებს სისველე მოდებოდათ სიამით. დააკვირდა. ძაღლის თვალები კიდევ უფრო მეტს „მადლობას“ ამბობდენ უთქმელს. უნგარ შეირხა. ჩააშტერდა თვალებში ძაღლს. ძაღლი თითქო ახალისდა და იწყო ალერსიანი წკმუილი: წამოიწია ოდნავ უნგარისკენ. „ჯეკი“: კინალამ წამოიძახა უნგარმა და მოწოლილი სახელი ყელშივე ჩაახრჩო.

უცხად თავი მალლა ასწია და შეაჩერდა ბრმას. აღოღო უნგარ გაქვავდა: ეს იყო მისი მეგობარი, ჰერმან ჰაუსმან. და ერთ წუთში მეგობართან განვლილმა ხანამ გაიბინა. ჰერმან ჰაუსმან ომში იყო უნგართან ერთად და იქ დაბრმავდა. ეს იცოდა უნგარმა. მაგრამ, თუ მას მათხოვრად იხილავდა სადმე ქუჩის პირას, ეს მას ვერ წარმოედგინა. უნგარი იდგა გაქვავებული. ძალმა გამოიცნო: იწყო ნადირული შეფრთხინვა ხალისიანი. ხოლო ბრმა იდგა უძრავად თვალეზ-ამოღამებული. კიდევ შეხედა მეგობარმა. სიტყვა აწვებოდა, მაგრამ ვერ ამოეთქვა. გზნობდა: ამ წამს ყოველი მისი სიტყვა ყალბი იქნებოდა. ხელი ჯიბეში ჩაიყო და ამოიღო ოც-მარკიანი. გადასცა ჩუმად ბრმას. ბრმა აღუღლულდა გაკვირვებული, როცა ქალაქის ფული ხელში მოექცა. შემდეგ — ერთი უეცარი მოსხლეტით გამოტრიალდა უნგარ. ძალმა წამოიწია, თითქო გადევნება სურსო. იწყო ყეფა. ბრმა ძლივს აკავებდა. უნგარ მოდიოდა თავ-ჩალუნული. ზურგი გზნობდა ბრმა მეგობრის თვალებს — ჩამჭრალებს, ჩამშრალებს: თითქო იხედებოდენ უსინათლონი და სდაგავდენ გამობრუნებულს. ხელიც იწვოდა სირცხვილით, რომელმაც ფული გადასცა. ტანი გრძნობდა ჟრუანტელში უხერხულობას. რად არ გამოეცნაურა? რატომ ვერ დასძრა ენა? რისთვის ვერ უთხრა ერთი სიტყვა? ერთი ობოლი სიტყვა მაინც? უნგარ მიდიოდა გაგუდული. რცხვენოდა რალაცასი—(თავის თავის?). ხელმა ხელს ჩასჭიდა ხელი: თითქო დამსხვრევა სურდა. სხეულს მოუნდა, ქმედებაში გადავარდნილიყო. უნგარ გადავიდა ქუჩის მეორე მხარეს. შეუხვია სატელეფონოში. გამოიძახა ავტოგარაჟი. მოიხმო ავტო.

ათ წუთში მოგორდა ლითონის მუდო. შეჩერდა ბურღლუნით. მოფერი წავიდა. უნგარ ჩაჯდა ავტოში და მიუშვა ქალაქის გარეთ. სხეული დაეწურა. ძარღვები დაეჭიმა. კუნთები დაეოკა. გათანგული ტანი გაესხეულა გავარდნილ ლითონს. გავიდა უნგარ ქალაქის გარეთ. გზატკეცილი სჩანდა როგორც გასროლილი მდინარე გაქვავებული. იდგა მყუდროება. მყუდროებას ლეწავდა აშმაგებული ლითონი. ავტო მიარღვევდა სივრცეებს და სივრცეები გარბოდენ გვერდულ. ტანი გავარდნილი გრძნობდა სიამეს: რალაც უჩვეულო აშვებას. ნერვი ხალასდებოდა. კუნთი იხვეწებოდა. იყო სასტიკი დაძაბულობა. ტანი გზნობდა: გაქანებულ მანქანას ერთვოდა და თვითონაც იქცეოდა მანქანად. გზნობდა თანვე: ლითონის მოლეკული ტანში გადმოდიოდა, ლხვებოდა და მაგრდებოდა. ავტო ას კილომეტრს გარბოდა საათში. სამი საათის შემდეგ მოაბრუნა უნგარმა ავტო და ისევ ქალაქისაკენ მოაშურა. ეხლა — უფრო მეტი სიმალით. იკარგებოდა ყოველი ფიქრი, ინთქებოდა ყოველი სურვა, იკეცებოდა ყოველი ნაოჭი ყოველი

გაეჭვების, იწურებოდა ყოველი გაორება. რჩებოდა მხოლოდ ლითონ-სხეული, საცა ყოველ მოლეკულს თვალი აეხილა, რომ „მოქნეული“ ყოველთვის ყოფილიყო „მოზომილი“: უფსკრულის პირასაც კი. ადოლფ უნგარ მარტო უფსკრულს ეძალებოდა და ხარბად ხვრებდა მის სუნთქვას. ერთი უხერხული გახრა, ერთი უჯერო გადაცდენა — სხეულ-ლითონი გადაიჩეხებოდა. მაგრამ ეხლა უნგარ ერთი მორგვი იყო სასტიკი და მორგვი თვალი იყო სწორი და უტყუარი. მანქანის მმართველი მთლად გადავიდა მის ახურვებულ რიტმში. თვალი ზომავდა ნადირის ბასრი მზერით გზატკეცილის მიხვეულს თუ მოხვეულს, ოღროს თუ ჩოღროს, — და მანქანა მიხვეულ-მოხვეულში ისეთი დაქნილი ხვევით გაირბენდა და ოღრო-ჩოღროს ისეთი დატმასნილი სრიალით აიტანდა, რომ რიტმი არ ირღვეოდა, არ იყო არც აკვრა და არც ბორძიკი. ლითონ-სხეული სივრცეებს მიარღვევდა. სივრცეები გარბოდნენ გვერდულ მოქნეულნი. თვალი მზერდა ნადირის ბასრი მზერით. შორით წერტილი შეამჩნია. წერტილი საშინელი სიმალით იზრდებოდა. მთვრალი ლითონ-სხეული კიდევ უფრო თვრებოდა და გარბენას არ ანელებდა. წერტილი დიდი ურემი იყო დატვირთული, რომელსაც ორი უზარმაზარი ხარი მიაგორებდა. სხეულ-ლითონი დაეწია ურემს. ერთი წამი: უნდა გადაუხაროს. ერთი წამი: მარცხენა ხარი განზე გახტა დაფეთებული. ერთი წამი: ავტო ურემს უნდა დაენარცხოს, — წამი გადიდდა, არე ბნელმა მოიციო, ალღო შეეხო სიკვდილის შუილს — ერთი წამი და ავტო ურემს უნდა დაენარცხოს: უეცრად მარჯვენა ხარიც გაჰყვა მარცხენას ისეთი სისწრაფით და ისეთი სიმარჯვით, რომ ურემი თითქო განზე გავარდა: თითის სიგანეზე გაურბინა ავტომ. სხეულ-ლითონი მართლაც თავს გადაეველო პირღია უფსკრულს.

გადარჩა. უნგარმა ღრმად ამოიხვნეშა. ხვნეშას ამოჰყვა მხეცური შიში. ტანი აცახცახდა, როგორც ცხენი ძარღვ-შეშინებული: დაესხა ცივი ოფლი. ლითონ-სხეულმა უკლო სიმაღლე. უნგარ შევიდა ქალაქში და გაეშურა სახლისაკენ. საღამო იყო. დაჯარდა ლოგინზე მოკვეთილი და წამსვე დაეძინა. ეძინა ქვის ძილით. მეორე დღეს თერთმეტ საათზე გამოეღვიძა. დახედა საათს და გაუკვირდა. როცა ადგა, შვება იგრძნო ურკვევი: სხეულს საოცარი სიმსუბუქე და სიმჩატე მისცემოდა. იგრძნო კიდევ სხვა რამ, უფრო სახარელი: სხეულიდან „პლანეტის ნატეხი“ (უცხო ქალი?) თითქო ამოვარდნილიყო. უნგარ შეუდგა მუშაობას დამშვიდებით და გულდასმით. დაუბრუნდა „ფალესტრას“. დადგმის გეგმას თვალს ავლებდა და რვეულის გვერდზე სხვადასხვა შენიშვნებს აკეთებდა. უეცრად გაისმა ტელეფონის წკარუნი. აიღო ტელეფონის ტარი.

„ალო!“.

„მე ვარ, პეტრეც თუ პერეც. გეძახით კაფე **Wiener**-იდან. უცხო ქალი აქ არის“.

„კარგი“.

ჩამოვიდა ტელეფონის ტარი.

იყო ეს ცნობა მისთვის მართლაც „კარგი“?! უნგარ აიმღვრა, აირია. თუ ნამდვილი ვაჟკაცია, არ წავა: გაიფიქრა. მაგრამ სადღაც უძირო კუთხეში სიამე იგრძნო. სიამე იზრდებოდა და მასთან ერთად საცდური. ნეტავ არ ეცნობებია ეს ამბავი პეტრეცს: გაივლო გულში. მაგრამ გული სხვას უფრო ელტვოდა. უნგარ ისევ მოიღუშა. გრძნობდა: ნება თანდათან ეკარგებოდა. წამოდგა თითქო მრისხანე.

კაფე „**Wiener**“ ელექტროს ნათელში იყო აღვივებული. ელექტროს ნათელი ლიმონის ქერქის ფერში დნებოდა. მარმარი და ნიკელი ცურავდენ ამ მოყვითალო ფერში. უკრავდა ორკესტრი: ვიოლინები, ჩელლო. ფლეიტა, კლისოფონი და დირიჟორი (ესეც ინსტრუმენტი იყო ორკესტრში). დირიჟორს, შარვალ-ჩაშვებულს ოდნავ, სახის მეტყველება იმ კაცის ჰქონდა, რომელიც ეს არის, ნაცნობს ფულს დაესესხება. მოგორავდენ ამერიკულად დაურვებული ზანგური რიტმები. მაგიდებთან მჯდომარენი რიტუალური სიდინჯით შეექცეოდენ: ზოგი ყავას, ზოგი ჩაის, ზოგიც აპერიტივებს — (აპერიტივი მეტაფიზიკაა ევროპიულ კაფესი).

კაფეს მეორე სართულში ისხდენ ჟანნეტ და პერეც. ესენი ჩაეს შეექცეოდენ. გვერდით, ახლო, მაკ კოლახ იჯდა. პერეცმა წამსვე გამოიცნო ამერიკელი. გაუკვირდა მხოლოდ: „ის ლამაზი ქალი რატომ არ არის მასთან“. მაკ კოლახ გაზეთს კითხულობდა, როგორც ფარაო უცხო ფირმანს. პერეც არ იყო გუნებაზე. ორი-სამი ახალგაზრდა გამოჩნდა ოდნავი ბორძიკით: ცოტა „გადაკრულები“ იყვენ. ჩაუარეს პერეცისა და ჟანნეტის მაგიდას გვერდით და ქალს ორჭოფი ღიმილი დააყარეს. ჟანნეტ აიმრიზა.

„ნეტავ რას ნახულობენ ამ სიმთვრალეში?“

ჩაილაპარაკა ცოტა გაგულისებულმა.

პერეცმა ტემას მიაგნო თითქო და ახალისდა:

„რას ნახულობენ?! რასა და თავ-დავიწყებას. ოპიუმი, ჰაშიში. კოკაინი, ალკოჰოლი, ეფირი, ნიკოტინი, კოფეინი, თეინი — ეს რომ არ იყოს. ადამიანი გაგიჟდებოდა. კაცს ემძიმება თავისთავი და უნდა თავი დაივიწყოს. ახალი სათრობი ელემენტის გამოგონება ასტრონომიულ აღმოჩენას უდრის. მერწმუნე. არის განა ვინმე, რომელიც არ თვრება თავ-დავიწყებისათვის? წინასწარმეტყველი არ „სვამს“, მაგ-

რამ დამთვრალია უზენაესი ხილვით. ასევე ყველა: პოეტი — სახეებით, მსახიობი — თამაშით, ქალი — ეროსით. არ არის არც ერთი ადამიანი, რომ არ თვრებოდეს რაიმეთი. წარმოიდგინე: ცხოველიც კი თვრება ზოგიერთი“...

„თავ-დავიწყებისათვის“...

ჩაილაპარაკა ქალმა: თითქო ეს სიტყვა პირველად მოესმა. თვალები განაბა.

„დიახ: თავ-დავიწყებისათვის... არის რაღაც მწარე და აუტანელი თვითონ ყოფაში. მწარე და აუტანელი ყოფის ძირშივე. ადამიანს რაღაც სტანჯავს, რაღაც აწვალებს“...

„და ეს არის“...

„ეს არის ადამიანის „მე“. ეს აღმოსავლეთმა კარგად იცოდა. „მე“: ყველაზე უმწარესი“...

„და უტკბესი“.

„სწორედ, სწორედ: ყველაზე უტკბილესიც. აქ მარხია ყოფის საიდუმლო“...

პერეცს აეშვა საღერღელი. ამ გაუსწორებელ მონოლიგისტისათვის დიალოგიც მისწრება იყო. მით უმეტეს, რომ დიალოგს შემდეგ და შემდეგ მონოლოგად აქცევდა. ეს იყო მისი პათოსი. ეხლაც აიწვა ამ პათოსით. უნდოდა სიტყვა გაეგრძელებინა, მაგრამ უეცრად მომდგარი სიტყვა პირში შერჩა ლუკმასავით. გაიხედა: „ის“ უცხო ქალი მოდიოდა. მაგიდები აიშმუშნენ და გაცეცეხული თვალებით შემოსულს მიაშტერდენ. ქალი დასხდა ამერიკელთან. სახე მოკუმული ჰქონდა და კუშტი. ძუ მგელი რომ გაერიოს მგლის მსგავს ძაღლებში: ისე სჩანდა იგი ქალებში. უხდებოდა ევროპიული ჩაცმულობა, მაგრამ სიველურე ელვარად ედებოდა მთელ მის აღნაგობას. პერეც სდუმდა. მაგიდებში პაუზა ჩამოვარდა. ჟანნეტ თვალით ზომავდა ქალს, როგორც მოსისხლეს. პერეცს არ გაუმხელია, რომ ახლად-შემოსული სწორედ ის ქალი იყო, რომელიც ადოლფ უნგარს ფალესტრად, ამორძალთა დედოფლად, წარმოესახა.

მაგიდებში ჩამოვარდნილი პაუზა ისევ ამერიკელმა დაარღვია: „ხვალ სამასკო ბალი იმართება“ — უთხრა ნელი ხმით ქალს და გაზეთი მიაწოდა. ქალმა გამოართვა გაზეთი და იწყო ქრონიკის კითხვა: უხმოდ. სახეზე „მოლბობამ“ გადაურბინა.

პერეცს სიტყვა „სამასკო“ შვებად მოესმა. სიტყვის გასაგრძელებლად ეს სიტყვა მისწრება იყო. აილეწა კვლავ. აუშვა საღერღელი, ცოტა ხმას უმატა — (უთუოდ სურდა, უცხო ქალსაც გაეგონა).

„დიახ, უმწარესი და უტკბილესი: „მე“, აქ მარხია ყოფის საიდუმლო. უმწარესი — რადგან სიკვდილია იგი, უტკბილესი — რადგან სიცოცხლეა იგი. თითქმის ერთსადაიმავე დროს. თვითონ ყოფა მარადი ქცევაა, მუდმივი ცვლა, უწყვეტი დენა. ამ დენაში, ამ ცვლაში, ამ ქცევაში — ცხადდება და ცნაურდება „მე“, „პირი“. მარადი ქცევა, მუდმივი ცვლა. ქცევა და ცვლა — რის ? და აქ იჭრება ხელუხლებელი „სახე“, ხატი (არა სალოცავი): დემოკრიტის „გარსი“, პინდარის „აიდოლონ“, გერმანული „აბბილდ“. ნიშანი ამ „სახის“ არის მასკა, ნილაბი. და დააკვირდი: იმ კულტებში, საცა „ცვლა“ ყოფის საიდუმლოდ იყო გამოცხადებული, „ქცევა“ მასკით ხდებოდა. მაგალითად — დიონისოს კულტში. „მე“ უნდა გაიხსნეს, უნდა გაირღვეს. არსი უნდა გადავიდეს ყოვლადში. პიროვნება უნდა ეზიაროს ზეპიროვნულს. ეს არის დიონისოს ფენომენი. და მერე როგორი იყო რიტუალი ამ ფენომენის? მასკის აფარება, მასკის, რომელიც დიონისოს სახავდა. ერთ ალაგს უკვე ნახეს ორი კერპი დიონისოსი, წმინდა ფიჭვისაგან ნამზადი, წითლად შეღებილი — (სისხლის ნიშანი). ქალები ამ კულტში გამოდიოდნენ: ძაღლებად, მგლებად, პანტერებად, გაზელებად. რისთვის? მისთვის, რომ აღესახათ ყოვლადში გადასვლა, სულ ერთია, რაა ამ შემთხვევაში ყოვლადი: ძაღლი, მგელი, პანტერა, გაზელა, თუ სხვა რამ. ინდიელი მგელს აიყვანს ხოლმე, როგორც ტოტემურ ცხოველს. ტოტემი აქ ინდიელისათვის „პირველი კაცია“. როგორ აიყვანდა მგელს კაცად, თუ მას არ წარმოსახვოდა, ან და არ მოლანდებოდა, კაცის გადასვლა მგელში და მგელის კაცში?! მაკედონიის მენადებს თავზე რქები ჰქონდათ გაკეთებული, ნიშნად ხარლმერთთან (დიონისოსთან) კავშირისა. საბაზის (დიონისოს) კულტის მსახურნი სახეს იღებავენ. საქართველოში — „გონჯას“ ამბავი. სატურნალიების მონაწილენი სახეს იმურავდნენ წითლად — (აქაც სისხლის ნიშანი). კვიბელლას ქურუმები ცარციით ითეთრებდნენ სახეს. ეს კიდევ არაფერი. „მე“ უნდა გაირღვეს, რომ ზიარიქმნას ყოვლისა. ეს „გარღვევაც“ მასკურ ხდებოდა. დიონისოს ჰგლეჯენ ტიტანები — ხოლო მის კულტში მის მსახიერებელს ჰკეპავენ, ხშირად ვინმე ტყვეს. გასახსენებელია აქტეონიც, აქლემის ტყავში გამოწყობილი, რომელიც ძაღლებმა დაგლიჯეს. თვითონ წირვა და წირვადი მასკებში სწარმოებდა. არტემიდას ქურუმი ქალი, რომ განესახიერებია მონადირე ქალწული, ეტლით მოდიოდა ხოლმე, რომელშიაც ირმები იყვენ შებმულნი. იყო აგრეთვე დემეტრას მასკა. წირვის დროს მოგვი იცვამდა მას სახეზე. მისტერიიდან მასკა ტრაგედიაში გადმოვიდა. განა დასაჯერებელია, რომ ჰელლენებს არ ჰქონდათ სახის მიმიკა და მასკას მისთვის მიმარ-

თეს?! არა. მათთვის საჭირო იყო მასკა, რადგან მათთვის ტრაგედია იყო საკრალური ქმედება. კულტში მსახიერებელს ჰკლავდენ, ტრაგედიაში გმირი კვდება — არსი ერთია. ბენდორფის მიერ აწერილი მასკა — სქელი გვირგვინი ვაზის ფოთლებისაგან და მტევნები თქებში — განა ბაკჰის ასახვა არ არის?! ასე: „მე“ უნდა გაირღვეს, რომ ყოველადს ეზიარო“...

პერეც შეჩერდა. ჟანნეტს ცოტა ესმოდა ამ ბუნდოვანი სიტყვის. კიდევ უფრო ნაკლებ უცხო ქალს, რომელიც ლურსა ცქერით მოხედავდა ხოლმე მოლაპარაკეს. პერეცს ეს არ აწუხებდა: იგი უფრო თავის-თავს ებაასებოდა. უეცრად წამოხტა, თითქო რაღაც მოაგონდაო: ტელეფონისაკენ გაეშურა, ადოლფ უნგარის დასაძახებლად. ჟანნეტ ზომავდა შურვილიანი თვალით უცხო ქალს. ქალი იშმუშნებოდა უცნევი ძლევამოსილებით. პერეც მოვიდა და კვლავ შეუდგა გაწყვეტილ მონოლოგს. უნგარის გამოხმაურებამ თითქო ძალა მიჰმატა — და იწყო სიტყვა აღაჟღაჟებული პათოსით.

„ხელუხლები სახე ადამიანს სურდა რაიმე ნივთიერებაში დაეჭირა. დააკვირდი: ასახვა (წყალში და სარკეში), ახატვა (ხატულში და ქანდაკში): რა არის ეს, თუ არ დაჭერა უხილავი სახის?! „ხატი“ ფეტიშია, ცოცხალი ფლუიდი, დემოკრიტის „აიდოლა“. ამ ფეტეშით სურდათ გარდაცვლილის სულის დაჭერა. ფეტიში იგივე მასკაა. შლიმანმა ნახა მიკენის საფლავებში ექვსი მასკა მეფის ნაშიერ ვაჟების. მასკებო ვაჟებს სახეებზე ჰქონდათ გადაფარებული. 1837 წელს კერჩში ნახეს ფარჩებში გახვეული დედოფალი. სხეული წამსვე ფერფლად იქცა, როგორც კი მოხვდა ჰაერი. დედოფალს ოქროს მასკა ჰქონდა თავზე. ეს მასკა ერმიტაჟში ინახება. ბრიტანიის მუზეუმში, ორი ვეცხლის მასკაა, გალლო-რომაულ საფლავებიდან. ვის არ უნახავს რომაული მასკები, ბრინჯაოსა და ტერრაკოტისაგან? ხშირად ასეთი მასკა ჩაფხუტია მთელი. ნინევიაში, ფინიკიაში, კართაგენში — მონახეს მიკენისგვარი მასკები. კიუზის ერთ-ერთ მასკაზე ნახეს საოცარი ასახულებანი მხეცების: მასკა აქ დამფარავი გამოდის მკვდარისა ავი ძალისაგან. სამხრეთ იტალიის საფლავებში ნახეს ოქროს ფირფიტები ორფიული ლექსებით: აქ მზა ფორმულებია, რომლებიც მკვდარმა ვითომ ქვესკნელის დარაჯებს უნდა გადასცეს, რომ იგემოს „წყალი გრილი, მომდინარე ხსოვის ტბისაგან“, ესე იგი, რომ განიგრძელოს სიცოცხლე... ჰა-ჰა-ჰა... (ჩაიცინა მონოლოგისტმა და გამოაჩინა ყვითელი და დაღრღნილი კბილები). ჯადოსნური ფორმულები სცოდნიათ დალოცვილებს, არა?! ჩვენც რომ მოგვცა, ჟანნეტ, რა იქნება!.. (მუხლზე ხელი დაუთათუნა, ჟანეტმა ფეხი განზე გასწია). აი კიდევ! მექსიკაში მიცვა-

ლებულს მასკას აფარებენ სახეზე. ტანს აცმევენ საცმელს კერპისას, რომელსაც მკვდარი სიცოცხლეში ემსახურებოდა. შემდეგ — მკვდარს სწვავენ... ჰა-ჰა-ჰა... ალბად უკვდავ-საყოფელად... (კიდევ ჩაიცინა ჭირვეულივით). ეს კიდევ არაფერი. ხანდახან მკვდარის მასკას ცოცხალი იკეთებს, — რომ უფრო გაამაგროს სიცოცხლე „სახის“ — ჰა-ჰა-ჰა... (გადიხარხარა კიდევ). ტაიტის კუნძულზე მოგვი ან ნათესავი ასახიერებს მიცვალებულს: იგი უცნაურადაა ჩაცმული — სახეზე მასკა აქვს სადაფისაგან ნამზადი. რომში მკვდარს მიჰყვებოდა მიმი (მსახიობი) მიცვალებულის მასკით. სვეტონი მოგვითხრობს: იმპერატორ ვესპანიანის დაკრძალვაზე არხი-მიმი ფავორ გამოვიდა ვესპანიანის მასკით... კაი სანახაობა იქნებოდა. შენ ნუ მომიკვდე... ნერონმა ბრძანება გასცა, შეეგლისათ სახე მოკლულ ბრიტანიკისა. რათა დაფარულიყო სახის წამოლურჯება. ალბად ჩვეულება სურდა გამოეყენებია. მაგრამ, როცა ცხედარი ფორუმში გაიყვანეს. — უმატებს პროცესიის ამწერი დიონ კასიოს, — მოკლულის სახეზე გამოჩნდა სისველე, ჩამორეცხა გიპსი, იხილეს შემზარავი სიშავე სახის. სცნეს მკვლელობა... კაი გუნებაზე კი დადგებოდა ნერონი. არა?! ჰა-ჰა-ჰა... უმასკოთ ვერც მკვდარი სძლებს... ყოფა მასკობიაა“...

პერეც შეჩერდა, რადგან სიცილი თანდათან აწვეებოდა. სიცილი აუხსნელი. ან კი რა შეაჩერებდა მის მონოლოგს, თუ არ აუხსნელი რამ?

უცხო ქალი პერეცს აღარ უსმენდა. მაკ კოლახს უკვირდა მხოლოდ პერეცის ხმა-მალლა ლაპარაკი. ქალი იჯდა განაბული: თვალები სადღაც სხვაგან იყვენ. თითქო ნატრობდა: რა კარგი იქნება იწვე ამ წამს ბალახზე და ბალახში, თავი მალლა გქონდეს ვარსკვლავებით ათვალულ ცის მიმართ, იწვე რბილ ბალახზე და მალალ ბალახში და უსმინდე ბალახის ნელ შმუშვნას.

კაფეში კაცი შემოვიდა, რომელსაც მთელი სხეული უკანკალებდა. ევროპაში კანკალით ავადი ხშირია. ზოგს თავი უკანკალებს, ზოგს ფეხები, ზოგს ხელები, ზოგს ცალი ფეხი, ზოგს ცალი ხელი, ზოგს თავი და ცალი ფეხი, ზოგს თავი და ცალი ხელი, ზოგს ყველაფერი ერთად. ზის ასეთი კაცი კაფეში და გაზეთს კითხულობს. წინ ყავა უდევს. თავი ვილაცას მისდევს, — გგონია. ხელი რალაცას ეტანება. — გგონია. მაგრამ გაზეთი ურჩობს — და იწყება საშინელი ორომტიალი თავისა და ხელის. ხანდახან ხელი თასს ჰკიდებს ხელს: კაცს ყავის მოსმა უნდა... მაშინ მთელი ომი იმართება ხელსა და თასს შუა. როგორც არის. ხელს მიაქვს თასი ტუჩებთან. აქ კი, ტუჩებისა და თასის შეხვედრა მარცხით თავდება: ან პირველისა. ან მეორესი. ან ორივესი ერთად. ამ

დროს თვალები იბლიტებიან, და, თითქო გაზეთი გაიქცა, გვერდულ
იკაკლებიან, რომ გაქცეულს დაეწიონ. წარმოსადგენია, თუ როგორ
სძინავს ასეთ კაცს. საშინელია იგი ქუჩაში მიმავალიც. მარჯვენა ფე-
ხი ცალკე მიდის, მარცხენა კიდევ ცალკე. მარჯვენა ხელს სურს რა-
ღაცას დაეყრდნოს, მარცხენა კი თითქო რაღაცას ისვრის. კისერი
იგრინება და თავი კანკალობს გადაქანებული. მთელი ფიგურა გუტა-
პერჩის ტიკინას წააგავს, რომელსაც ვიღაცამ მექანიზმი აუშალა. სხეუ-
ლი, კანკალით ავადი, ენა-ბრგვილია თითქო („заика“). შესაძლოა
დასწყევლო ყოფა, როცა ასეთს ავადს შეხვდები. მაგრამ ყოფა ტკბი-
ლია — და „ბრგვილი“ სხეული მიბორგავს მაინც რაღაც საქმისათვისა.

კანკალით აყვანილი კაცი მაკ კოლახის მაგიდის ახლო დაჯდა.
მოითხოვა ყავა და თან გაზეთი. სხეული ფართო მუცლიანი ნამორი
იყო. თავი — ზღვის ღორის. გადმობლიტულ თვალებს რქა-მოვლე-
ბული დიდი სათვალე კიდევ უფრო კაკლავდა. დაიწყო გაზეთის კით-
ხვა თუ არა, მთელმა სხეულმა იწყო კრუნჩხვით კანკალი.

უცხო ქალმა გადახედა. თითქო ყელზე ასფენა შეეხო. ტანში უჟ-
მურის ჟრუალმა დაურბინა. გული აერია. უთხრა რაღაც მაკ კოლახს.

პერეცს აღარ ეცინებოდა. წამისწამ საათს დასცქეროდა. როცა
ადოლფ უნგარ შემოვიდა, კაფეში უცხო ქალი აღარ იყო: იგი გაჰყვა
მაკ კოლახს. უნგარ მიესალმა ჟანნეტს და პერეცს. მიუსხდა მათ მაგი-
დას. მორიდებული მზერით კაფეს გადაავლო თვალი: ქალი არა სჩახ-
და. პირში სიმლაშე იგრძნო.

„ხუთი წუთით გაგასწროთ“.

უთხრა პერეცმა.

„ვინ გაასწრო?“.

შეეკითხა გაკვირვებული ჟანნეტ.

„ვინ და ფალესტრამ“.

„როგორ? ის ქალი, აქ რომ ისხდა“...

„ის იყო, ამორძალთა დედოფალი“.

„მერე, რათ არ მითხარ?“.

„მსურდა, შენ თითონ გამოგეცნო“...

ჟანნეტ აღარ შეჰკითხებია მეტი. გამჭრიახი თვალი შეატყობდა.
რომ ოდნავ ტუჩებს იკვნეტდა. უნგარ გაირინდა. მთელი ნება მომარ-
თა იმ რიგად, რომ უხერხულობა დაემალა. ჟანნეტ ამას მაინც ამჩნევ-
და. ქალური სიადვილით გადაუხვია საგანს:

„კიკომ დღეს მასკის სიბრძნე გადამიშალა“...

მიმართა ღიმილით უნგარს.

„მასკის სიბრძნე?!“

ძლივს ამოიღო სიტყვა უნგარმა.

„დიახ: კიკო ამტკიცებს, რომ ყოფის საიდუმლო „მეში“ მარხია. უნდა გაარღვიო „მე“, რომ იქცე სხვად, რომ ზიარიქმნე ყოვლისა. ამ ქცევაში სახის ცვლა მასკით გამოდის, არა, კიკო?“

„სწორეა, კარგად გაგიგია“.

გაიღიმა პერეცმა.

„მე მხოლოდ ერთი რამ არ მესმის გარკვევით, — განაგრძო ქალმა. „მე“ ზიარ უნდა იქმნეს ყოვლის, არა?! მაგრამ ამ ზიარ-ქმნაში „მე“ სულ უნდა გაითქვიფოს, გაჰქრეს, თუ“..

„თუ მაინც დარჩეს თავის-თავად, სულ პაწაწინად, მაგრამ მაინც „თავისად“?!“

გამოგლიჯა ახალისებულმა პერეცმა სიტყვა ჟანნეტს და განაგრძო:

„ყრმათა ბაგეთი მეტყველებს ჭეშმარიტება — კარგი ნათქვამია... შენი ბაგე ჭეშმარიტებას აცხადებს, ჟანნეტ... ჰა-ჰა-ჰა... მე სულ იმას ვამტკიცებ, რომ სინამდვილის ალლო ქალს უფრო მძაფრი აქვს... მართლაც: „მე“ უნდა გაირღვეს, მაგრამ უნდა გაითქვიფოს?! სრულად, სავსებით?! აღარ უნდა დარჩეს თავის თავის ხსოვა?! ერთი ნანაცეცი მაინც არა?! აი სატკივარი... „მე“ ტკბილია და ასე ადვილად ვერ დასთმობს თავის-თავს... კაცს ხშირად სურს, სხვა იყოს, სხვაუ იქცეს, მაგრამ ამავე დროს ისიც უნდა, რომ „სხვა“ იგი იყოს „თვითონ“... ხომ ასე, ჟანნეტ!... ჰო და, ერთი მაგალითი კიდევ: აი თუ გინდეს კაცი, სხეული რომ ეკრუნჩხება, — (ხმა უკლო პერეცმა)... დარწმუნებული ვარ. ხშირად ნატრულობს, იყოს, მაგალითად, ნაპოლეონი... ამავე დროს ისიც სურს, ნაპოლეონი „თვითონ“ იყოს, ესე იგი, ნიგვზის ნაჭუჭის ოდენი მაინც დარჩეს მისი „მე“ კორსიკელ რაინდში... არა?!“

„დიახ, ეგრეა სწორეთ... მაგრამ ჩემ კითხვას ადასტურებ მხოლოდ და არ უპასუხებ“...

დაუმატა ჟანნეტმა.

კიკო პერეც დაფიქრდა. ხალისი მოაკლდა. შემდეგ ნაღვლით წაილულლულა, თითქო თავისთვის:

„რა ვიცი“!..

ჩამოწვა დუმილი. უნგარ უფრო გაირინდა. პერეც მოილუშა. მარმარის მაგიდაზე მხოლოდ მისი ქაცვების კაკუნი ისმოდა. კანკალა კაცი იჭვნეულ იხედებოდა. დუმილის მოწოლა ისევ ჟანნეტის ქალურმა სიადვილემ შეაჩერა:

„ჰერრ უნგარ!... თქვენ შეგიძლიათ ნახოთ ის ქალი, ამორძალთა დედოფალი... ხვალ იგი სამასკო ბალზე იქნება“...

წარმოსთქვა უცბად და თან სასტუმროს სახელი დაუმატა, საცა ეს ბალი უნდა გამართულიყო.

„როგორ?!. საიდან გაიგე?!“

შესძახა პერეცმა.

„შენ რომ ტელეფონთან იყავ, მომესმა მაშინ: ქალმაც და კაცმაც გადასწყვიტეს ბალზე წასვლა. ქალმა ტანსაცმელიც კი აირჩია: ბაიადერ-ქალად იქნება გამოწყობილი. ასე რომ, ჰერრ უნგარ, გამოცნობაც ადვილი იქნება თქვენთვის“.

უნგარს ქალის ორჭოლი ღიმილი საიდუმლოდ მოხვდა.

სასტუმრო ხალხით ივსებოდა.

დიდი ზალა ფორთოქალის-ფერ იყო განათებული. სანათურების გირლიანდებიდან ელექტრო ნელ-რბილ ნათელით ეფრქვეოდა. ძველად ამ სასტუმროში დიდი მთავრები ჩერდებოდნენ ყოფილის რუსეთის. ეხლა ხშირად შეხვდები აქ ოსმალს ფაშას ან იჰნდუსტანის რაჯას. აქვე იმართება ხოლმე დიპლომატიური სადილი.

უნგარ და პერეც შევიდნენ ზალაში.

„ჟანნეტ იქნება თუ არა?“

შეეკითხა უნგარ.

„მეგობარი ქალის დღეობაა და იქ წასულა“.

მიუგო გულცივად პერეცმა.

პერეცს დღეს ჟანნეტ არ იზიდავდა. იგი ხალხის მასსას უყურებდა გამახვილებული: თითქო სურდა რაღაც გამოეცნო. „დიონისიები კი არა, აქ მალულობიას თამაშია“: გაიფიქრა. ფრაკები სმოკინგებს სცვლიდნენ და სმოკინები ფრაკებს. კაცები ერთ უპიროვნო მასსაში ინთქებოდნენ ჩაცმულობით: ნილაბ-აკრულებს არა ასხვავებდათ რა. სამაგიეროდ ქალების ჩაცმულობა ათასნაირი იყო. იყო გამოყენებული თანადროული მოდისტი-ქალის ხელმარჯვეობა, რომლის ატელიე ბევრად უფრო საინტერესოა ვიდრე სამუშაო რომელიმე მხატვარის. ფარჩეული და აბრეშუმი: კრემის-ფერი და ყვითელი ბაია. სურნელება „ბიშარის“.

პერეც დიდი მათაყვანებელი იყო „ფიზიონომიკის“. რადგან სახეებს ვერ ხედავდა, სხეულის ძრაობით სურდა გამოეცნო ვინაობა. ეს დიპლომატი უნდა იყოს, — ფიქრობდა: ხელი ხშირად არბის თვალისაკენ. ეს — ბანკირი: დადის მორგვივით და ლითონის დაჯერებით. ის — არტისტი კინოსი: ყოველთვის პოზაშია, თითქო ყველგან აპარატს

აწყდება. ის — კრუპიე კაზინოდან: სხეულში სიხალისე აქვს, რადგან, წაგების და მოგების მოწმე, თვითონ ყოველთვის მოგებაშია. ეს კი უთუოდ პოეტია: თავი მაღლა აუწევია და რაღაცას ლულულულებს. ეს — ავანტიურისტი: სიარული შემპარავი აქვს და ჟესტიკულაცია მჯერი.

პერეც იდგა გაკვირვებული.

„საგულისხმოა, — მიმართა უნგარს: თითქმის ყველას ერთნაირათ აცვიათ კაცებს, მაგრამ მათი ძრაობა ამხელს მათ პროფესიას. ეხლა გადახედეთ ქალებს. ყველას ნაირნაირ აცვიათ და პროფესია თითქო ყველას ერთი აქვთ. აქ სხეულებია მარტო. ამ სხეულებს შეხვდებით: ავტომობილების კონკურსზე (უყვართ „როლს-როის“ და „ისპანოსუიზა“), ჩაცმულობისა და კაზმულობის გამოფენაზე, პარიზის „სამარიტენში“ (ფუფუნების განყოფილება) და მოდის მაღაზიაში („რიუდე ლაპე“), ცურვისა და ლაუნ-ტენისის შეჯიბრში, დოლზე. ყველა ერთნაირი: არავითარი ინდივიდუალობა. სხეულები, ტანები — მხოლოდ! ყოველ მათგანზე შეგიძლია სთქვა: Une cocote chic. მეტი არაფერი. რომ ეს თქმა გაიგონონ, შემოგიტევენ. „გულში“ კიდევ გაუხარდებათ“.

ესტრადიდან ზანგური რიტმები ეშვებოდენ. ცეკვავდენ „ჩარლსტონს“, „ბლეკ-ბოტომს“, ახალ ტანგოს. სხეული სხეულს ეტმასნებოდა: ლითონის სენსუალობით, როცა მას რადიი გაუბრუნს. სჩანდენ აშოლტილი ფეხები ქალების: მუხლები ამხელდენ ჯეჯილ-აყრილ ატეხილობას. ქალმა არ იცოდა, ვინ იყო ვაჟი. ვაჟმა არ იცოდა, ვინ იყო ქალი. ან რად უნდოდათ: სქესი უპიროვნოა. ცეკვას ჩურჩული ემატებოდა. ჩურჩულში გაისმოდა პროსტიტუტების და აპაშების ჟარგონი — (ფარულ სურვილებს ეს ჟარგონი უფრო ჰკვეთს). ირეოდა ერთმანეთში ხალხი, თავს ივიწყებდა. ამ მასკარადში ყოველს ის სურდა მარტო, რაიმე გზით მოწყენა მოეკლა, მოწყენა დიდი ქალაქების, რომელიც ობმოკიდებულია და თან ჭირვეული, როგორც დამპალ „მებლირაშკას“ ავი და კვიატი დიასახლისი.

ადოლფ უნგარ თავს თავისად ვერ გრძნობდა. მასკა-ათარებული, იგი მაინც რაღაც სირცხვილით იწოდა (მასკის ქვეშ წითლდებოდა). უნგარ წააგავდა იმ უხერხულ კაცს, რომლის მარჯვენაც მარცხენაა. თითქო მთელი მისი სხეული „ცაცანად“ იქცა. იდგა კუთხეში გარინდებული. უცხო ქალს ელოდა. მაგრამ ბაიადერის ტანსაცმელი ჯერ არ სჩანდა. პერეც ხან უნგარის გვერდით იდგა, როგორც თანაზიარი უხერხულობის, ხან კი გაიწევდა ხოლმე და ვინმეს მიმართავდა, როგორც ადამიანი, რომელსაც მოსწყურდა მორიგი ანეკდოტი. მალე ისეთ ქალს გადაეკიდა ტან-დაყურსულს, რომ ანეკდოტის გუნებაც

დაავიწყდა. ჩაერია წყვილებში და ქალთან ერთად დაუარა „ჩარლსტონ“. გვერდით, კუთხეში, „ჩარლსტონის“ ახლად აღმოჩენილი „პა“ იყო საგანი ცხარე კამათის. პერეც ისე უჩვეულოდ ხტოდა, რომ მისი მარჯვენა ფეხის განზე გაკვრა ზოგ მოკამათეს მართლაც ამ ცეკვის ახალი „პა“ ეგონა.

უნგარ კარებისაკენ გაემართა: უმიზნოთ. კარებში ქალი შემოეფეთა ბაიადერის ტანსაცმელით. ქალს მეორე ქალი მოჰყვებოდა. უნგარის სხეულმა იგრძნო გამბედაობა, სწორეთ ისეთი, რომელიც მშიშარას „მოუარს“ ხოლმე. ეცა ქალს, ქალი შეკრთა. ერთი წუთი: შიშმა გაიარა. და შემდეგ — ისინიც გაემართენ ფერხულში. ცეკვის დროს უნგარს სხვაგვარი გამბედაობა მიეცა: ისეთი, რომელსაც ღვინო აძლევს შეზარხოშებულს. უნგარმაც იწყო ჩურჩული. პროსტიტუტების და აპაშების ჟარგონი არ ისმოდა. მის სიტყვაში უფრო ლირიკა იყო, მთვარის ფაზებით გამოწვეული.

„გავიდეთ პატარა ოთახში“...

მიმართა ქალს. ქალი უხმოდ გაჰყვა.

პატარა ოთახში ჯერ კიდევ არავინ იყო სტუმართაგანი. უნგარმა კოკტილ დაუკვეთა. სიცხე აწვებოდა და ხუთავდა. ენა ებრგვილებოდა. სიტყვა არ ემორჩილებოდა. სხეულით მეტყველებდა უფრო, მაგრამ სხეულიც „ბრგვილი“ იყო. უეცრად აიხადა მასკა და ქალს შეეკითხა:

„მიცანით“?..

„კინო-რეჟისორი ადოლფ უნგარ“..

მიუგო ჩურჩულით ქალმა. მასკა რომ აეხადა მასაც, სახეზე უნგარს ორჭოფ ღიმილს შეამჩნევდა. პერეც ამ ღიმილს მის ხმაშიაც გამოიცნობდა, მაგრამ ადოლფ უნგარ პერეც არ იყო: განსაკუთრებით ამ წამს.

„თქვენ ის ქალი უნდა ბრძანდებოდეთ, ამას წინად კაფეში რომ იყავით ამერიკელთან ერთად... გახსოვთ?!“.

შეეკითხა უნგარ. ძარღვი შეშინებული ჰქონდა.

„დარწმუნებული ხართ?“..

ჩაიციხა ჩუმად ქალმა.

„აბსოლუტურად“...

„ნუთუ?!“.

„უთუოდ“...

„რით გგონიათ. რომ გამოიცანით?“.

„ყველაფრით: სხეულით, ძრაობით, ელვარით“...

„მერე?“..

„მერე და... ნუ თუ ვერ გრძნობთ?“...

უნგარმა იწყო დატეხილი სიტყვების ყრა. ეხლა მისი სიტყვა აღარ იყო ლირიკა, თუ გინდ მთვარის ფაზებით გამოწვეული. ეხლა მისი სიტყვა იყო მხეცის გახელება, საცა სუნთქვა უფრო მეტია, ვიდრე აზრი. ქალი იჯდა მდუმარე: თითქო ოცნებას მიეცა. ვაჟის ალლო სწვდა ქალის ჟინიანობასაც. მოვარდა კიდევ სიტყვა, კიდევ უფრო ნუნთქვა ცხელი და მდომი. ქალმაც შეახვედრა სიტყვა:

„გნებავთ, გეწვევით სახლში!“..

პასუხად უნგარს ხვნეშა აღმოხდა. თან გაშეშდა.

„მხოლოდ ერთი პირობით, — განაგრძო ქალმა: სახეზე პირ-ბადე შექნება“...

„რისთვის?“...

შეეკითხა გაოცებული უნგარ.

„რად გინდათ ჩემი სახე?! თქვენ ხომ იცით, კინა ვარ?! მე ასე მსურს: იყოს პირ-ბადე“...

„იყოს, თქვენ თუ გნებავთ“...

მიუგო ნება-დაკარგულმა.

„მაშ, როდის?“..

„თუ გინდ ხვალ საღამოს“...

„კარგი... ხვალ საღამოს... რვიდან ცხრამდე... თქვენი მისამართი“? უნგარმა გადასცა საღარბაზო ბარათი.

ქალი ადგა და ზალაში გავარდა. უნგარ იჯდა რამოდენიმე წუთი სიხარულით გარინდული. შემდეგ ისიც ადგა და გავიდა ზალაში. სურდა, კიდევ ენახა. მაგრამ ქალი, ბაიადერის ტანსაცმელით გამოწყობილი, უკვე აღარსად სჩანდა. ბევრი ეძია, მაგრამ ვერა ნახა. კუთხეში პერეც დაინახა: ტან-დაყურსულ ქალს ისე შეფრთინავდა, თითქო მეფის კარის-კაცი ყოფილიყო... უნგარ მიუახლოვდა. მოესმა პერეცის ლირიკა და შეუმჩნევლად დაიხია უკან. მიატოვა ღარბაზი. გავიდა გარედ, ისუნთქა წმინდა აჰერი. გულს მოეშვა. გაუდგა გზას.

მთელი ღამე და მთელი დღე მარტო იმ ფიქრით იყო დამძიმებული: მოვა თუ არა? უნგარ ცრუმორწმუნე იქცა. გაიფიქრებდა რამეს და ამბობდა თავისთვის: „თუ ეს იქნა — მოვა, თუ არა და — არ მოვა“. „რამე“ ხან „მოვა“ გამოდიოდა და ხან „არ მოვა“. უკანასკნელად ძალღი დაინახა ქუჩაში. „თუ მარცხნით გადაუხვია: „არ მოვა“, თუ მარჯვნით — მოვა“. ძალღმა მარცხნით გადაუხვია: „არ მოვა“ — გადააწყვიტა. მაგრამ გული იმედს არ ჰკარგავდა მაინც. უნგარმა დაუკვეთა: ყვავილები, , ნაირნაირი ხილი, რჩეული ხმიადი, უცხო სასმელები, რვა საათზე უკვე სახლში იყო. ეხლა სმენად იქცა. ყოველი რეკა ზარის

თითქო შიგ გულში ხვდებოდა ფიზიკურად. დაჰკარგა თმენა. ლოდინ-
მა გაანადგურა. სადღაა ყოფილი სიმაგრე რვალის? — ფიქრობდა თა-
ვის-თავზე როგორც მესამე პირზე. საათმა დარეკა „ცხრა“. უნგარ მა-
გიდას დაემხო, რომ ცახცახი შეემაგრებია. გავიდა ხუთი წუთი: აუ-
ტანელი. გავიდა კიდევ ხუთი წუთი: კიდევ უფრო აუტანელი. გავიდა
კიდევ ათი წუთი: უნგარ მთლად დაითენთა. მხოლოდ სმენა შერჩა
პასრი, მახვილი. უეცრად ავტოს ხრიალი მოესმა. წამოხტა. გაიხედა
ფანჯარაში. ავტო მის სახლის შესავალთან გაჩერდა: გულმა იწყო მა-
გარი ფეთქა. ავტოდან ქალი გადმოხტა: გულნი საგულედან ხტებოდა.
ქალმა კარი შემოაღო. უნგარ გაისუდრა: სმენა კიდევ უფრო გაელე-
სა. მეორე სართულში იდგა. ფეხის ხმაურს ყურს უგდებდა. გაისმა წკა-
რუნი. გავარდა ვაჟი. გააღო კარი. დაინახა ქალი პირ-ბადიანი. ქალას
გული ფეთქდა არა ნაკლებ. შევიდენ სასტუმრო ოთახში. ქალი მიჯდა
ტახტზე. გარშემო ერტყა ყვავილები. სდუმდა ქალი. ვაჟს სიტყვა ვერ
ამოელო. უეცრად მოწყდა ვაჟი და ქალის წინ დაემხო და აცეცხლილი
ხელები მუხლებზე მოხვია. ქალი არ ურჩობდა. უნგარ ისე გრძნობდა
ბრუდახვეული თავის ოთახს, თითქო იქ ყოფილიყო: სირიის „მა“,
ფრიგიის „კვიბელლა“, ფინიკიის „აშტორეტ“, ბაბილონის „ბელტის“
და „მილიტა“, კართა „ჰეკატა“, ინდიის „კალი“, ეგვიპტის „პახეტ“.
ამ უცხო ქალთან შეხვედრა რაღაც სათაყვანო რიტუალად იქცა. დრო
მაშინ იგზნო, როცა „თორმეტმა“ დარეკა.

ქალი წამოდგა და წასასვლელად მოემზადა.

„მნახავთ კიდევ ოდესმე?“..

შეეკითხა შეშინებული უნგარ.

„მხოლოდ ერთი პირობით“...

„ბრძანეთ“...

„თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ მე „ის უცხო ქალი“ ვარ...“

„სავსებით“...

„ჰო და, როცა მას შეხვდებით, უნდა შეხვდეთ ხოლმე, როგორც
უცხოს... არ წამოგცდეთ, რომ იგი თქვენთან იყო“...

„ესე იგი, თქვენ“..

„როგორც გეჯეროთ“...

„თქვენი მისამართი რომ არ ვიცი“...

„მე ხომ „მასკა“ ვარ!... და მერე: რად გინდათ?! მე თვითონ და-
გირეკავთ ხოლმე“...

„ის“ იყო კი?! ეხლა მას ეჭვობდა გული.

(დასასრული მეხუთე კამარისა. გაგრძელება იქნება).

— : —

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ქ. რ.

ნიკო ლორთქიფანიძე. „ნ ა ნ გ რ ე ვ თ ა ს უ რ ნ ე ლ ე ბ ა“. გამოცემა „ზაკკნიგასი“. გვ. 282. ფ. 2 მან. და 25 კაპ.

ქართულ პროზაში ნიკო ლორთქიფანიძე ორიგინალური ფიგურაა. მას აქვს თავისებური მანერა წერისა და საოცრად ლაკონური სტილი. ამ ლაკონურობის დასახასიათებლად მოვიყვანთ ერთი მისი მოთხრობის დასაწყისს:

„ყვედა ძალი,
ყოდა მამალი,
სახურავიდან ამოდიოდა კვამლი
და იყო პატარა ოჯახი,
ოჯახი იგი ეკუთვნოდა სილიბისტრო ქაშაძეს“...

(ნ. ლორთქიფანიძე — წიგნი პირველი — სახელგამი, 1924 წ. გვ. 176).

მიუხედავად იმისა, რომ ნ. ლორთქიფანიძე თავისი შემოქმედებით რეალისტია, სტილი მისი ლირიულია: მოკვეთილი და მძლავრი. თანაც უჩინარი მელანქოლიის მატარებელი. იგი იშვიათად ასწერს გარემოს: ეს გარემო ნათელი ხდება მომქმედ გმირთა სულისკვეთების ცხადყოფით და დიალოგით. რომელიც ძალიან ემარჯვება ნ. ლორთქიფანიძეს. მისი სტილი საამოა, მაგრამ არა ტკბილი, ოდნავ სევდიანი, მაგრამ ვაჟკაცური.

ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედების ტილო ნაირნაირია, ისევე, როგორც ბუნება იმერეთისა, რომლის წარსულსა და აწმყოს იგი გვიხატავს და რომელსაც თვითონვე ასე ახასიათებს: „ზოგან წითელ, ზოგან ყვითელ, ზოგან ალისფერია“. მაგრამ ყველაზე მეტად მას ემარჯვება წარსულის ხატვა: იგი მძლავრად გრძნობს „ნანგრევთა სურნელებას“, „დანგრეულ ბუდეებს“.

ხოლო შემცდარი ვიქნებით, თუ ვიფიქრებთ, რომ ნ. ლორთქიფანიძე ამ წარსულს აიდევალვს. არა! მას მშვენიერად აქვს შეგნებული, რომ ის, რასაც გვიხატავს, ნანგრევებია. იგი სრულიად არ მალავს ამ წარსულის დუხჭირ მხარეებს. ძლიერება მისი კალმისა აქ მხოლოდ ისაა, რომ „ნანგრევთა სურნელებას“ ჩვენც გვაგრძნობინებს. და თუ ზოგიერთს ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედება ამ მხრით ტენდენციურად ეჩვენება, ეს მიტომ რომ ავტორს აქვს ნათელი მზერა: ბნელთან ერთად იგი ნათელსაც კარგად არჩევს და მასზე სიყვარულით ჩერდება.

ნ. ლორთქიფანიძის წინამდებარე წიგნში მოთავსებულია ხუთი მოთხრობა: „რაინდები“ (პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „კავკასიონში“) „მრისხანე ბატონი“, „ჟამთა სიავე“, „სოფლის აშიკი“, „კერიასათვის“.

პირველი სამი მოთხრობა ისტორიულ ფონზეა გაშლილი. სტილის, სიუჟეტის მთლიანობითა და შეკრულობით აქ პირველი ადგილი უჭირავს „მრისხანე ბატონს“, თუმცა „ჟამთა სიავეშიაც“ არის მრავალი ყურადსაღები მხარე. საერ-

თო მანერაა ნ. ლორთქიფანიძისა: იგი ისტორიულ პირებს როდი გვიხატავს. ისტორიულია მხოლოდ ფონი. მას აქვს საოცარი ინტუიცია და საკვირველი შეგრძნობა წარსულისა. მისი გმირები ოდნავ რომანტიული ბურუსით არიან მოცულნი. მათი დახატვის დროს თითქოს თვით ავტორი ყოველ წუთს გრძნობს, რომ დაშორებულ ეპოქასთან აქვს საქმე და თავის გმირებს უფრო სილუეტებად გვიხატავს. აჩრდილების სახით. მაგრამ ყოველ მის სტრიქონში, მის მომქმედ გმირთა თვითეულ სიტყვა-პასუხში მთელი ეპოქა და სტილი სჩანს.

სამივე მოთხრობა ეხება მე-18 საუკუნის იმერეთის ცხოვრებას. მთავარი მომქმედნი პირნი არიან დიდი აზნაურები, მეფის მახლობელნი. მაგრამ ნ. ლორთქიფანიძე ხატავს არა მარტო სახელმწიფოებრივ სარბიელზე მათს მოღვაწეობას, არამედ შინაურ ცხოვრებასაც: ოჯახისადმი, ყმებისადმი, მეზობლებისადმი დამოკიდებულებას. და ხშირად ერთის კალმის მოსმით თვალწინ გვხატებათ ეპოქის დამახასიათებელი სურათი. ასეთია, მაგალითად („მრისხანე ბატონი“) საქალბოში წარმოებული მუშაობის სურათი (77-78 გვ.). მართლაც ჟამთა სიაცის გმირნი არიან ლევანიც („მრისხანე ბატონი“) და იულონიც („ჟამთა სიაცე“): სასტიკნი, ვერაგნი და თავისებურად რაინდნი.

მშვენიერია ფეოდალების წერილები ურთიერთისადმი. წერილთა ამ მაღალფარდოვან, გარეგნად მლიქვნელ სიტყვებში, რომელნიც ხშირად უდიდეს მზაკვრობა-მუხანათობას ფარავენ, — გამოსჭვივის ეპოქა მთელი თავისი ველურობით, სისასტიკითა და სისხლიანობით. აღსანიშნავია ფეოდალური ყოფის დასახასიათებლად მოთხრობა „რაინდები“. აქ არის მოზაიკური სურათები და ფრიალ ცოცხალი სცენები. მაგრამ აქ არაა არავითარი იდეალიზაცია. როგორც სხვა, ისე ეს მოთხრობა ნ. ლორთქიფანიძისა კბალებს მხოლოდ ერთს გრძნობას აწერილ წარსულისადმი. ეს არის ის გრძნობა, რომელიც ტურგენევიამ გამოსოქვა: хороша старина, да и чорт сней!

სულ სხვა ხასიათისაა ორი უკანასკნელი მოთხრობა ნ. ლორთქიფანიძისა, განსაკუთრებით „კერასათვის“. სიუჟეტი აქაც „ნანგრევებიდანაა“. იგი ეხება იმ ხანას, როდესაც რუსეთის მთავრობამ საქართველოში ჯარისკაცობა შემოიღო. აქაა ბრძოლა კერასათვის, საკუთარი თვითყოფობისათვის. მოთხრობა დაწერილია 1914 წელს (პირველად დაიბეჭდა კრებულ „გრდემლში“) ნ. ლორთქიფანიძისათვის ჩვეული სტილით და მანერით.

სხვათა შორის შესანიშნავია ამ მოთხრობაში ერთი დეტალი: მინაიას თავისი მეზობელი შემოაკვდება, ელის დაპატიმრებას. და აი, როდესაც მისი ცოლი ნინოია შემოვა, კაცის მკვლელი მინაია, სქესობრივი ჟინით ანთებული, მას დაიმორჩილებს. დალუპვის წინ აქ თავს იჩენს ინსტინქტი გამრავლებისა, შთამოების დატოვების — ეს აღსანიშნავი ფსიხოლოგიური მომენტია, ნ. ლორთქიფანიძის მიერ გაკვრით, მაგრამ ნათლად გაშუქებული...

დასასრულ ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება: მიუხედავად დიდი ნიჭისა და მხატვრული შემოქმედების სიძლიერისა, ნ. ლორთქიფანიძე გვიხატავს მარტო იმერეთს. ამ მხატვრობაში იგი არავის ჰგავს და სავსებით დამოუკიდებელია. მაგრამ შემოფარგლულობა მაინც ფაქტია. ჩვენ გამოვთქვამთ იმედს, რომ ნ. ლორთქიფანიძე გადალახავს ამ ფარგლებს და ჩვენ მის შემოქმედებაში ვიხილავთ უფრო ფართო საქართველოს. საამისოდ მას შესწევს ნიჭიც, უნარიცა და ცოდნაც...

----- : -----

ჯოვანი ბოკაჩიო: „დეკამერონი“. იტალიურით თარგმნილი თ. სახოკიას მიერ. წიგნი პირველი. საქ. მწ. კავშ. წიგნ. მაღაზ. გამოცემა. ტფილისი, 1928 წ. გვ. 190. ფასი 2 მანეთი.

თარგმნილი ლიტერატურის სიმცირე იმდენად მწვავეა და ხელსახები ჩვენთვის, რომ ყოველი ახალი ცდა ამ მიმართულებით ნაკლის გამოსწორებისა ცხოველ საზოგადოებრივ ინტერესსა და გულმოდგინე ყურადღებას იწვევს. საკითხი უცხოეთის დიდი ლიტერატურული ძეგლების ინტენსიური თარგმნისა უკვე აქტუალურ პრობლემათ არის გადაქცეული ამ უამათ, — ვინაიდან ჩვენი ახალი თაობა იზრდება და სწავლობს უმთავრესად მშობლიურ ენაზე და იგი მოკლებულია საშუალებას და ცოდნას უცხო ენაზე გაეცნოს მსოფლიო ლიტერატურის შედეგებს.

ამ თვალსაზრისით ჩვენს თარგმნილ მწერლობაში დიდ შემატებას წარმოადგენს ბოკაჩიოს რჩეული ნოველების გადმოთარგმნა თედო სახოკიას მიერ.

შეიძლება ჯოვანი ბოკაჩიოს „დეკამერონი“ თავის საერთო მიდრეკილებით და მსოფლმხედველობით ყველაზე ახლოს იდგეს ჩვენს ეპოქასთან.

ბოკაჩიოს დეკამერონი გენიოსური სატირაა კათოლიკურ ეკლესიის წარმომადგენელთა გაიძვერობისა და მატყუარობაზე. მასთან ერთად იგი მედგარი პროტესტია საშუალო საუკუნეთა ევროპის ექსპლოატაციაზე და ძალადობაზე დამყარებულ ფეოდალურ ურთიერთობის წინააღმდეგ. ბოკაჩიომ საშუალო საუკუნოების მისტიურ ლტოლვას და მიწიერი არსებობის ასკეტიურ უარყოფას დაუპირდაპირა ცხოვრებისადმი თავშეუკავებელი სიყვარული და ამ ქვეყნიური განცდებისაგან და ადამიანური ინტერესებისაგან გამომდინარე იდეალები.

გარდა ამ საერთო განწყობილებისა, დეკამერონი ჩვენთვის, თანამედროვეთავის, უდიდეს ღირებულებას წარმოადგენს თავისი წმინდა მხატვრული ღირსებით. დეკამერონი შესდგება 100 ნოველისაგან, რომელიც რიგრიგობით მოთხრობილია 7 ახალგაზრდა ქალისა და 3 ვაჟის მიერ ათი დღის განმავლობაში. ასეთი უანრის მხატვრული ნაწარმოები უცხო არ არის ქართული ლიტერატურის ისტორიაშიც. დანამდვილებით გამორკვეულია, რომ ბოკაჩიო თავისი დეკამერონისათვის სარგებლობდა სხვადასხვა წყაროებიდან მომდინარე მასალებით. მან გამოიყენა ძველი იტალიური ნოველების კრებულები, ბიზანტიური რომანები მეკობრეების ცხოვრებიდან, ფრანგული ფაბლიოები და რაც უმთავრესია, აღმოსავლეთიდან მოსული გარკვეული უანრის პოეტური თხზულებები, როგორც არიან ათასერთი ლამე და წიგნი შვიდი ბრძენის შესახებ. უცნასკნელი ქართულადაც უნდა იყვეს თარგმნილი, თუ დაუშვებთ, რომ ეს არის ცნობილი „თიმსარიანი“ (ე. თაყაიშვილის გამოც. ტფ. 1903 წ.), სპარსულიდან გადმოღებული მეფე თეიმურაზის მიერ.

ანალოგიური უანრის თხზულებები იქნება ქართულ ლიტერატურაში აგრეთვე „ქილილა და დამანა“ და საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუე“. ყველა დასახელებულ თხზულებებს ერთმანეთთან ამსგავსებს საერთო ჩარჩო, საერთო გეგმა ნოველების ან არაკების გადმოცემისა. მაგალითად დეკამერონში, როგორც შემოთ ვთქვით, ნოველები ნაამბობია უამიანობის დროს ქალაქიდან გახიზნული ათი ახალგაზრდა ქალ-ვაჟის მიერ რიგრიგობით ათი დღის განმავლობაში — სულ ასი ნოველა.

ქართულ სიბრძნე-სიცრუეშიაც პატარა დიდაქტიური მოთხრობები დაკავშირებულია ერთმანეთთან ერთი ამბავით მეფე ფონეზის შესახებ, რომელსაც ჰყავდა ბრძენი ვეზირი სედრაქ და ერთგული საჭურისი რუქა. მეფემ თავისი შვილი ჯუმბერი მიაბარა აღსაზრდელათ ახალგაზრდა ბრძენს ლეონს. სწავლის დამთავრების შემდეგ მეფე გამოსცდის თავის შვილს და კმაყოფილი მისი აღზრდით და ცოდნით გადასცემს მას თვის სამეფოს. ეს მოთხრობა აერთებს იმ იგავ-არაკებს, ზღაპრებს და ანეგდოტებს, რომელთა უამბობენ ერთმანეთს მეფე ფონეზი, სერდაქი, რუქა, ლეონი და ჯუმბერი.

მეორე დამახასიათებელი თვისება დეკამერონისა, რომელიც მას ასეთივე ჟანრის აღმოსავლურ თხზულებებთან ანათესავებს. მდგომარეობს იმაში, რომ დეკამერონის თვითი დღის ნოველები წარმოადგენენ ერთი რომელიმე საერთო თემის ილუსტრაციას. მაგალითად მეორე დღის ნოველები ნამბობია იმის დასამტკიცებლად, რომ ადამიანები, მიზნისადმი მისწრაფების დროს განცდილ დამარცხებათა შემდეგ მაინც აღწევენ თავის მიზანს. მესამე დღის ნოველები შეეხება ადამიანებს, რომლებიც პოულობენ იმას, რაც სამუდამოთ დაკარგულათ მიაჩნდათ. მეოთხე დღის ნოველების შინაარსია სხვადასხვა სასიყვარულო თავგადასავალი სამწუხარო დასასრულით და მეხუთე დღის ნოველების შინაარსი, პირიქით. შეადგენს სასიყვარულო ამბები ბედნიერი დაბოლოებით. მეშვიდე დღის ნოველებში ნამბობია ცოლების გაიძვერული საქციელი, ჩადენილი ქმრების მოსატყუებლათ და მერვე დღისამი კი, წინააღმდეგ — ქმრების ეშმაკობა და ასე ამგვარათ.

საერთოდ დეკამერონის მთავარ სიუჟეტს შეადგენს სასიყვარულო თავგადასავლები, ხოლო გაკილვისა და გაკიცხვის მთავარ ობიექტს — კათოლიკური სასულიერო წოდება...

თედო სახოკიას ნათარგმნი შეიცავს მხოლოდ 25 ნოველს. ეს ნოველები გადმოთარგმნილია 1865 წელს ბროკჰაუზის მიერ ლაიპციგში გამოცემულ იტალიური დედანიდან. წინასიტყვაობაში მთარგმნელი გვეუბნება, რომ მას განზრახული აქვს ბოკაჩოს მოთხრობები ქართულად გამოსცეს ორ წიგნათ და ამ ორ წიგნში მოათავსოს მისი „რჩეული და ტიპიური“ მოთხრობები. ჩვენის შეხედულებით ეს დიდი შეცდომაა მთარგმნელის მხრივ. თუ მას არ დაუზოგავს შრომა და ასეთი დიდი საქმისათვის ხელი მიუყვია, სჯობდა ისევ მთლიანი თარგმანი მოეცა ამ დიდი ნაწარმოებისა და არა მისი გამოკრებილი ნაწილები. მით უმეტეს, რომ ის, რაც მთარგმნელს მიაჩნია „რჩეულათ და ტიპიურათ“, სხვისთვის შეიძლება არ იქნეს რჩეული და ტიპიური. ეს გემოვნების საქმეა. რუსეთში უკვე გამოვიდა „აკადემიის“ გამოცემული მთლიანი „დეკამერონი“, ალ. ვესელოვსკის თარგმანით. ალ. ვესელოვსკიმ შეინახა და დაიცვა ბოკაჩოს თავისებური სტილი, თხრობის რიტმი და აგრეთვე მიდრეკილება კლასიკური პერიოდისადმი, რითაც მან რუსულ თარგმანში გასაოცარი ოსტატობით შესძლო დედანის სრული ილუზიის მოცემა. ამ მაგალითისათვის კარგი იყო წაებადა ჩვენს მთარგმნელსაც.

ქართულ თარგმანს დართული აქვს ილიუსტრაციები, რომელიც მთარგმნელს ამოუღია წარსული საუკუნის ერთრეთი ფრანგული გამოცემიდან. ეპოქალური და მხატვრულ სტილის დასაცავათ კი სჯობდა, რომ ილუსტრაციები მოყვანილი ყოფილიყო დეკამერონის პირველ გამოცემათა გრავიურებიდან...

ტექნიკურად წიგნი დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას სტოვებს. კარგია მხატვარ-ქალის ო. ბურავლიოვას მიერ დახატული, დეკამერონისათვის შესაფერისი, გარეკანი.

ლიტერატურული ცხოვრება

უცხოეთი

◆ **გოიას სურათების გამოფენა.** მადრიდში (ესპანეთი), პრადოს მუზეუმში, ესპანეთის სახელოვნო აკადემიამ მოაწყო სახელგანთქმულ მხატვრის ფრანცისკო დე-გოიას სურათების გამოფენა ეს სურათები გამოტანილია ევროპისა და ამერიკის მუზეუმებიდან. მადრიდის ერთერთი ეკლესია, სადაც მოიპოვება გოიას ფრესკები გადაქცეულია მისი სახელობის მუზეუმით. პარიზის „Revue hebdomadaire“-სი რედაქცია, გოიას სიკვდილიდან 100 წლის თავის აღსანიშნავად უშვებს მონოგრაფიას „გოია ანუ გენიოსის თავგადასავალი“.

◆ **კელერმანის მოგზაურობა.** „Berliner Tageblatt“-ის დავალებით ცნობილი გერმანელი მწერალი ბერნგარდ კელერმანი გაემგზავრა სამხრეთ აზიის მოსავლელად. მან უნდა მოიაროს ინდოსტანი და სიამი.

◆ **„იტალია ევროპის წინააღმდეგ“.** იტალიელმა ფაშისტმა მწერალმა კურციო მალაპარტემ დასწერა წიგნი „იტალია ევროპის წინააღმდეგ“. ამ წიგნს სთვლიან ერთერთ უდიდეს პოლიტიკურ ნაწარმოებათ იტალიურ ლიტერატურაში.

◆ **„დედა“-ს აკრძალვა საფრანგეთში.** საფრანგეთის ცენზურამ აკრძალა გორკის რომანის მიხედვით გაკეთებული კინო-სურათის „დედას“ ჩვენება.

◆ **ზოლას გამოუცემელი ნაშრომი.** ფრანგული ჟურნალი „ნუველ ლიტერერ“-ი ნაწყვეტების სახით ბეჭდავს ემილ ზოლას ჯერ გამოუცემელ გამოკვლევას — რომანის, როგორც ლიტერატურული ფორმის, წარმოშობისა და განვითარების შესახებ.

◆ **უცხოელთა გავლენა თანამედროვე ფრანგ მწერლებზე.** ერთერთ ცრანგულ ჟურნალში დაისვა საკითხი, — უცხოელ მწერლებიდან ვის უფრო მეტი გავლენა ჰქონდა თანამედროვე ფრანგულ მწერლობაზე. იქვე მოცემული იყო პასუხი: ტოლსტოის, დოსტოევსკის, კილპინგს და დანუნციოს. მაგრამ დანუნციოს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს ეხლა თვითონ იტალიაში. თანამედროვე ფრანგ მწერლებს უმთავრესად ახასიათებს იმპერიალიზმი. გამოსახვის უნარი ყველაზედ უფრო ეტყობათ პოლ მორანს, ჟან ჟიროდუს და ჟან კოკტოს.

◆ **ავიაცია ლიტერატურაში.** ამავე ჟურნალს მოჰყავს საინტერესო ცნობები ავიაციის შესახებ ლიტერატურაში. 1911 წლამდე რომანებში მოხსენებული არ ყოფილან არც მფრინავები და არც ავიაცია. მხოლოდ 1912 წელს ანატოლ ფრანსმა დასწერა რომანი „თეთრ ქვაზე“, სადაც ერთერთი პერსონაჟი მიემგზავრება სადღაც ჰაეროპლანით. ამჟამად რომანები „მფრინავებით“ თანდათანობით მატულობენ (ანრი ბორდო, როსტანი, პოლ მორანი, პოლ ფორი, კოკტო და სხვ.).

◆ **„ხიდი წმინდა ლუის-რეიზე“.** ამერიკულ წიგნის ბაზარზე უკანასკნელ სენსაციას წარმოადგენს ტორნტონ ვილდერის ახალი რომანი „ხიდი წმ. ლუის-რეიზე“. ეს წიგნი დღეში 10,000 ეკზემპლიარი სადდება. საგულისხმოა, რომ ვილდერი აქამდის ძალიან ნაკლებად ცნობილი მწერალი იყო. მან რამდენიმე წლის წინათ დასწერა მხოლოდ ერთი რომანი „კაბალა“, რომელსაც არავინ აქცევდა

ყურადღებას. ახალი რომანის შინაარსია ხუთი კაცის დაღუპვა მატარებლის კატასტროფის დროს ხიდზე. ავტორი გვიამბობს თვითეული მათგანის ცხოვრებას და აგრეთვე იმას, თუ რატომ შეახვედრა ბედმა ისინი განწირულ მატარებელში. ამ რომანის შესახებ სწერენ, რომ „ეს წიგნი საუკეთესოა ჩვენი ეპოქის ყველა წიგნებს შორის“.

◆ **ოქსფორდის ლექსიკონი.** ინგლისში თავდება ბეჭდვა ცნობილი „ოქსფორდის ლექსიკონის“ უკანასკნელი მეათე ტომისა. მუშაობა ამ ლექსიკონზე დაიწყო ორმოცი წლის წინათ, ჯემს მურეის საერთო რედაქტორობით. იმის წარმოსადგენათ, თუ რა დაჯდა ამ ლექსიკონზე მუშაობა, საკმარისია აღვუიშნოთ. რომ მარტო მეათე ტომის მეორე ნაწილის საგამოკვლევო და სარედაქციო მუშაობაზე დაიხარჯა 50.000 გირვ. სტერლინგი.

◆ **სინკლერ ლუისი დედამიწის გარშემო.** ინგლისელი მწერალი სინკლერ ლუისი ამ ზაფხულზე აპირებს დედამიწის შემოვლას. მას განზრახული აქვს ეწვიოს აგრეთვე საბჭოთა კავშირსაც.

◆ **რეპინი.** რუსეთის ცნობილი მხატვარი რეპინი ამ უამათ დიდი ყურადღებით სარგებლობს ნიუიორკში. იმის სახელით შეიქმნა მთელი ქსელი სახელოვნო დაწესებულებების. არის „რერიხის მუზეუმი“, რომელშიაც ინახება ასამდე სურათი ამ მხატვრის. დაარსდა „გაერთიანებულ ხელოვნებათა ინსტიტუტი“, რომელსაც სათავეში უდგას რერიხი. შეიქმნა საზოგადოება „Corona Mundi“-ს სახელწოდებით. საზოგადოების მიზანია სახელოვნო ნაწარმოების გაცვლა-გამოცვლა სხვადასხვა ქვეყნების მუზეუმებში. ფაროოდ იცნობენ რერიხის სახელს პარიზის მხატვრულ წრეებში. იმის შესახებ გამოვიდა წიგნი უ. კლაკერის და ვოფალთპოსი. წიგნი საუცხოვოთაა გამოცემული. რერიხი აქ დასახელებულია „როგორც რუსული ხელოვნების მოციქული მსოფლიოში“. ადარებენ აღორძინების უდიდეს წარმომადგენლებს.

◆ **მ. გორკი.** ფრანგულ ენაზე გამოვიდა რუსულიდან გადათარგმნილი მ. გორკის სამი ნაწარმოები. ფრანგული გაზეთ „ტან“-ის რეცენზენტი შენიშნავს, რომ რუსულ რომანისტებს პირველი ადგილი უჭირავსთ მსოფლიო ლიტერატურაში, და ამაში დარწმუნდება ყველა, ვინც კი წაიკითხავს გორკის ნაწერებსო. ამასავით არავის, დოსტოევსკის გარდა, არ შეუძლია ისე იმოქმედოს მკითხველზე. ადამიანი მოკვდა გზის პირზე. ვინ არის, საიდანაა? არავინ იცის. მაგრამ — ამბობს გორკი — ყველაფერი არსებობს იმისთვის, რომ მოთხრობის საგნათ გახდეს. დაუშვებელია კაცი გზის პირას ეგდოს და მაზე არაფერი ითქვასო. და გორკიც მოგვითხრობს უცნობის საცოდავ ცხოვრებას სადაც სასწაულებრივი სიძლიერით, მისი ცოცხალი, დიადი სახეები ახდენენ ამოუშლელ შთაბეჭდილებასო... „ტან“-ი 7 მარტი — 28 წ.

◆ ასეთივე აღტაცებას იწვევს მაქსიმ გორკის ეს გადათარგმნილი ნაწერები საფრანგეთის პრესაში საერთოთ. „ეუროპ ნუველი“ შენიშნავს, რომ გორკის ფილოსოფია არ არის შექმნილი ზერელე მკითხველისათვის. ჩვენ არაჩვეულებრივი სიძლიერით გვიზიდავს მისი ღრმა ჩაწდომა ადამიანის სულის მიუვალ კუჭულებშიო. დასავლეთში, განსაკუთრებით ლათინურ ქვეყნებში ცხოვრებას იღებენ ისე, როგორც არის, თავს არ იწუხებენ დიდათ პრობლემებით. სლავიანურ ქვეყნებში, პირიქით, ნაკლებ კულტურული გონებაც მიმართულია მარადისობისკენ, თითქო ღია ფანჯრიდან იყურება ცხოვრების საიდუმლოებისაკენ მოუსვენარი, დაუდგომელი სული მუდმივი ძიებით გატაცებული... პატარა ადამიანე-

ბიც კი აყენებენ საკითხებს, — რა არის ადამიანი, რა არის ჭეშმარიტება... — ეს ძიებაა შინაარსი მთელი მათი სიცოცხლის. ამისი გამომხატველია გორკის შემოქმედებაო. „უურ. ნუველ“, 31 მარტი — 28 წ.

რუსეთი

◆ **წიგნის ტექნიკუმი.** სახალხო განათლების კომისარიატმა დაადგინა 1928-29 სამოსწავლო წლიდან გახსნას მოსკოვში წიგნის ტექნიკუმი. ტექნიკუმმა უნდა მოამზადოს საშვალო და უმაღლესი კვალიფიკაციის მწიგნობარნი. ტექნიკუმი გაიხსნება სექტემბერში. პირველ რიგში მიღებულ იქნებიან ის მუშაკები, რომლებიც უკვე ჩაბმული არიან წიგნის საქმეში და მე-2 საფეხურის სკოლა აქვთ გავლილი.

◆ **პუშკინის სახლში.** საკავშირო სამეცნიერო აკადემიასთან არსებულ პუშკინის სახლის უფროს მეცნიერ-მცველად, ნაცვლად განსვენებული ბ. ლ. მოძალევსკისა, დანიშნულია მ. დ. ბელიაევი.

◆ **ფილმა წიგნის შესახებ.** სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტს განზრახული აქვს გადაიღოს ფილმა წიგნის შესახებ, სადაც სავსებით ნაჩვენები იქნება წიგნის დამზადების რთული პროცესი. რუსეთის სახელგამმა ნება მისცა ინსტიტუტს აწარმოოს გადაღება სახელგამის ყველა საწარმოოში, გარდა ამისა სახელგამმა ამ საქმისთვის გადასდო განსაზღვრული თანხა.

◆ **მთავარი სახელოვნო ორგანო.** რუსეთის სახკომსაბჭომ დაადგინა დაფუძნებულ იქნეს განსაკუთრებული ორგანო იდეოლოგიური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობის გასაწევათ ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში. სახკომსაბჭოს მიერ ამ ახალი ორგანოსთვის დასმულია შემდეგი ამოცანები: 1. სახელმწიფოს მიერ იდეოლოგიური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობის გაძლიერება ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში 2. გაერთიანებული მოქმედება იმ სახელმწიფო ორგანოებთან, რომლებაც ემსახურებიან ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგებს. 3. მწერლების, მხატვრების, აქტიორების და ხელოვნების სხვა მუშაკთა ორგანიზაციებსა და ამ ახალ ორგანოს შორის მტკიცე კავშირის გაბმა. 4. სახ. განათლ. კომ-ტის მიერ კონტროლისა და ხელმძღვანელობის გაძლიერება ორგანოებისათვის, რომლებიც განაგებენ ლიტერატურისა და ხელოვნების სკაქმეს (როგორც სანახავობითი ისე სახვით დარგებში). ორგანოს ექნება შემდეგი განყოფილებები: მხატვრული ლიტ-რის, თეატრის, ცირკის და ესტრადის, კინოსი, სახვითი ხელოვნების, სამუსიკო, მასიური მუშაობისა ქალაქში და სოფელში, სამხატვრო მუშაობისა ნაციონ. უმცირესობათა შორის, სარეპერტუარო, საგეგმო-სამეურნეო და სამუზეუმო.

◆ **ვოაპკ-ი.** პროლეტარულ მწერალთა საკავშირო ყრილობამ მაისში მოახდინა თავისი ორგანიზაციის რეკონსტრუქცია. ნაცვლად ვაპკ-ისა (პროლეტარულ მწერალთა საკავშირო ასოციაცია) ეხლა დაფუძნებულია ვოაპკ-ი — პროლეტარულ მწერალთა ასოციაციების საკავშირო გაერთიანება, სადაც დამოუკიდებლათ შედიან ნაციონალური პროლეტარული ასოციაციები: რუსეთის, უკრაინის, ამიერკავკასიის, ბელორუსიის, უზბეკისტანის, თურქმენსტანის და პროლეტმწერალთა ჯგუფი „კუზნიცა“.

საქართველო

- ◆ **საბჭ. მწერ. ფედერაციის საბჭოს პლენუმი.** საბჭ. მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმმა დაადგინა ივნისის 20 — 25 რიცხვებში მოიწვიოს ფედერაციის საბჭოს პლენარული სხდომა, რომელზედაც განხილული იქნება ფედერაციის განვლილი მუშაობა, შემუშავდება ფედერაციის წესდებისა და მწერალთა ყრილობაზე მიღებულ დადგენილებათა საბოლოო ტექსტები და გამომუშავებული იქნება ფედერაციის მომავალი საქმიანობის დაწვრილებითი გეგმა.
- ◆ **მწერალთა სამკითხველო-ბიბლიოთეკა.** მწერალთა ფედერაციამ ხელოვანთა სასახლეში მოაწყო სამკითხველო-ბიბლიოთეკა.
- ◆ **ილია ჭავჭავაძისეული სახლი.** საბჭოთა მწერლების ფედერაციას გადაეცა ილია ჭავჭავაძის სახლი ტფილისში. განზრახულია ამ სახლის კულტურული გამოყენება. იგი გადაქცეული იქნება ილია ჭავჭავაძის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმად, სადაც დაცული იქნება როგორც ილიას, ისე სხვა ქართველ მწერალთა ხელნაწერები და წიგნები. ამ სახლში მოწყობილი იქნება აგრეთვე სპეციალური კაბინეტი ილია ჭავჭავაძის ხელნაწერების შესასწავლათ.
- ◆ **მწერალთა დასასვენებელი სახლები.** მწერალთა ფედერაციამ ქვიშხეთში ჩაიბარა დიმიტრი ყიფიანისეული სახლი, სადაც ზაფხულობით დასასვენებლათ გაიგზავნებიან მწერლები. ფედერაციამ ჩაიბარა აგრეთვე საჩხერეში მდებარე აკაკი წერეთლისეული სახლი და მამული, სადაც აკაკის სახელობის მუზეუმს გარდა მოეწყობა მწერალთა დასასვენებელი სახლი.
- ◆ **მწერალთა საღამო ქუთაისის დამწვართა სასარგებლოთ.** ამ მოკლე ხანში სრ. საქ. მწერალთა ფედერაცია ქუთაისის ხანძარისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ მართავს დიდ სალიტერატურო-სამუსიკო საღამოს. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ძალები ხელოვნების ყველა დარგიდან: მსახიობები, მუსიკოსები, მომღერლები და მწერლები.
- ◆ **მწერალთა საღამოები მუშათა რაიონებში.** მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმს განზრახული აქვს მასასთან დაახლოვების მიზნით ტფილისის მუშათა ყველა რაიონებში გამართოს საღამოების მთელი რიგი; მონაწილეობას მიიღებენ ქართული მწერლობის ყველა დაჯგუფებანი.
- ◆ **მაქსიმ გორკის სტუმრობა საქართველოში.** ივლისში მაქსიმ გორკი ჩამოდის ტფილისში. მწერალთა ფედერაცია მაქსიმ გორკის შესახვედრათ მართავს სპეციალურ საღამოს.
- ◆ **„სანავარდო“ რუსულად.** იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა რუსულ ენაზე დემნა შენგელაიას რომანი „სანავარდო“. წიგნს სცემს გამომცემლობა „ზაკკნიგა“.
- ◆ **„მებადურთ უბანი“.** სტეფან კასრაძემ დასწერა დიდი მოთხრობა „მებადურთ უბანი“, რომლის სიუჟეტი აღებულა შავი ზღვის სანაპიროების და

ლაზების ცხოვრებიდან 1905 წლის რევოლუციის ხანებში. მოთხრობა უახლოეს მომავალში დაიბეჭდება.

◆ „ქართველი ერის ისტორია“. გამოვიდა პროფ. ი. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“. წიგნი პირველი. გამოცემა მე-3. წიგნი გადამუშავებულია და შეიცავს დიდი ფორმატის 400 გვერდამდე.

◆ „ტამილლა“ ქართულად. ეთერ რაზიკაშვილმა ქართულად სთარგმნა ფერდინანდ დიუშენის ცნობილი რომანი „ტამილლა“.

◆ ტიციან ტაბიძის ლექსების წიგნი. სახელგამმა მიიღო დასაბეჭდათ ტიციან ტაბიძის ლექსების წიგნი. წიგნში მოთავსებული იქნება ლირიკა.

◆ „ჰაჯი-მურატი“ ქართულად. ტიციან ტაბიძემ სთარგმნა ქართულად ლევ ტოლსტოის „ჰაჯი-მურატი“. წიგნი მიიღო დასაბეჭდათ სახელმწიფო გამომცემლობამ.

◆ „გავლილი შარა“ — სანდრო შანშიაშვილის. ამჟამად სანდრო შანშიაშვილი სწერს პოემა-რომანს თეთრ ლექსად „გავლილი შარა“. პოემის შინაარსი აღებულია თანამედროვე ყოფიდან.

◆ რომანი „ფალესტრა“. გრიგოლ რობაქიძე ამჟამად ასრულებს უკანასკნელ თავებს რომანისას „ფალესტრა“.

◆ გრიგოლ რობაქიძის ახალი დრამა. გრიგოლ რობაქიძე ამჟამად სწერს დრამას, რომელიც აგვისტოს დამლევს უნდა გადაეცეს დასადგმელად რუსთაველის თეატრს. თემა — თანდროულობიდანაა.

◆ სტეფან ცვაიგის ახალი გამოკვლევა. გრიგოლ რობაქიძემ სტეფან ცვაიგისაგან მიიღო უკანასკნელის ახალი გამოკვლევა „ტოლსტოი“. გრიგოლ რობაქიძეს განზრახული აქვს მოკლე ხანში სთარგმნოს და გამოაქვეყნოს ამ გამოკვლევის რამდენიმე თავი.

◆ პოეტმა გიორგი ლეონიძემ დასწერა პოემა „ყარაყორუმის ღამე“ და მოთხრობა „ესტატე ლაფაჩი“.

◆ სიბრძნე-სიცრუის“ ახალი გამოცემა. გამომც. „შრომამ“ დაბეჭდა და ამ მოკლე ხანში გამოუშვებს ბაზარზე საბა-სულხან ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუეს“ გიორგი ლეონიძის რედაქციით. წიგნს დართული აქვს გიორგი ლეონიძის მიერვე შედგენილი საბა-სულხანის ვრცელი ბიოგრაფია.

◆ ანრი ბარბიუსის „მოუდრეკელნი“. იბეჭდება და ჩქარა გამოვა ანრი ბარბიუსის წიგნი „მოუდრეკელნი“. წიგნს სცემს სახელგამი.

თ ე ა ტ რ ი

◆ სარეპერტუარო ბიულეტენი № 1“. განათლების კომისარიატის სამეცნიერო და სახელოვნო დაწესებულებათა მთავარმართველობამ დაიწყო გამოცემა სარეპერტუარო ბიულეტენისა, რომელშიაც შევა სარეპერტუარო-სამხატვრო საბჭოს მიერ მოწონებული პიესების სია. ბიულეტენში შევა როგორც ძველი, ისე ახალი, დაბეჭდილი და დაუბეჭდავი პიესები. პიესები დანაწილებულია სამ კატეგორიათ: პროფესიონალური თეატრებისათვის, მუშათა კლუბებისათვის და სოფლის სცენებისათვის. ბიულეტენის № 1-ში, რომელიც დაიბეჭდა და უკვე გამოვიდა გასასყიდათ, მოთავსებულია 70-ზე მეტი რეცენზია სხვადასხვა პიესებზე.

ბიულეტენი № 1 შედგენილია შალვა დადიანის, ს. თოხაძის, კ. კალაძის, ვ. მაჭავარიანის, ელ. პოლუმორდვინოვის, ბესო ჟღენტის, სიმონ ჩიქოვანის, პლ. ქიქოძის და ა. ჭეიშვილის მიერ.

ბიულეტენი დიდ დახმარებას გაუწევს ყველა ტიპის თეატრებს რეპერტუარის შედგენის დროს.

ბიულეტენში მოთავსებული პიესების გარდა საქართველოში სხვა პიესების დადგმა აკრძალულია სარეპერტუარო-სამხატვრო საბჭოს სპეციალური ნებართვის გარეშე.

◆ **მოძრავი თეატრები.** სარეპ.-სამხატვრო საბჭომ დაადგინა დააარსოს ორი დიდი მოძრავი თეატრი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსათვის. მოძრავ თეატრებს ეყოლებათ პროფესიონალ მსახიობთა შემადგენლობა. ამ თეატრების დანიშნულება იქნება ყოველკვირეულად გამართოს წარმოდენები საქართველოს ყველა სამაზრო ცენტრებში და ამით დააკმაყოფილოს პროვინციის მოთხოვნილება თეატრალურ სანახაობათა დარგში.

◆ **სათეატრო ტექნიკუმი.** მთავარ სახელოვნო მართველობის დადგენილებით შემოდგომიდან ტფილისში გაიხსნება სათეატრო ტექნიკუმი, რომელიც მოამზადებს ახალ სააქტიორო და სარეჟისორო ძალებს.

◆ **დრამატიული წრეების გამოკვლევა.** პროფკავშირთა კულტგანყოფილება შეუდგა მუშათა კლუბებთან არსებულ დრამატულ წრეების შესწავლა-გამოკვლევას მათი სათანადო იდეოლოგიურ-მხატვრულ დონეზე დაყენების მიზნით. ამისათვის შექმნილია სპეციალური კომისიები, რომელშიაც, გარდა პროფკავშირულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებისა, მონაწილეობენ სარეპ.-სამხატვრო საბჭოს წევრებიც (ბ. ჟღენტი და პ. ქიქოძე).

◆ **ცეკვის შკოლები.** ვინაიდან ტფილისში არსებულმა კერძო საცეკვაო შკოლებმა თავისი სიმრავლით და მეცადინეობის წარმოების ხასიათით მეტად არანორმალური ხასიათი მიიღეს, მთავარ სახელოვნო მმართველობის დადგენილებით ისინი დახურულ იქნენ. სახელოვნო მართველობას მათ ნაცვლად განზრახული აქვს უახლოვს მომავლიდან გახსნას ტფილისში რამდენიმე სახელმწიფო საცეკვაო შკოლა.

◆ **სამუსიკო და მგალობელთა გუნდების რეგისტრაცია.** მთავარ სახელოვნო მმართველობას განზრახული აქვს უახლოვს მომავალში მოახდინოს საქართველოს ყველა კუთხეებში არსებული სამუსიკო და მგალობელთა გუნდების რეგისტრაცია. ამის შემდეგ დაარსებული იქნება ამ გუნდების მთავარი სახელმძღვანელო ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობას და დახმარებას გაუწევს მათ როგორც მუსიკალურ; ისე იდეოლოგიურ სფეროში.

◆ **სასოფლო პიესები.** სახელგამი ამ მოკლე ხანში სცემს სასოფლო სცენაზე დასადგმელ პიესებს შემდეგი ავტორებისას: ე. პოლუმორდვინოვი — „ბნელი ძალები“, ს. ერთაწმინდელი — „ცეკვა ბებუთით“, გონჩაროვ-ვიქტოროვი — „საუცხოვო სამართალი“ და გრებლიოვი — „რა ცუდია უსწავლელობა“.

◆ **სათეატრო მუზეუმი.** ტფილისში გახსნილი სათეატრო მუზეუმი (ნეკრასოვისა და ცეტკინის ქუჩ. კუთხე) შეიცავს: თეატრის, მუსიკის, ბალეტის, ცირკის და დეკორატიულ ხელოვნების განყოფილებებს. აქვეა მოთავსებული თეატრის მოღვაწეთა საპროტესტო გალერეა. საერთო რიცხვი ექსპონატების აღემატება სამი ათასს, რომელთა შორის მრავალი ექსპონატი, გარდა ისტორიული მნიშვნელობისა, წარმოადგენს განძს თავისი სიძვირფასით. მუზეუმში საქართველოს გარდა წარმოდგენილია აგრეთვე სომხეთის, აზერბეიჯანის, რუსეთის და საქართველოში ძველად ყოფილ ფრანგების და გერმანელების თეატრები, აგრეთვე იტალიური ოპერა. რომელიც თითქმის 50 წლის განმავლობაში მუშაობდა საქართველოში.

უ ნ ნ ა ა რ ს ი

33

გალაქტიონ ტაბიძე — მოგონება გორკიზე	5
ლ. ა — ნი — ფაქტები მ. გორკის ცხოვრებიდან	6
ს. რობაქიძე — მაქსიმ გორკი ტფილისში	11
ვ. რუხაძე — პატარა მოგონება	20
მაქსიმ გორკის თანამგზავრის ნაამბობი	21
ნ. ზომლეთელი — შევარდენს და ქარიშხალას	26
კ. კაპანელი — მ. გორკის სოციალ-ესთეტიური არე	28
ვ. რუხაძე — მაქსიმ გორკი	38
ალ. ქუთათელი — მაქსიმ გორკი	39
ლ. ასათიანი — მ. გორკი და ლენინი	41
ალი არსენიშვილი — დიადი ბროდიაგა	47
მ. ზანდუკელი — მ. გორკი საქართველოში	60
ბაბილინა — გორკისათვის	74
ვ. გარრიკი — მ. გორკი თეატრში	75

მხატვრული ლიტერატურა:

ტიციან ტაბიძე — გემები ორპირში	80
ვასო გორგაძე — პირველ სტამბაში	86
სიმონ ჩიქოვანი — მორღუ	87
გრიგოლ რობაქიძე — ფალესტრა (რომანი)	89

ბიბლიოგრაფია:

ქ. რ. — ნ. ლორთქიფანიძე	106
ლ. ასათიანი — ბოკაჩიო	108
ლიტერატურის ქრონიკა	110



ტფილისი ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა, პლენან. პრ. № 91.

შეკ. № 1051

მთავლ. № 1211

ტირ. 1000.